


საგარეო საზღვარი



სსრ კავშირის ხალხთა ვაგონგროვისა და თანამშრომლობის შედეგად განვითარება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებაზე. საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა მართვაში ყველა ეროვნების მშრომელთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა — ასე შეიძლება მოკლედ დავახასიათოთ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების წამყვანი ტენდენცია.

ი. ვ. ანდროპოვი



საქართველოს სამართალი

ნოემბერი
დეკემბერი

1988 წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის საინსტიტუტოს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული შუროსი

შინაარსი

თავისუფალ ერთა ურდგვი კავშირი	3
ავგალოთ ხელშეწყობითა კერძონალური კასუსისგვამოკა ვიწლოგილი სამისათვის	7
<u>სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის</u>	
ა. შვანი — სსრ კავშირის შექმნისათვის ავიკრავაკასიის კოშენისტავის ბრძოლის ისტორიიდან	11
ბ. უზგაშვილი — საქართველოს სსრ სუვიერული სახელმწიფო	21
<u>შეშენათ დანაშაურობათან და დარღვევითან ბრძოლის ერთიანი ფრონტი</u>	
მ. მელაქაძე — რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების ბრძოლა სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური განვითარებას განმტკიცებისათვის	27
<u>კრიმინოლოგია</u>	
ნ. ფაშაიანი — თანამდებობრივ დანაშაულთა კრიმინოლოგიური დანახათება 36 საკრეპროტო ზედამხედველობის კრავტივა	
ზ. სახანაშვილი — საცხოვრებელი სასუბიდან ვიქალაქათა ადმინისტრაციული წესით გამოსახლება	46
<u>სასამართლო კრავტივის განვითარება</u>	
ა. ტირაშუა — ავგალოთ სახალხო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის ხარისხი	50
ბ. მიკინაიანი — აღკვეთით მიწის სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები	55
<u>კადრები ჩვენი მუდვიტი საზრუნავი</u>	
ა. კვიციანი — სრულმყოთ სასამართლო კადრებთან ურთობა	59
ბ. ლორია, ვ. ჩაჩუა — კადრების კვალიფიკაციის ავალღების კიდა	66
გ. კომახიძე — იუსტიციის მუშაკთა დამალოკვისის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციები	69
<u>ჩვენი კოშენის ადამიანები</u>	
მ. კრისთანიანი — ომისა და შრომის ვებორანი	73
მეცნიერული ცხოვრება	75

СОДЕРЖАНИЕ



Нерушимый Союз свободных народов	3
Повысить персональную ответственность руководителей за порученное дело	7
К 60-летию образования Союза ССР	
Г. Жвания — Из истории борьбы Закавказских большевиков за образование Союза ССР	11
Е. Угрехелидзе — Грузинская ССР — суверенное государство	21
Создать единый фронт борьбы с преступностью и нарушениями	
О. Мелкадзе — Органы народного контроля в борьбе за укрепление государственной дисциплины и социалистическую законность	27
Криминология	
Ш. Папиашвили — Криминологическая характеристика должностных преступлений	38
Практика прокурорского надзора	
Ш. Хаханашвили — Выселение граждан из жилых помещений в административном порядке	46
Обобщение судебной практики	
Г. Цирамуа — Повысить качество рассмотрения гражданских дел в народных судах	50
Г. Мириманишвили — Искоренить факты нарушения права государственной собственности на землю	55
Кадрам — наша постоянная забота	
А. Квициния — Совершенствовать работу с кадрами судебных органов	60
В. Лория, М. Чачуа — Центр по повышению квалификации кадров	66
М. Комахидзе — На научно-практической конференции Всесоюзного института усовершенствования работников юстиции	69
Люди нашей профессии	
О. Кристесиашвили — Ветеран труда и войны	75
Научная жизнь	75



სარედაქციო კოლეგია:

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. აღიქსიძე, ა. ბარაბაძე,
გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელიაძე, ა. შუშანაშვილი,
ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1982 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი, კლასანოვის კა. 108. ტ. 95-88-87, 95-88-49.

გალატე ასაწყობად 20.XII.82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.XII.82 წ.,
ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-სავაჭომოცემლო თაბაში 7,5

შეგვ. № 3006

ტირაჟი 16.250

უე 00812

საქ კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

К пятилетию принятия Конституции СССР



17236

თავისუფალ ერთა ურთიერთ კავშირი

შესრულდა სსრ კავშირის შექმნის სამოცი წელი. ეს იყო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, რომლითაც ახალი ეპოქა დაიწყო საბჭოთა საზოგადოების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ერთიან სახელმწიფოდ საბჭოთა რესპუბლიკებს ნებაყოფლობითმა გაერთიანებამ უდიდესი როლი შეასრულა სოციალისტური ერების დაახლოებაში, მათ შორის ურთიერთნდობის ვითარების დამყარებასა და ძმური თანამშრომლობის განმტკიცებაში, ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბებაში. სსრ კავშირის უმდიდრესმა გამოცდილებამ მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ ყველა დროისათვის მოუკვარებელი და გაღაუჭრელი მწვევე პრობლემა — ეროვნული საქათხი მრავალეროვან სახელმწიფოში შეიძლება და სწორად გადაწყვეტილიყო და გადაწყდა კიდევ მარტოდენ კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული ბრძნული ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე. თავისი არსებობის არცთუ ისე დიდი ხნას მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ, თანასწორუფლებიან ერთა კავშირმა, უმძიმეს განსაცდელს გაუძლო, დამტკიცა თავისი სოციალისტური პრინციპები, მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები და ამით ცხადყო მარქსისტულ-ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელობა. საბჭოთა ადამიანები წმინდად და ერთგულად იცავენ ეროვნული პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს, რომლებიც ერების ურთიერთნდობისა და მეგობრობის სამიედო საშუალება და გარანტიაა. ეს მეგობრობა სოციალიზმის უდიდესი შინაარსი, კომუნისმისაკენ ჩვენი საზოგადოების წინსვლის დაუსრულებელი წყაროა. ამიტომ საბჭოთა ხალხი მას უვალისჩინივით უფრთხილდება.

მარქსიზმ-ლენინიზმი ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდა ეროვნულ საქათხს და მიიჩნევდა, რომ მისი გადაწყვეტა შესაძლებელი იყო მხოლოდ კლასობრივ საფუძველზე. „აა, რატომ იყო, რომ მარქსმა და ენგელსმა გამოიტანეს ფუნდამენტალური დასკვნა: სოციალისტური ჩაგვრის მოსპობა ეროვნული ჩაგვრის მოსპობის პირობა და წინაშედგარია. ბურჟუაზიანე პროლეტარიატის გამარჯვება, — თქვა მარქსმა, — ამავე დროს ჩაგრული ერის განთავისუფლების სიგნალიც არის“¹. მარქსსა და ენგელსს ეკუთვნის გამოკვეთილად ნათქვამი დებულება, რომ არ შეიძლება თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც სხვა ერებს ჩაგრავს. მათ პირველებმა შეიმუშავეს ერთა თვითგამორკვევის პრინციპი და დასაბუთეს, რომ უამისოდ შეუძლებელი იყო ეროვნული შუღლის, რასობრივი და ეროვნული უთანასწორობის აღწოფება. ამის გათვალისწინებით გამოიტანეს დასკვნაც, რომ პროლეტარიატი, როგორც ყველაზე პროგრესული და ინტერნაციონალური კლასი და ძალა, სათავეში უნდა ჩაუდგეს ყველა მშრომელის ბრძოლის სოციალისტურა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, დასკვნა, რომ ეროვნული საქათხი პროლეტარული რევოლუციის საერთო საქათხის ნაწილია და შეიძლება მართებულად გადაწყდეს სოციალისტური რევოლუციის შედეგად. ყველა ქვეყნის პროლეტარული პარტია მოვალე იყო ანგარიში გაეწია ამ მეთად დიდმნიშვნელოვანი დასკვნისათვის, თუ მას სურდა ყველა ჩაგრულის საერთო ფრონტის შექმნა სოციალისტური რევოლუციის ძღვემოსილი განხორციელებისათვის.

ეს მით უფრო უნდა გაეთვალისწინებინა პროლეტარიატის პარტიას რუსეთში, სადაც მრავალი ეროვნული უმცირესობები მეფის მთავრობის ბატონობის პირობებში ორმაგ ჩაგვრას განიცდიდნენ — სოციალურსა და ნაციონალურს. ცარიზმი სასტიკად სდევნიდა და აწმობდა ყოველივე ახალს, პროგრესულ და რევოლუციურ იდეებს. რუსეთის იმპერიის მესვეურთა რეაქტია კიდევ უფრო მწვევე და შეუბრალებელი იყო, თუ ეს აზრები „ინოროცებს“ ეკუთვნოდა ან ქვეყნის განაპირა რაიონებრიდან მომდინარეობდა. შემთხვევით არ უწოდებდნენ მეფის რუსეთს „ხალხთა საპყრობილეს“, სადაც არარუსი ხალხი უმძიმეს ექსპლოატაციას და უმოწყა-

¹ სსრ კავშირის 60 წელი, სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენება, გაზეთი „კომუნისტ“, 1982 წლის 22 თებერვალი.

ქ. მარქსის ნახ. ნამ.
სსრ. სოციალისტური
რევოლუციის



ლო ჩაგვრას განიცდიდა. მაგრამ ასეთ პირობებშიც კი რუსეთის მოსახლდრე ეროვნებანი ამ დიდ ქვეყანაში ხედავდნენ პროგრესულ ძალებს, რომლებიც მათ მოწინავე კულტურას აზიარებდა და იხსნიდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად ჩამორჩენილი აგრესორების მხრივ ფიზიკური განადგურებისაგან. ამიტომ იყო რომ რუსეთი ძლიერდებოდა, მისი იმპერიის საზღვრები ფართოვდებოდა არა პოლიტიკური ექსპანსიით, არამედ უმთავრესად მის შემადგენლობაში მეზობელი არარუსი ხალხების ნებაყოფლობის საფუძველზე შესვლით. ყველაზე მთავარი და დადებითი კი, რაც ამ შეერთებას მოხდევდა, ის იყო, რომ რუსეთის განაპირა მხარეების ერები და სხვა ეროვნებები აქტიურად ებმებოდნენ რევოლუციურ ბრძოლებში, რომელსაც ეწეოდა თვით რუსი ხალხი ბურჟუაზიულ ბატონყმური ექსპლოატაციისაგან თავის გასათავისუფლებლად, ცარიზმის დასამხობად.

ახალ ისტორიულ ვითარებაში ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა დიდი რევოლუციონერი ვ. ი. ლენინი და მის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია. ვ. ი. ლენინს უდიდესი დამსახურება მიუძღვის კაცობრიობის წინაშე სოციალისტური რევოლუციის თეორიის შემუშავებაში, ეროვნული საკითხის მეცნიერულად შესწავლაში და კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის შექმნაში. ამ პოლიტიკამ შეაიარაღა ბოლშევიკების პარტია, შეაკავშირა რუსეთის ყველა ჩაგრული ერი და დარაჯმა ისინი ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ვ. ი. ლენინი განუზარტავდა რუს და ჩაგრული ერების სოციალისტებს ეროვნული საკითხის არსს და მნიშვნელობას, მათს მოვალეობას — ებრძოლათ თვითმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინმა განავითარა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, მოგვცა მისი ცნება და წამოაყენა ლოზუნგი ერების გამოყოფის უფლებების, თვით მათი დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოდ გამოყოფამდე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ გაათავისუფლა რუსეთის ყველა ხალხი სოციალური და ეროვნული ჩაგრებისაგან, გაუხსნა ფართო გზა პროგრესიკაენ, შეუქმნა უსაზღვრო ასპარეზი ყველა ერს, მათ შორის მცირერიცხოვან ერებსაც. სულ მალე, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ გამოაცხადა თავისი ეროვნული პოლიტიკა „რუსეთის ხალხთა უფლების დეკლარაციაში“, რომლის ტექსტი ვ. ი. ლენინის მიერ არის შედგენილი. რუსეთის იმპერიის ყველა არარუს ხალხს ეროვნული თვითგამორკვევის საკითხის გადაწყვეტის სრული თავისუფლება მიეცა.

ახალგაზრდა რუსეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ საერთაშორისო იმპერიალიზმის მიერ წამოწყებულმა ინტერვენციამ და ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა გარკვეული დროით დააყოვნა ქვეყნის ზოგიერთ განაპირა მხარეში საბჭოთა ხელიუფლების გამარჯვება და კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული ეროვნული პოლიტიკის ცხოვრებაში განხორციელება. ამიერიკავასიაში, მათ შორის საქართველოშიც სოციალისტურმა რევოლუციამ ცოტა მოგვიანებით გაიმარჯვა, მაგრამ ეროვნული აღმშენებლობის პროცესი რუსეთში მთლიანად მაინც არ შეწყვეტილა. ოქტომბრის რევოლუციის პირშომ — რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა რესპუბლიკამ, პირველმა სოციალისტურმა ფედერაციამ თავის ირგვლივ გაერთიანა მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერი და უკვე მაშინვე იქცა მრავალეროვანი სახელმწიფოს ნიმუშად.

სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე დღის წესრიგში დადგა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის საკითხი. „თვით ცხოვრება, უძნელესი ეკონომიკური, სოციალური, საგარეო-პოლიტიკური, თავდაცვითი ამოცანები, — თქვა თავის მოხსენებაში სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანა ი. ვ. ანდროპოვმა, — გვიარჩევდა ხალხების შეკავშირებას, იმ რესპუბლიკების გაერთიანების საჭიროებას, რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე რომ აღმოცენდნენ“².

ბოლშევიკების პარტია, ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპს რომ აყენებდა, ამასთან ერთად გამოდიოდა რუსეთის წვრილ თუ მცირე სახელმწიფოებად დაყოფის წინააღმდეგ. რუსეთში უცხოეთის ინტერვენციამ დაარწმუნა საბჭოთა რესპუბლიკები, რომ მათი ნამდვილი დამოუკიდებლობა და ეროვნული განვითარება, ერთა თვითგამორკვევის იდეა განუზორციელებელი ოცნება იქნებოდა სამეურნეო და სამხედრო დარგში საბჭოთა რესპუბლიკების მკიდრო თანამშრომლობის გარეშე. ამას განაპირობებდა უპირველესად საშინაო მიზეზები. იმით დანგრე-

² სსრ კავშირის 60 წელი, სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენება, გაზეთი „კომუნისტი“, 1982 წლის 22 დეკემბერი.

ული სახალხო შეურწმობის აღდგენისა და განვითარებისათვის აუცილებელი იყო რესპუბლიკების ნედლეულისა და რესურსების გაერთიანება. სოციალისტური რევოლუციის ერთ ქვეყანაში გაშარჩვება და კაპიტალისტური გარემოცვის არსებობა ასევე მოითხოვდა რესპუბლიკებს განეხორციელებინათ თავდაცვის ერთობლივი ღონისძიებები.

რესპუბლიკების გაერთიანებას, მათს კავშირს ამასთან საფუძვლად უნდა დასდებოდა სრული ნებაყოფლობის პრინციპი. „ჩვენ გვსურს, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ერების ნებაყოფლობითი კავშირი, — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებს ერთი ერის არავითარ ძალმძობრობას მეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნება სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, სავსებით სრულ ნებაყოფლობითს თანხმობაზე“³.

სსრ კავშირის შექმნის წინ დიდი და პრინციპული დავა წარმოებდა ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების, მათ შორის ამიერკავკასიის და საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში ფედერაციასა და კონკრეტული სახელმწიფო ფორმების განსაზღვრის თაობაზე. ცნობილია, რომ უკრაინის, ბელარუსიისა და საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უარყო რესპუბლიკების „ავტონომიზაციის“ პროექტი, რომელიც ვ. ი. სტალინმა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ზოგადი თმა სხვა წევრმა წამოაყენა. იმ ბოხოქარ ხანაში, როდესაც ყველა საკითხი გარკვეული არ იყო, საჭირო გახდა საქმეში ეროვნული საკითხის დიდოსტატის ვ. ი. ლენინის ჩარევა, რათა ყველაფერს თავისი ადგილი მისჩენოდა. ვ. ი. ლენინი მანინ ავადმყოფობდა და მისი არყოფნა მწვავედ იგრძნობოდა. მიუხედავად ამისა, ვ. ი. ლენინმა გამოახა საშუალება დეტალურად გასცნობოდა დისკუსიის მასალებს და გამოეთქვა თავისი მოსაზრებანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ყველა პრინციპულ საკითხზე. ეს დებულებები საფუძვლად დაედო სსრ კავშირის საბჭოების პირველი ყრალობის გადმწვეტილებებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. „რა არის ლენინის მიერ ნაჩვენები გზას არსი? — თქვა თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა, — მოკლედ იგი ასე შეიძლება გამოხატოს: ეს არის თავისუფალ ხალხთა კავშირის სრული ნებაყოფლობა, როგორც სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციის მაქსიმალური სიმტკიცის გარანტია. ეს არის ყველა ერისა და ეროვნების სრული თანასწორუფლებიანობა, მათი არა მარტო იურიდიული, არამედ აგრეთვე ფაქტობრივი უთანასწორობის დიკვიაციის გეგმა. ეს არის ყოველი რესპუბლიკის, თითოეული ეროვნების თავისუფალი განვითარება მათი ძმური კავშირის ფარგლებში. ეს არის ინტერნაციონალისტური შეგნებას განუხრებელი გამოშუშავება და ჩვენს ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების დაახლოების მტკიცე კურსი“⁴.

1922 წლის 80 დეკემბერი, სსრ კავშირის შექმნის თარიღი, როდესაც მიღებულ იქნა დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრ კავშირის შესახებ, სამუდამოდ დარჩება ისტორიაში. განვილილი საშოცი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანამ უდიდესი წარმატებები მოიპოვა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაში, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. პარტია, რომელიც განუხრებლად ასრულებს სკკპ X XIV, X XV და X XVI ყრილობებზე შემუშავებულ კურსს, აღწევს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს დინამიკურ განვითარებას. მათე ხუთწლიეში მეცხრე ხუთწლიელთან შედარებით ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 400 მილიარდი მანეთით, მრეწველობის პროდუქცია — 717 მილიარდი მანეთით. ამავე ვადაში ამოქმედდა 533 მილიარდი მანეთის ძირითადი ფონდები. აშენდა 1200-ზე მეტი დიდი სამრეწველო საწარმო. მუშა-მოსამახაზურეთა საშუალო ხელფასი გაიზარდა თითქმის 16 პროცენტით, კოლმეურნეთა შემოსავალი საზოგადოებრივი მეურნეობიდან — 28 პროცენტით. მარტო მათე ხუთწლიეში 31 მილიონზე მეტმა კაცმა გაიუჭოებეს საბინაო პირობები.

საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში დიდ წარმატებებს მიადწია საბჭოთა საქართველომ, მის ფარგლებში შემავალმა ავტონომიურმა ერთეულებმა — აფხაზეთის ახს რესპუბლიკამ, აჭარის ახს რესპუბლიკამ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა. „უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ეკონომიკური განვითარების ყველაზე განმაზოგადებელი მაჩვენებელი — ერთობლივი საზო-

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 348.
⁴ სსრ კავშირის 60 წელი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენება, გაზეთი „კომუნისტი“. 1982 წლის 22 დეკემბერი.



გადოებრივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი — შესაბამისად მ.წ.ჭერ და მ.წ.ჭერ გაიზარდა. ეს კი ნიშნავს, რომ ახლა რესპუბლიკა ერთ დღეში იმდენ შოლიან საზოგადოებრივ პროდუქტსა და ეროვნულ შემოსავალს აწარმოებს, რამდენსაც 4 დღეში აწარმოებდა 20 წლის წინათ“⁵.

ამჟამად ჩვენი ქვეყანა, მისი საგეგმო და სამეურნეო ორგანოები დიდ მუშაობას ეწევიან სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის. უოველი საბჭოთა ორგანო თითოეული ადამიანი მოვალეა ბეჭითად შრომობდეს სურსათის სიუხვის შექმნისათვის, სასურსათო პრობლემის საბოლოო გადაჭრისათვის. თავისი წვლილი ამ ამოცანის გადაწყვეტაში უნდა შეიტანოს რესპუბლიკის სამართალდაცვის ორგანოებშიც.

განვითარებული სოციალიზმის პირობებშიც ეროვნული საკითხი, ერთა ურთიერთობის პრობლემა კვლავაც არის კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვის საგანი. „მომწიფებული სოციალიზმის პირობებში, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა, — ერთა ურთიერთობის პრობლემები დღის წესრიგიდან არ იხსნება. მათ კომუნისტური პარტიის განსაკუთრებული ზრუნვა, მუდმივად უზრუნველდება სჭირდება. პარტია ღრმად უნდა სწავლობდეს მათს არსს, სახეადაც მათი გადაწყვეტის გზებს, შემოქმედებითად ამდიდრებდეს განვითარებული სოციალიზმის პრაქტიკით ეროვნული პოლიტიკის ღრინურ პრინციპებს“⁶.

საბჭოთა ხალხი, რომელიც დაუცხრომლად იბრძვის მშვიდობისათვის, იმედით შეეპურებს მომავალს, იცის, რომ მომავალი კომუნისტური ეკუთვნის. ამ ერთადერთი უტყუარ გზით მიხევს ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირის კოლექტიურ ბელადს — კომუნისტურ პარტიას და მის ღრინურ ცენტრალურ კომიტეტს.



⁵ საბჭოთა კავშირი, გულთა კავშირი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენება, გაზეთი „კომუნისტი“, 1982 წლის 14 დეკემბერი.

⁶ სსრ კავშირის 60 წელი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენება, გაზეთი „კომუნისტი“, 1982 წლის 22 დეკემბერი.

აკაპაღლოთ ხელმძღვანელთა პარტიალური პასუხისმგებლობა მიწოდებულ საქმისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა, რომელმაც შეაჯამა სამეურნეო წლის შედეგები და განსაზღვრა სამომავლო პროგრამა, უაღრესად გაზრდილი ამოცანები დაუსახა ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ვრცელ და შინაარსიან სიტყვაში, რომელიც პლენუმზე წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა, ღრმად არის გაანალიზებული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ნაჩვენებია სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების გზები, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად მთელი ორგანიზაციულ-პარტიული, პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური საქმიანობის სრულყოფისა და გარდაქმნის აუცილებლობა. „ეკონომიკის განუხრელი აღმავლობა, ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესება, — თქვა თავის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა, — ეს არის ჩვენი მოვალეობა საბჭოთა ადამიანების წინაშეც და ჩვენი ინტერნაციონალური მოვალეობაც. როცა საკითხს ასეთნაირად აყენებს, პარტია ხელმძღვანელობს ლენინის გამჭრიახი მითითებით იმის შესახებ, რომ ჩვენ მსოფლიო რევოლუციურ პროცესზე მთავარ ზეგავლენას ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით ვახდენთ“¹.

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მრუნველობის საბაზო დარგების განვითარების საკვანძო პრობლემებს, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, პარტიის ამოცანებს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და ქვეყნის სასურსათო პროგრამის შესრულების საქმეში. სახალხო მეურნეობაში შექმნილი საქმის ვითარება გადმოცემულია შეუღამაზებლად, აღნიშნულია ის სიძნელენი, დისპროპორციები და ნაკლოვანებანი, რომლებიც შეიმჩნევა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, დასახულია უახლეს ვადაში მათი დაძლევის გზები და საშუალებანი.

ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს პლენუმმა დაუსახა ამოცანა—მტკიცედ მოჰკიდონ ხელი ფართო მოხმარების საქონლის წარმოების საქმეს და მთლიანად აგონ პასუხი მისი გადაწყვეტისათვის. ამაში კიდევ ერთხელ ვლინდება პარტიის მიზანი, რომ საბჭოთა ადამიანები წლითინლობით უკეთ ცხოვრობდნენ და მათს შრომას უფრო მნიშვნელოვანი

¹ საბჭოთა კავშირის კონსტრუქციული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1982 წ. გვ. 16.



შედეგები მოჰქონდეს მთელი საზოგადოებისათვის. წარმატებების გარანტიას ჩვენს აღმშენებლობითს შრომაში იძლევა სოციალისტური წყობილება, რომლის შესაძლებლობანი ნამდვილად რომ ამოუნურავია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მინდობილი საქმისათვის ხელმძღვანელის პერსონალური პასუხისმგებლობის ამადლების საკითხს. ხელმძღვანელი მოვალეა უზრუნველყოს მთელი კოლექტივის ხარისხიანი, ნაყოფიერი მუშაობა, მხარი დაუჭიროს მასებიდან მომდინარე ინიციატივას, გერგილიანობას მუშაობაში, გადაჭრით წინააღმდეგე უწყებრიობასა და კუთხურობას, განამტკიცოს შრომის და საშემსრულებლო დისციპლინა, აღკვეთოს უსაქმურობისა და უპასუხისმგებლობის ფაქტები, სრულყოფილად გამოიყენოს უდიდესი რეზერვები, რაც ჩვენს სახალხო მეურნეობას აქვს.

ერთ-ერთ ასეთ რეზერვად პლენუმმა მიიჩნია მომჭირნეობა და სახალხო დოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულება, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი გეგმების რეალობას. „ჩვენ, — თქვა თავის სიტყვაში ი. ვ. ანდროპოვმა, — მრავლად გვაქვს შემოქმედებითი მუშაობის, სახალხო დოვლათისადმი ნამდვილად მზრუნველი დამოკიდებულების მაგალითები. მაგრამ ეს გამოცდილება, სამწუხაროდ ვერ პოულობს ჯეროვან გავრცელებას. არადა, აქ ხშირად არც არის საჭირო განსაკუთრებული დანახარჯები. მაშასადამე, გვკლებია სხვა რამ ინიციატივა და მტკიცე ბრძოლა უყაირაობის, მფლანგველობის წინააღმდეგ.“

...ამ ამოცანას მხოლოდ მაშინ გადავწყვეტთ, თუ ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი საწარმოების, ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თითოეული მუშა, ყოველი მშრომელი“².

ამ საკითხის გადაწყვეტას საარსებო მნიშვნელობა აქვს და მის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ რესპუბლიკის სამართალდაცვის ორგანოებმა, უპირველესად პროკურატურამ და მისმა საერთო ზედამხედველობის სამსახურმა. საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ნედლეულისა და მატერიალური რესურსების დაზოგვას, მკაცრი კონტროლი დაწესდეს იმისადმი, რომ უცილობლად შესრულდეს ეკონომიკის გადიდებული დავალებანი, რაც გვემით არის დაწესებული სახალხო მეურნეობის ყველა ობიექტისათვის. საჭიროა მივალწიოთ, რომ ყველგან ყაირათიანად იყენებდნენ ქვანახშის, ნავთობს, ბუნებრივ გაზს, სხვა ენერგეტიკულ რესურსებს. როგორც პლენუმზე ითქვა, მატერიალური რესურსების დაზოგვის საკითხი უნდა განვიხილოთ ახლებურად და არა ისე, რომ „დაზოგავკარგია, არ დაზოგავ და არც ამით დაშავდება რამე“. იქ კი, სადაც ეს ხდება, მოწმობს, რომ ამ უწყების საწარმოების „ხელმძღვანელები უგულვებელყოფენ ინტენსიფიკაციის ისეთ დიდი მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიც არის მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენება. არადა, მასალათმფლობის, დანაკარგების შემცირება, წარმოების წარჩენებისა

² საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, „საბჭოთა საქარველო“, თბ., 1982 წ. გვ. 16.



და მეორეული ნედლეულის უფრო სრული გამოყენება ეს ახლა ამოცანათა ამოცანაა, ეს, როგორც ითქვას, ჩვენი გეგმების რეალობის საკითხია³.

საქართველოს კომპარტიის XI პლენუმზე აღინიშნა, თუ რას იძლევა მატერიალური დანახარჯების შემცირება და პროგრესული ნორმირება და მოყვანილი იქნა ასეთი მონაცემები: რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებმა წლის განვლილ პერიოდში დაზოგეს ორი ათას ტონაზე მეტი შავი ლითონების ნაგლინი, დაახლოებით ექვსი ათასი ტონა ცემენტი, ექვსი ათას კუბურ მეტრზე მეტი ხე-ტყის მასალა, 9 ათას ტონაზე მეტი დიზელის საწვავი, 23 ათასი ტონა ავტობენზინი.

მოკლედ რომ ვთქვათ, რესპუბლიკის სამართალდაცვის ორგანოებმა, უპირველესად კი პროკურატურამ, ყოველი ღონე უნდა იხმარონ მომჭირნეობის რეჟიმის განუხრელი დაცვისათვის, უფრო მკაცრად მოჰკითხონ ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკებს ნედლეულისა და მატერიალური რესურსების ნორმებისა და ლიმიტების გადახარჯვისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ტრანსპორტის საქმიანობა, ილაპარაკეს მისი გაუმჯობესების საკითხებზე. „პოლიტიბურო, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა, — შეშფოთებულია საქმის ვითარებით ტრანსპორტზე. გზათა სამინისტრო კვლავინდებურად ვერ უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას სათბობის, ხე-ტყის, სხვა ტვირთის გადაზიდვაზე.

...რკინიგზების მუშაობის მაჩვენებლები, სამწუხაროდ, წლითწლილობით უარესდება იმ სერიოზული დახმარების მიუხედავად, რომელსაც გზათა სამინისტროს მთავრობა უწევს“⁴.

ტრანსპორტზე სრული წესრიგის დამყარების საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურატურის მუშაკებს. ისინი მოვალენი არიან სისტემატურად შეისწავლონ, როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი რკინიგზელების სოციალური პირობების გაუმჯობესების, რკინიგზაზე სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, ტრანსპორტის ექსპლოატაციისა და მოძრაობის ორგანიზაციის საკითხებზე. მიღებული სიგნალები მოწმობს, რომ ტრანსპორტის პროკურატურის ზოგიერთი მუშაკი ვერ იჩენს პრინციპულობას, ბოლომდე არ იბრძვის ტრანსპორტზე გამოვლენილი სერიოზული დარღვევების აღსაკვეთად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო ყველა სფეროში სახელმწიფო და შრომის, აგრეთვე საშემსრულებლო დისციპლინის ამაღლების საკითხებს. ფაქტები მოწმობს, რომ რეს-

³ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ ცენტრალურ კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებზეა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის გეგმის შესრულების საქმეში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის აშხანაგ ე. ა. შვეარდნაძის ნახსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმზე 1982 წლის 2 დეკემბერს, გაზეთი „კომუნისტი“, 1982 წლის 3 დეკემბერი.

⁴ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1982 წ., გვ. 14.

პუბლიკის სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ დიდი დანაკარგებია უდისციპლინობის, არაორგანიზებულობის, უპასუხისმგებლობის გამო. ყოველივე ამას ბოლო უნდა მოეღოს. სამართალდაცვის ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შიქიქმნას ისეთი ეკონომიკური და ორგანიზებული პირობები, რომელიც გამორიცხავს დისციპლინის დარღვევას, უსაქმურობას, ხელს შეუწყობს მუშაობაში გერგილიანობის დანერგვას.

სამართალდაცვის ორგანოებს, მის მუშაკებს მხოლოდ მაშინ ექნებათ მორალური უფლება მოსთხოვონ სხვებს მაღალი ორგანიზებულობა, სახელმწიფო კანონების განუხრელი დაცვა, როდესაც ისინი თვითონ იქნებიან ამ მხრივ სამაგალითონი

სამწუხაროდ, ფაქტები მოწმობს, რომ სამართალდაცვის ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელი დროულად არ ასრულებს ზემოდან მიღებულ დირექტივას, უყარათოდ ფლანგავს სამუშაო დროს, მაღალ მომთხოვნელობას არ იჩენს დაქვემდებარებული მუშაკისადმი. მაგალითად, დაგვიანებით ან საერთოდ არ ასრულებენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დავალებებს რუსთავისა და ფოთის საქალაქო სასამართლოები, ბოგდანოვის, თეთრი წყაროს, თიანეთის, მცხეთის, ჩოხატაურის და სხვა რაიონების სახალხო სასამართლოები. ყოველივე ამას გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს ვხვდებით პროკურატურის ორგანოებშიც. რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგია, რომელიც მტკიცედ იბრძვის სისტემაში სანიმუშო დისციპლინის დამყარებისათვის, იძულებული ხდება სამუშაოდან გაათავისუფლოს და ორგანოებიდანაც კი დაითხოვოს ის მუშაკები, რომლებიც უხეშად არღვევენ სწორედ საშემსრულებლო დისციპლინას.

წლეულს გაზეთი „პრავდა“ თავის 27 დეკემბრის მონინავეში წერდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წესრიგის განმტკიცების თაობაზე და მიუთითებდა, რომ ისე უნდა მოგვარდეს „იურიდიული კანტორები“ და სასამართლოების, კომუნალური მეურნეობის მუშაობის გრაფიკი, რომ საწარმოთა მშრომლებს შეეძლოთ თავისუფალ დროს ყველა მომსახურებით სარგებლობა“. ამ კრიტიკიდან საჭირო დასკვნები უნდა გამოიტანონ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და მისმა შესაბამისმა სამმართველომ.

კადრები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ოქროს ფონდია. ჩვენ ყოველმხრივ მოვალენი ვართ გავუფრთხილდეთ მათ ავტორიტეტს, აღვზარდოთ ისინი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, ჩავუნერგოთ მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. მხოლოდ ასეთ კადრებს, ასეთ ხელმძღვანელებს ძალუძთ იყვნენ თანამედროვე ამოცანების დონეზე, კეთილსინდისიერად და ხარისხიანად შეასრულონ მინდობილი საქმე.



სსრ კავშირის შექმნისათვის ამიერკავკასიის კომუნისტების ბრძოლის ისტორიიდან

გვ. შვანია,

ჩვენი სამშობლო, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები დიდი ზეიმით აღნიშნავენ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს. დროის ამ უმნიშვნელო მონაკვეთში — ექვსი ათეული წლის მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ გადადგა გიგანტური, საუკუნეების ტოლი ნაბიჯი კომუნიზმის გზაზე. სსრ კავშირის შექმნა და განმტკიცება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიულ საქმეთა ლოგიკური განგრძობაა, კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპების გამარჯვება, ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის იდეების ტრიუმფია.

სსრ კავშირის შექმნამ, ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის შესახებ“, გიგანტურად დააჩქარა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი განვითარება, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.

სსრ კავშირი თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების მეგობრული ოჯახია, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულების ნიმუში.

* * *

სსრ კავშირის შექმნა იყო ვ. ი. ლენინის საქმე, მთელი პარტიის საქმე. ამ საერთო-პარტიულ, საერთო-სახალხო ბრძოლაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებსაც. ისინი იყვნენ სსრ კავშირის შექმნის საბჭოთა რესპუბლიკების გამაერთიანებელი მოძრაობის ერთი ინიციატორები.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციების, მათი ცენტრალური კომიტეტების წინაშე იმ პერაოდში გაცილებით რთული და ძნელი ამოცანები იდგა, ვიდრე რომელიმე სხვა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა წინაშე. ამ ამოცანების გადასაწყვეტად მათ დიდი სიძნელეების დაძლევა უხდებოდათ.

ჯერ ერთი, ამიერკავკასიის რესპუბლიკები სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით თითქმის სსრ კავშირის შექმნისათვის ბრძოლის დასაწყის პერიოდში წარმოიშვნენ, თავიანთი საბჭოთა ისტორიის რაღაც თვეებს ითვლიდნენ. რაც შეეხება სხვა რესპუბლიკებს, კერძოდ, რუსეთის სფს რესპუბლიკას, უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკებს, მათ უკვე ჰქონდათ თავისი არსებობის ორი, სამი წლის და მეტი ხნის ისტორია. ამიტომ ამ რესპუბლიკათა პარტიულ ორგანიზაციებს, როგორც მმართველ ორგანიზაციებს, დაგროვილი ჰქონდათ სახელმწიფო მშენებლობის საკმაო გამოცდილება.

ცხადია, ეს გარემოება აძნელებდა სსრ კავშირის შექმნისათვის ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლას.

მეორე, და ამავე დროს მთავარი ის იყო, რომ სხვა რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციებისაგან განსხვავებით ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს სსრ კავშირის შექმნისათვის ბრძოლასთან ერთად მოუხდათ ისეთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელება, როგორც იყო ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა.

ცხადია, ეს გარემოებაც სიძნელეს უქმნიდა ამიერკავკასიის ბოლშევიკებს. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისათვის ბრძოლის პერიოდში პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ზოგიერთ ხელმძღვანელს ხშირად ავიწყდებოდა ვ. ი. ლენინის არაერთგზისა მითითება, რომ ეროვნული საკითხი „მსოფლიო საკითხია“, რომ აქ „არქიწინდახედულობაა საჭირო“, რომ ამ „საკითხში ხუმრობა არ შეიძლება“, და საჭიროა „1000-მაგად“ სიფრთხილე. ისინი ზოგჯერ არ ითვალისწინებდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების პირობების თავისებურებებს, ხშირად მიმართავდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხის მემარცხენულად გადაჭრას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზოგჯერ მათი პრაქტიკა ფედერაციისათვის ბრძოლაში მეტისმეტი გატაცების გამო ველიკორუსული შოვინიზმისაკენ გადახრის ელფერს ღებულობდა.

ცხადია, რამდენადმე ეს გარემოებაც აფერხებდა როგორც ფედერაციის, ისე სსრ კავშირის შექმნისათვის ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლის საქმეს.

მაგრამ ეს კიდევ როდი იყო ყველაფერი. სიძნელეებს ისიც ქმნიდა, რომ ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ცენტრალური კომიტეტების, კერძოდ, საქართველოსა და აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციების ცენტრალური კომიტეტების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი ვერ ჩასწვდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის ფორმებისა და ნეთოდების სირთულეს, პარტიის ეროვნული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის არსს, მათ ვერ გაიგეს, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ფედერაციას ამიერკავკასიის კონკრეტულ-ისტორიული პირობებისათვის, თუმცა უსაფუძვლოდ აშინებდათ ის, რომ ფედერაციის შექმნით შეიზღუდებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების უფლებები. მათი აზრით, უფედერაციოდ სსრ კავშირის შემადგენლობაში უშუალოდ შესვლით შეძლებდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკები თავიანთი ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას, მხარის ხალხებს შორის ეროვნული მშვიდობის დამყარებას. ამისა და ზოგიერთი ნაციონალისტური ელფერის მატარებელი შეცდომის გამო ისინი აბრკოლებდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას.

ასეთი რთული ამოცანებისა და დაბრკოლებების მიუხედავად ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ვ. ი. ლენინის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით წარმატებით გაართვეს თავი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის ურთიერთობის ახალი ფორმის — ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ისტორიულ საქმეს. მათ ასევე დიდი წვლილი შეიტანეს სსრ კავშირის შექმნის ლენინური იდეას პრაქტიკულა განხორციელებისათვის საერთო-პარტიულ ბრძოლაში.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისათვის ბრძოლის გზაზე ბოლშევიკური ორგანიზაციები პირველ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად მიიჩნევდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკურ გაერთიანებას.

ამასთან ბოლშევიკური ორგანიზაციები გამოდიოდნენ ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითებებიდან, რომლებიც 1921 წლის 9 აპრილს მისცა მან ამ საკითხზე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროსა და ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს „დაბეჭითებით მოვითხოვ შექმნათ საოლქო სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის“¹.

ორი დღის შემდეგ, 11 აპრილს ვ. ი. ლენინმა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში განაცხადა. „საქმე ეხება კავკასიის რესპუბლიკების საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების გაერთიანებას ერთ სამეურნეო ცენტრად“².

ასეთი იყო ვ. ი. ლენინის მითითებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანების საკითხზე.

ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე 1921 წლის 16 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომ უახლოეს დროში შემუშავებულიყო მთელი ამიერკავკასიის ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანების გზაზე კი პირველ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების რკინიგზების გაერთიანება. ინიციატივა აქაც პირველად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს რევკომმა გამოიჩინეს. საკითხის გადასაწყვეტად ამავე დღეს 16 აპრილს თბილისში ვაიმართა აგრეთვე ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც მიიღო დადგენილება საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკების რკინიგზების ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების რკინიგზად გაერთიანების შესახებ. მალე მას მოჰყვა მასთან განუყრელად დაკავშირებული ახალი ღონისძიება. აგვისტოს ბოლოს ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირების პირველმა ყრილობამ, რომელიც თბილისში ვაიმართა, გააერთიანა ამიერკავკასიის რესპუბლიკების რკინიგზელთა პროფკავშირები და შექმნა მათი საერთო ხელმძღვანელი ცენტრი — ამიერკავკასიის რკინიგზელთა პროფესიული კავშირის საბჭო.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანების გზაზე შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკების შეთანხმება საგარეო ვაჭრობის ორგანოების გაერთიანების თაობაზე. ეს შეთანხმება დაიდო 1921 წლის 2 ივნისს, შეიქმნა საგარეო ვაჭრობის ერთიანი კოლეგია. მალე გაუქმებულ იქნა საბაჟოები ამ რესპუბლიკებს შორის. ასევე გაუქმებულ იქნა საბაჟოები ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და საბჭოთა რუსეთს შორის.

1921 წლის 7 აგვისტოს თბილისში გაიხსნა კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური თათბირი, რომელმაც სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განიხილა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანების

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 510.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 449.

საკითხი. თათბირის მიერ მოღებული გადაწყვეტილება იყო წინგადადგმული ნაბიჯი ამიერკავკასიის რესპუბლიკების მჭიდროდ შეკავშირებისა და სამეურნეო-სამხედრო სფეროში გაერთიანების გზაზე. თათბირმა ეხადყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანების აუცილებლობა, მისი მნიშვნელობა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების ეკონომიკურად აყვავებისათვის.

16 აგვისტოს ეკონომიკური თათბირის შედეგები განიხილა და მოიწონა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმმა. პლენუმმა განსაზღვრა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანების კონკრეტული გზები.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავშიუროს პლენუმმა გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ვ. ი. ლენინმა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ 25 აგვისტოს სპეციალურად განიხილა ამიერკავკასიის ეკონომიკური ბიუროს შექმნის შესახებ კავკასიის ბიუროს დადგენილება და აღიარა იგი როგორც „აუცილებელი და სავსებით მომწიფებული საქმე“. პოლიტიბიურომ დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ ფართოდ განემარტათ პარტიის ყველა წევრისა და მშრომელებისათვის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანებისათვის, მშრომელთა ძმური სოლიდარობის განმტკიცებისათვის, ნაციონალიზმის გადმონაშთების დაძლევისა და კავკასიის რესპუბლიკების განმტკიცებისათვის.

ამ და მრავალი სხვა ღონისძიების წარმატებათ განხორციელების შემდეგ დაისვა უფრო ფართო ამოცანა — ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა. გადაწყვეტილება ამ საკითხზე პირველად მიიღო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმმა 1921 წლის 3 ნოემბერს. პლენუმმა ამ საკითხზე ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც „გადაუდებლად და აუცილებლად“ მიიჩნევა ფედერაციული კავშირის დამყარებას რესპუბლიკებს შორის.

1921 წლის 14 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების შესახებ კავკასიის ბიუროს მიერ 3 ნოემბერს მიღებული დადგენილება და აღიარა იგი, როგორც „დაუყოვნებლივ შესასრულებელი“.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ კავკასიის ბიუროს დადგენილება მოიწონეს ვ. ი. ლენინმა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 29 ნოემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ და აღიარა იგი როგორც „პრინციპულად აბსოლუტურად სწორი“ და „უეჭველად“ განსახორციელებელი. დადგენილების პროექტი შედგენილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნას მხარი დაუჭირეს: 1921 წლის დეკემბერში — ამიერკავკასიის პირველმა პარტიულმა კონფერენციამ, 1922 წლის იანვრის ბოლოს საქართველოსა და სომხეთის კომპარტიების პირველმა ყრილობებმა და აზერბაიჯანის კომპარტიის მეოთხე ყრილობამ, თებერვლის დამლევეს — საქართველოსა და სომხეთის საბჭოების ყრილობებმა, აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შესამე სესიამ, ამიერ-

კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველმა ყრილობამ და ამიერკავკასიის პროფკავშირების პირველმა ყრილობამ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციისათვის ბოლშევიკების დაძაბულმა ბრძოლამ თავისი ისტორიული საქმე გააკეთა, შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი.

* * *

ამიერკავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური შეკავშირებისა და საქარველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებს შორის ფედერაციული კავშირის დამყარებისათვის ბრძოლასთან ერთად ბოლშევიკები დიდ მუშაობას ეწეოდნენ, რომ დაენერგათ ამიერკავკასიის მშრომელებში რუსი და სხვა ხალხებისადმი ნდობა და სიყვარული. განემტკიცებინათ ერთა მხრივ, ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და, მეორე მხრივ, რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის მეგობრობა, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა.

ამ დიდ საქმეს ემსახურებოდა სამხედრო-ეკონომიკური კავშირის შესახებ რუსეთის სფს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის 1920 წლის 30 სექტემბერს დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულება. ასეთივე ხასიათის ხელშეკრულებები დაიდო 1921 წლის 21 მაისს რუსეთის სფს რესპუბლიკასა და საქართველოს შორის, ხოლო იმავე წლის 30 სექტემბერს — რუსეთის სფს რესპუბლიკასა და სომხეთს შორის. ამას გარდა ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა განახორციელეს მრავალი სხვა ღონისძიება, რომლებიც ხელს უწყობდა საბჭოთა რუსეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული ურთიერთობის კალამაგებას. მაგრამ ქვეყნის უაღრესად მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობა, სოციალიზმის მშენებლობის ამოცანები, იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრივ მუდმივი საომარი საფრთხისაგან ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფის ამოცანები დღის წესრიგში აყენებდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ კავშირად გაერთიანებას. 1922 წლისათვის უკვე არსებობდა ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელებისათვის საჭირო პოლიტიკური და ეკონომიკური წინამძღვრები.

1922 წლის 11 აგვისტოს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წინადადებით რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურომ შექმნა კომისია, რომელსაც ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის უნდა მოემზადებინა რუსეთის სფს რესპუბლიკისა და დამოუკიდებელი ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობის საკითხზე რეზოლუციის პროექტი. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ი. ბ. სტალინი, ვ. ვ. კუბიშევი, გ. კ. ორჯონიკიძე, ქ. გ. რაკოვსკი, გ. ი. სოკოლონიკოვი და ეროვნული რესპუბლიკების უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს წარმომადგენლები. ი. სტალინმა კომისიის სხვა წევრებთან ერთად შეიმუშავა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს შესვლას რუსეთის ფედერაციაში ავტონომიის უფლებებით. ეს პროექტი რომლის შედგენაში ავადმყოფობის გამო არ მონაწილეობდა ვ. ი. ლენინი, ფაქტობრივად მოიწონა რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და განსახილველად დაუგზავნა რესპუბლიკების კომპარ-

ტიების ცენტრალურ კომიტეტებს. მათმა უმრავლესობამ მალე განიხილა და მოიწონა იგი.

1922 წლის 15 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა „ავტონომიზაციის“ პროექტი და მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „სტალინის თეზისების საფუძველზე დამოუკიდებელი რესპუბლიკების ავტონომიზაციის ფორმით გაერთიანების მოთხოვნა ჩაითვალოს ნაადრევად.“

სამეურნეო ღონისძიებებისა და საერთო პოლიტიკის გაერთიანებას ვთვლით საჭიროდ, მაგრამ დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით“.

ეს „ავტონომიზაციის“ პროექტის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლას ნიშნავდა. პლენუმის მუშაობაში მონაწილე 39 კაციდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ რეზოლუციას მხარი დაუჭირა 32 კაცმა, 7 კაცმა მხარი დაუჭირა „ავტონომიზაციის“ პროექტს და ხმა მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციის წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის მიერ „ავტონომიზაციის“ პროექტის უარყოფამ გაამწვავა ურთიერთობა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეთო კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ „ავტონომიზაციის“ პროექტის ნაცვლად მიღებული რეზოლუციის არც ერთი დებულება არ ეწინააღმდეგებოდა ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებულ პარტიის ეროვნული პროგრამის მოთხოვნებს, ბურჟუაზიის იდეოლოგებმა დაუყოვნებლივ სცადეს, რომ გამოეყენებინათ ეს პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკისა და პრაქტიკის ფალსიფიკაციისათვის. ისინი ხოტბას ასხამდნენ ქართველ კომუნისტებს. იმისათვის, რომ ვითომც მათ პირველებმა აღმართეს ხელი ბოლშევიკების „დიდმპყრობელური პოლიტიკის“ წინააღმდეგ და თითქოს ისინი პირველები გამოვიდნენ სსრ კავშირის შექმნის წინააღმდეგ. ამ ხერხებს ბურჟუაზიული იდეოლოგები დღესაც ხშირად მიმართავენ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია... რომ ზოგჯერ ბურჟუაზიულ იდეოლოგებს ამის მტკიცების საბაზს აძლევს ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსაც, როცა ისინი რეზოლუციას „ავტონომიზაციის“ წინააღმდეგ აფასებენ, როგორც საქართველოს კომპარტიის გამოსვლას სსრ კავშირის შექმნის წინააღმდეგ. საკამათო არ არის, რომ სსრ კავშირის შექმნის წინააღმდეგ ქართველი კომუნისტები არ გამოსულან არც მაშინ, როცა გაჩაღებული იყო ფართო მოძრაობა ასეთი კავშირის შექმნისათვის, და არც შემდეგ. ქართველი კომუნისტების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ეს „ბრალდება“ აშკარად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

ამიერკავკასიის სამხარეთო კომიტეტმა უყურადღებოდ დატოვა ის ფაქტი, რომ „ავტონომიზაციის“ პროექტის წინააღმდეგ გამოვიდა ჩვენი პარტიის უძველესი და ძლიერი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

24 სექტემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ მოამზადა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დასამტკიცებლად „ავტონომიზაციის“ პროექტის საბოლოო ვარიანტი. კვლავ ძალაში რჩებოდა პროექტის პირვანდელი ვარიანტის ძირითადი მოთხოვნა, რომლის თანახმად რსფსრ-ს შემადგენ-

ლობაში რესპუბლიკები შედიოდნენ, როგორც ავტონომიური ერთეულები. აქედან გამომდინარე ზედმეტი ხდებოდა ამიერკავკასიის ფედერაცია, რომლის შექმნისთვისაც ბოლშევიკები თითქმის მთელი წელიწადნახევარი იბრძოდნენ.

17236

ვ. ი. ლენინი ავადმყოფობის გამო „ავტონომიზაციის“ პროექტს გაეცნო გვიან 26 სექტემბერს ე. ი. მას შემდეგ, რაც ეს პროექტი განიხილეს პარტიის ეროვნული რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტმა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განსახილველად მზად იყო მისი საბოლოო ვარიანტი იმავე დღეს ვ. ი. ლენინი გორკადან წერილობით აცნობებს, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრებს, რომ მას იმ დღეს საუბარი ჰქონია ი. სტალინთან რსფსრ-ში დამოუკიდებელი რესპუბლიკების შესვლის შესახებ შედგენილი რეზოლუციის პროექტის თაობაზე. იგი პოლიტიბუროს წევრებს აცნობებდა აგრეთვე, რომ მას შეხვედრა ექნება მდივანთან: „ხვალ ვნახავ მდივანს (ქართველი კომუნისტი, რომელიც ეჭვმიტანილია „დამოუკიდებლობაში“). ვ. ი. ლენინის მიერ სიტყვის „დამოუკიდებლობაში“ ბრჭყალებში ჩასმა, ცხადია, არ იყო შემთხვევითი. საქმე ის არის, რომ ვ. ი. ლენინს სრულებითაც არ მიაჩნდა „ავტონომიზაციის“ პროექტის წინააღმდეგ მდივანისა და მისი ჯგუფის გამოსვლა პარტიის ეროვნული პოლიტიკის უარყოფად, საბჭოთა რუსეთთან საქართველოს კავშირისა და მეგობრობის შეუფასებლობად, შემდეგ, ეხება რა სსრ კავშირის შექმნის საკითხს. როგორც „ფრიალ მნიშვნელოვანს“, ვ. ი. ლენინი წერს: „მთავარია, რომ ჩვენ არ მივცეთ საფუძველი „დამოუკიდებლებს“ არ მოვსპოთ დამოუკიდებლობა, არამედ შევქმნათ... თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების ფედერაცია“.

სიტყვებში: „არ მოვსპოთ მათი დამოუკიდებლობა“, ვ. ი. ლენინს მხედველობაში ჰქონდა ავტონომიზაციის პროექტი, რომელიც ფაქტობრივად გამოირიცხავდა რესპუბლიკათა დამოუკიდებელ არსებობას.

ვ. ი. ლენინის აღნიშნული წერილი შეიცავს ი. სტალინის მიერ შედგენილ პროექტზე მრავალი არსებითი ხასიათის შენიშვნას. მან ფაქტობრივად წამოაყენა პრინციპულად განსხვავებული პროექტი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებისა. „ეს არის ჩემი წინასწარი პროექტი. მდივანთან და სხვ. ამხანაგებთან საუბრის საფუძველზე დაფუძნებ და შევცვლი“ — ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა ვ. ი. ლენინის აღნიშნული წერილი პოლიტიბუროს წევრებისადმი. ამ შემთხვევაშიც ფრიალ საგულისხმოა სიტყვები: „მდივანთან და სხვ. ამხანაგებთან საუბრის საფუძველზე დაფუძნებ და შევცვლი“. ეს შეხვედრები მართლაც შედგა 27 სექტემბერს და 29 სექტემბერს. ორივე შეხვედრაზე საუბრის ძირითადი შინაარსი იყო საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი.

მართლაც, ვ. ი. ლენინმა საჭიროდ მიიჩნია კიდევ ახალი დამატებების შეტანა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ რეზოლუციის პროექტში, რომელიც უნდა განეხილა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ოქტომბერს მაგრამ, ვინაიდან ვ. ი. ლენინს ავადმყოფობის გამო არ შეეძლო პლენუმზე დასწრება და რეზოლუციის პროექტის განხილვაში უშუალო მონაწილეობის მიღება იგი იმავე დღეს კამენევს სწერს ბარათს პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეს ბარათი მოცულობით პატარაა, სულ 10 სტრიქონია, მაგრამ მასში დაყენებულია დიდი პრინციპული მნიშვნელობის პროგრამული მოთხოვნები, რომლებიც დღესაც ინარჩუნებენ სახელმძღვანელო მნიშვნელობას.

მ. შარტის სახ. სამ.
სსრ. სახელმწიფო
არსებობისათვის

ვ. ი. ლენინის ბარათის პირველი აბზაცი ასე იწყება: „ველიკორუსულ შოვინიზმს ვუცხადებ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას. როგორც კი გავთავისუფლდები ამ წყეული კბილისაგან, ჩემივე სალი კბილებით დავგლეჯ მას“.

ამ სტრიქონებში, ვფიქრობთ, არაფერია გაუგებარი და უცხო. ვ. ი. ლენინი, როგორც ცნობილია, ყოველთვის, უკომპრომისოდ იბრძოდა, როგორც ველიკორუსული შოვინიზმის, ისე ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ამ შემთხვევაში მას მიერ ვილიკორუსული შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხის ასე გადაჭრით დაყენება, და ისიც იმ დღეს, როცა ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სპეციალურად განიხილავდა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ რეზოლუციის პროექტს, ცხადია, არ იყო გაუთვალისწინებელი, შემთხვევითი დამთხვევა. ეს განაპირობა ორმა გარემოებამ: ჯერ ერთი, ვ. ი. ლენინი „ავტონომიზაციის“ პროექტში ხედავდა ველიკორუსული შოვინიზმის აშკარა ტენდენციებს, და, მეორე, რაც ასევე მთავარია, ამ პროექტს იცავდნენ არა მარტო ისინი, ვისი ინიციატივითაც იგი შეიქმნა, არამედ მომხრეებიც. სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზები ვ. ი. ლენინის მიერ დიდმპყრობელურ შოვინიზმთან საკითხის ასე პრინციპულად დაყენებისა და ისიც, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის დაწყების დღეს, 6 ოქტომბერს.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ვ. ი. ლენინის ბარათის უკანასკნელი, მეორე აბზაცი, სადაც იგი მთელი პრინციპულობით აყენებს რეზოლუციის პროექტში დიდი პროგრამული მნიშვნელობის დამატების შეტანას: „საჭიროა აბსოლუტურად დაჟინებით მოვითხოვოთ, რომ კავშირის ცაქ-ში რავრიგობით თავმჯდომარეობდნენ:

რუსი

უკრაინელი

ქართველი და სხვ.

აბსოლუტურად!“³

რამდენმე სიტყვისაგან შემდგარი ეს სტრიქონები გვაძლევს ნათელ წარმოდგენას იმ დიდ მზრუნველობაზე, რომელსაც ვ. ი. ლენინი იჩენდა დამოუკიდებელი რესპუბლიკებისადმი, მათი მოთხოვნებისა და უფლებებისადმი. ასევე შემთხვევითი არ არის ვ. ი. ლენინის მიერ სამ რესპუბლიკას შორის საქართველოს დასახელებაც.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა მოიწონა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ლენინური იდეა და დანაშნა კომისია საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების მოსამზადებელი მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

ამრიგად, „ავტონომიზაციის გეგმის“ წინააღმდეგ ვ. ი. ლენინის პრინციპულმა ბრძოლამ გააკეთა დიდი ისტორიული საქმე. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ ვ. ი. ლენინი იყო სსრ კავშირის შექმნის სული და გული.

ვ. ი. ლენინის გენია რომ არა, ძნელი წარმოსადგენია, როგორ განვითარდებოდა ეროვნებათა შორის ურთიერთობა ჩვენს ქვეყანაში, რამდენად მტკიცე და მყარი იქნებოდა სხვადასხვა ეროვნებათა ხალხებს შორის. არსებული შეგობრობა, რამდენად მტკივნეული იქნებოდა ეროვნული რესპუბლიკე-

³ ვ. ი. ლენინი, ობზ., ტ. 33, გვ. 438.



ბისათვის ბრძოლით მოპოვებულ თავიანთ სახელმწიფოებრიობაზე ხელის აღება.

მას შემდეგ, რაც რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო რეზოლუცია სსრ კავშირის შექმნის შესახებ, ყველგან ფართო კამპანია გაჩაღდა მისი განხორციელებისათვის, ყველგან ერთსულოვნების ატმოსფერო სუფევდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებშიც საყოველთაო-სახალხო მოწონება პოვა სსრ კავშირის შექმნის ლენინურმა იდეამ.

სსრ კავშირის შექმნისათვის ბრძოლის პარალელურად ამიერკავკასიის ბოლშევიკები დიდ მუშაობას ეწეოდნენ აგრეთვე ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის გარდაქმნისათვის ერთიან ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის უთანხმოებამ, რომელიც რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის მიერ სსრ კავშირის შექმნის შესახებ მიღებული დადგენილების შემდეგ, მნიშვნელოვნად შენედა, კვლავ იჩინა თავი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სსრ კავშირის შექმნის საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ ამიერკავკასიის ფედერაცია ზედმეტ საფეხურად, ამიერკავკასიის რესპუბლიკების უფლებების შელახვად მიაჩნდა. ამიტომ ნაცვლად ფედერაციისა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა სსრ კავშირის შემადგენლობაში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების უშუალოდ, ზედმეტი საფეხურის გარეშე შესვლას, ისევე როგორც უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკები შედიოდნენ. ასეთი იყო ფედერაციის შექმნის საკითხში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თვალსაზრისის ძირითადი შინაარსი.

მაგრამ ერთი რამ აშკარა იყო: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის ერთმა ნაწილმა, რომელმაც ვერ გაიგო, რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ფედერაციის ამიერკავკასიის მაშინდელი კონკრეტული ისტორიული პირობებისათვის, გაუმართლებლად გაილაშქრა ფედერაციის წინააღმდეგ. ერთი მხრივ, ამან და, მეორე მხრივ, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ზოგიერთი ხელმძღვანელის მიერ ასევე გაუმართლებელმა ადმინისტრირებამ და ამის ნიადაგზე ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის ურთიერთობის გამწვავებამ საქმე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადადგომამდე მიიყვანა. მაგრამ მიუხედავად ამისა, პარტიას ისინი არ ჩამოუცილებია პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობისაგან. ბევრი მათგანი კვლავ იქნა შეყვანილი ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობაში.

ცხადი იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადადგომამ დამატებითი სიძნელე შექმნა ფედერაციისათვის ბრძოლის გზაზე. მაგრამ მან ვერ შეაჩერა და ვერ შეასუსტა ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა ფედერაციის შექმნისათვის. პირიქით, ფედერაციის შექმნასთან დაკავშირებული ღონისძიებები სულ უფრო ფართო ხასიათისა ხდებოდა. მათ შორის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მეორე კონფერენცია, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა. მისი ძირითადი ამოცანები იყო სსრ კავშირის შექმნისათვის პარტიის ბრძო-

ლაში ამიერკავკასიის ბოლშევიკების მონაწილეობის და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხები. კონფერენციამ გამოიტანა დადგენილება ფედერაციის ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობის მოწვევის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, 1922 წლის 10-13 დეკემბერს, ბაქოში გაიმართა საბჭოების პირველი ყრილობა, რომელმაც განიხილა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციის კონსტიტუცია და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის საკითხი. ყრილობამ ერთსულოვნად დაამტკიცა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუცია, მიიღო რეზოლუცია სსრ კავშირის შექმნის აუცილებლობის შესახებ და აირჩია დელეგატები სრულიად რუსეთის საბჭოების X და პირველი საკავშირო ყრილობებისათვის.

ამრიგად, ყრილობამ ისტორიული საქმე გააკეთა. შეიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა.

30 დეკემბერს გაიმართა საბჭოების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა. მოხსენებით სსრ კავშირის შექმნის შესახებ გამოვიდა ი. ბ. სტალინი. ყრილობამ ერთსულოვნად დაამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ დეკლარაციისა და ხელშეკრულების ტექსტები. ამ ყრილობამ საბჭოთა რესპუბლიკები ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გააერთიანა. ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხების ნებით შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

* * *

სსრ კავშირის შექმნამ ახალი შინაარსი მიანიჭა საბჭოთა ქვეყნის ხალხების მეგობრობას. სსრ კავშირის ქმურ ოჯახში ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად ჩვენმა რესპუბლიკამ განვლო საუკუნეების ტოლი გზა. ახალი დიდი წარმატებებით ეგებებიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხის ძმობისა და მეგობრობის დღესასწაულს — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის იუბილეს. არ იყო შემთხვევითა, რომ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის იუბილეს ობიექტული აღნიშვნისათვის საქართველოს კომპარტიის მიერ გაწეულ დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას მაღალი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებაში „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში ხაზი გაუსვა ამ დარგში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოცდილების საერთო-პარტიულ მნიშვნელობას და აღიარა მისი სახელმძღვანელო მნიშვნელობა მთელი პარტიისათვის, ეს დიდი, უაღრესად დიდი დაფასებაა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მათი მეთაურის — მაღალი იდეური წრთობის, მხურვალე პატრიოტისა და მტკიცე ინტერნაციონალისტის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო გაამდიდრებენ თავიანთ წარმატებებს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

საქართველოს სსრ სუბერკანული სახელმწიფო

ა. უბრახილიძე

1982 წლის 30 დეკემბერს საბჭოთა ხალხი იზეიმებს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს. ამ თარიღის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია: „სსრ კავშირის შექმნა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის იდეების, ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპების ცხოველი განსახიერებაა. ახალი ეპოქის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად, ყოველმხრივ განავითარა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებანი ეროვნულ საკითხზე... ლენინმა საფუძვლიანად დაასაბუთა, რომ საჭიროა საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად, იმპერიალიზმის ხელყოფისაგან სამშობლოს დასაცავად“¹.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მტკიცე ერთიანობა და შეკავშირება არის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ლოგიკური გაგრძელება.

საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მჭიდრო კავშირურთიერთობის აუცილებლობის შესახებ ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1920 წლის ივნისში წერდა: „აუცილებლად უნდა ვისწრაფოდეთ, უფრო და უფრო მჭიდრო ფედერაციული კავშირისაკენ და მხედველობაში გვქონდეს, ჯერ ერთი, ის, რომ შეუძლებელია შევინარჩუნოთ არსებობა საბჭოთა რესპუბლიკებისა, რომელნიც გარშემორტყმული არიან სამხედრო მხრივ შეუდარებლად უფრო მძლავრი მთელი მსოფლიოს იმპერიალისტური სახელმწიფოებით, თუ უმჭიდროესი კავშირი არ იქნა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის; მეორე ის, რომ აუცილებელია საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო ეკონომიკური კავშირი, ურომლისოდაც განუხორციელებელია იმპერიალიზმის მიერ დანგრეული საწარმოო ძალთა აღდგენა და მშრომელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა; მესამე, ტენდენცია ერთიანი, ყველა ერის პროლეტარიატის მიერ საერთო გეგმით მოწესრიგებული, მსოფლიო მეურნეობის როგორც მოვლის შექმნისაკენ, ტენდენცია, რომელიც სწავსებით აშკარად გამომედევნა უკვე კაპიტალიზმის დროს, აუცილებლად განვითარდა შემდგომ და სავსებით დასრულებულ სახეს მიიღებს სოციალიზმის დროს“².

ვ. ი. ლენინი იყო თანასწორობის საფუძველზე საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობით გაერთიანების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

თავისუფალ ერთა მეგობრულ თანავარსკვლავედში საქართველოს სს რესპუბლიკას ღირსეული ადგილი უჭირავს. სსრ კავშირის არსებობის სამოცი წლის მანძილზე მან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების შესანიშნავი გზა განვლო.

საქართველო, რევოლუციამდე ეკონომიკურად ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყანა, ეროვნულ საკითხში კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის

¹ „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის შესახებ“, თბ., 1982, გვ. 5.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 167.

წყალობით, მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა. დღეს იგი დიდად განვითარებული, მრავალდარგოვანი სოციალისტური მძიმე ინდუსტრიისა და მსხვილი, მექანიზებული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკაა, რომლის მაერ გამოშვებული ასზე მეტი დასახელების ნაწარმი მსოფლიოს სამოცდაათზე მეტ ქვეყანაში გადის.

განსაკუთრებით დიდი მიღწევები აქვს რესპუბლიკას ბოლო ათწლეულში. საქართველოს მძლავრი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული განვითარება რესპუბლიკის მშრომელების თავდადებული შრომის შედეგია. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, მოსმე ერების დახმარებითა და მხარდაჭერით იგი ახლა წარმატებით ძლევს მეურთომეტე ხუთწლედის მიჯნებს. „თქვენი მიღწევები თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჯნევმა — რესპუბლიკის ასიათასობით მშრომელის შეუპოვარი გუშაობის შედეგია. ეს აგრეთვე შედეგია იმ ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობისა, რომელსაც ეწევიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის ბიურო და მისი მეთაური ამხანაგი შევარდნაძე, რომლის ენერგია, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა და პრინციპულობა ყველამ კარგად ვიცით და ვაფასებთ“³.

საქართველოს სსრ, ისევე როგორც სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ყველა საბჭოთა რესპუბლიკა, სუვერენული სახელმწიფოა. ეს საკანონმდებლო წესით დამკვიდრებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 76-ე მუხლით, რომელშიც ნათქვამია, რომ „მოკავშირე რესპუბლიკა არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან გაერთიანდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირად“.

სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციაში არ იყო ნათქვამი, რომ მოკავშირე რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა. ამ ხარვეზის გაგლენით უნდა აიხსნას, რომ სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის პროექტიც მოკავშირე რესპუბლიკის განსაზღვრების დროს სიტყვა „სუვერენიტეტი“ გამოტოვებული იყო. მხოლოდ კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ საკონსტიტუციო კომისიამ გაიზიარა გამოთქმული მოსაზრება და სათანადო შესწორება შეიტანა კონსტიტუციის 76-ე მუხლში.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტი არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. პირიქით, ისინი ორგანულ კავშირშია ერთიმეორესთან, განაპირობებენ ერთმანეთს და არ ზღუდავენ ერთმანეთის უმაღლესობას, დამოუკიდებლობას და ხელშეუხებლობას. ეს პრინციპი, მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენული უფლების სრული შენარჩუნების პრინციპი, სსრ კავშირის შექმნის პირველი დღიდანვე დაკანონდა ხელშეკრულებით.

მართალია, ჩვენს ქვეყანაში თავისი სოციალური და კლასობრივი შინაარსის მიხედვით საკავშირო სახელმწიფო ხელისუფლება ერთიანი და ღრმად ინტერნაციონალურია, მაგრამ ამავე დროს არ არის უფულებიერყოფილი ცალკეული ერების ინტერესების და მათი ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარების შესაძლებლობა. პირიქით, საკავშირო ფედერაციის ინტერნაციონალური ბუნება ემსახურება სწორედ ცალკეული ეროვნული რესპუბლიკების

³ ლ. ი. ბრეჯნევი — სიტყვა საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე. თბ., 1981 წ., გვ. 6.

სპეციფიკურობის ნიშნის მიხედვით განვითარებას. ამიტომ არ იწვევს ეჭვს ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის მთლიანობისა და შეუზღუდველობის პრინციპი.

ის ფაქტი, რომ საქართველოს სსრ თავის სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს საკავშირო სახელმწიფო ხელისუფლებასთან ორგანულ კავშირში, არ ნიშნავს, რომ იზღუდება მოკავშირე რესპუბლიკების სპეციფიკური ინტერესები, ანდა არის პარალელიზმი მუშაობაში, ორხელისუფლებიანობა, მოკავშირე რესპუბლიკების და საკავშირო ორგანოების კანონების და სხვა ნორმატიული აქტების დუბლირება სსრ კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის არსებული ორგანული კავშირი ნაკარნახევია ერთიანი სოციალისტური ერების არსებობით, რომლებსაც აქვთ ერთიანი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და მატერიალური საფუძვლები.

საქართველოს სსრ, როგორც მოკავშირე რესპუბლიკა, თავის სახელმწიფო სუვერენიტეტს ახორციელებს უმაღლესი საბჭოს საშუალებით. საქართველოს სსრ სუვერენული უფლების განხორციელება მისივე კონსტიტუციით არის გარანტირებული.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 104-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ სუვერენიტეტის განხორციელებაში შედის: საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკის, კონსტიტუციის მიღება და მასში ცვლილებების შეტანა, საქართველოს სსრ შემადგენლობაში ახალი ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის შექმნა, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისა და მათი შესრულებას ანგარიშების დამტკიცება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების შექმნა, საქართველოს სსრ კანონების მიღება და სხვა.

საქართველოს სსრ კანონები ითვალისწინებენ იმ სპეციფიკურობას, რომელიც ჩვენ რესპუბლიკას ახასიათებს. საბჭოთა საქართველოს სუვერენიტეტი კანონმდებლობის სფეროში აგრეთვე ის გახლავთ, რომ მას უფლება აქვს მიიღოს ესა თუ ის კანონი რეფერენდუმის მოწყობის საშუალებით. ე. ი. საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის წესით. ასეთი კენჭისყრა შეიძლება მოეწყოს თვით საქართველოს რესპუბლიკის ინიციატივით.

საქართველოს სსრ სუვერენიტეტი გარანტირებულია აგრეთვე სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 78-ე მუხლით. „მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია, ნათქვამია აქ, არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს შესაბამისი რესპუბლიკების ურთიერშეთანხმებით, რომელიც უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირმა“⁴. მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია აქ მცხოვრები ძირითადი ერის ისტორიულად მიკუთვნებული ტერიტორიაა, რომელთა მთლიანობა საკანონმდებლო წესით არის განმტკიცებული მათივე კონსტიტუციებით.

საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონები და ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება. მას აქვს საზღვრები, რომლითაც იგი გამოყოფილია სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისაგან, აგრეთვე საზღვრები, უცხოეთის სახელმწიფოებთან.

⁴ სსრ კავშირის კონსტიტუცია. თბილისი, 1977 წ., გვ. 33.

მოკავშირე რესპუბლიკის თავისებურება, როგორც სსრ კავშირის სუბიექტისა, ის არის, რომ მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია ერთდროულად სსრ კავშირის ტერიტორიაც არის. ეს არ ეწინააღმდეგება მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიული ხელშეუხებლობის პრინციპს, არ არღვევს და არ ბოჭავს მის სუვერენულ უფლებას.

საქართველოს სსრ სუვერენიტეტის მთლიანობა იმითაც არის გარანტირებული, რომ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი საკუთარი მოქალაქეობა. მოქალაქეობა ყველა სუვერენული სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშანია. საერთოდ მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობა პირველადია, რადგან სსრ კავშირის მოქალაქეობის დაწყებამდე არსებობდა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობა, სსრ კავშირის მოქალაქეობა დაწესებულია სსრ კავშირის შექმნის შემდეგ.

მოქალაქე სახელმწიფოში უფლება-მოვალეობათა მატარებელი სუბიექტია, ე. ი. მას აქვს გარკვეული უფლებები და ვალდებულებანი. სახელმწიფოს უფლებები წარმოშობს ინდივიდის ვალდებულებებს, ხოლო სახელმწიფოს ვალდებულებანი — ინდივიდის უფლებებს. აქედან გამომდინარე ურთიერთობა სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის სამართლებრივი ურთიერთობაა. მოქალაქეობის ცნებაში იგულისხმება ფიზიკური პირის მყარი იურიდიული კავშირი იმ სახელმწიფოსთან, რომლის მოქალაქეც იგი არის. ამ პრინციპის გათვალისწინებით მოქალაქე გამოდის საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. მოქალაქეობასთან დაკავშირებულია იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი საზღვარგარეთ მყოფი პირის მხრივ იმ რესპუბლიკის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის საზღვარგარეთ მყოფი პირი. ამრიგად, მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება.

მოქალაქეობის საკითხი, საბჭოთა მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობა, გარანტირებული და მოწესრიგებულია სსრ კავშირის კანონში „საბჭოთა მოქალაქეობის შესახებ“, რომელიც მიიღო სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1978 წლის 1 დეკემბერს და ძალაში შევიდა 1979 წლის 1 ივლისიდან.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 33-ე მუხლის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქე ამავე დროს სსრ კავშირის მოქალაქეა. ამიტომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ პიროვნებისათვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უფლება აქვს თავისა რესპუბლიკის მოქალაქედ მიიღოს არა მარტო ერთი პიროვნება ინდივიდუალურად, არამედ ადამიანთა ჯგუფიც, ერთდროულად რამდენამე პიროვნება. ეს მაშინ, როდესაც კონკრეტულ მოკავშირე რესპუბლიკას უერთდება სხვა ქვეყნის მიერ ადრე მიტაცებული ტერიტორიის ნაწილი.

საქართველოს სსრ სუვერენიტეტის კონსტიტუციური გარანტია ისიც არის, რომ მას უფლება აქვს უშუალოდ მონაწილეობდეს უცხოეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, დადოს მათთან შეთანხმებანი, გაცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები და სხვა. ამის შესახებ პირდაპირ არის ნათქვამი სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-80 მუხლში. „მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დაუდოს მათ ხელშეკრულებანი და გაუცვალოს დიპლომატიური და

საკონსულო წარმომადგენლები. მონაწილეობდეს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში. „საკავშირო კონსტიტუციაში ასეთი ნორმის არსებობამ ყველა საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აქცია.

საქართველოს სსრ სუვერენიტეტის მაჩვენებელია ისიც, რომ მას აქვს თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ძირითადი კანონი, კონსტიტუცია. იგი თვითონ იღებს თავის კონსტიტუციას და შეაქვს მასში შესწორებანი, ცვლილებები და დამატებანი. მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკამ სსრ კავშირში გაერთიანების დროს კომპეტენციის ნაწილი ნებაყოფლობით გადასცა სსრ კავშირის გამგებლობას და იკისრა გარკვეული ვალდებულებანი, რესპუბლიკის ყველა კანონი უნდა შესაბამისობდეს სსრ კავშირის კანონებს. სწორედ ამიტომ საქართველოს სსრ კონსტიტუციის ძირითადი დებულებანი შესაბამისობაშია სსრ კავშირის კონსტიტუციასთან. ამავე დროს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ფიქსირებულია ის სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც აქვს საქართველოს. როგორც დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოს.

სსრ კავშირის შექმნის დემოკრატიული პრინციპი ყოველმხრივ გამოიხატავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტს შორის წინააღმდეგობასა და დაპირისპირებას. პირიქით, ისინი განსაზღვრავენ ერთმანეთს და პარმონიულად არიან ურთიერთგანპირობებულნი. ამას საფუძვლად უდევს მოკავშირე რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანება სსრ კავშირის შემადგენლობაში და სამართლის ამ სუბიექტებს შორის არსებული თანასწორუფლებიანობა.

საქართველოს სსრ სუვერენიტეტის დამადასტურებელია ის, რომ თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს სსრ კავშირის შემადგენლობიდან თავისუფლად გასვლის უფლება. სსრ კავშირის კონსტიტუციის 72-ე მუხლის მიხედვით „ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას დატოვებული აქვს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება. „მაგრამ იმის გამო, რომ მოკავშირე რესპუბლიკები ნებაყოფლობით გაერთიანდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში და საბჭოთა ფედერაციაში არ არის წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირის ხალხებს, სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა ერებსა და ეროვნებას შორის, მათს ნებასა და მიზნებს შორის, ამიტომ არც დგება საკითხი სსრ კავშირის შემადგენლობიდან რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტი იმითაც გამოიხატება, რომ მისი ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები სარგებლობენ მეტად ფართო კომპეტენციით. საქართველოს სსრ, როგორც მოკავშირე რესპუბლიკა, მონაწილეობს სსრ კავშირის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მთავრობაში, სსრ კავშირის უმაღლეს სამართლოსა და სხვა ორგანოებში.

საქართველოს სსრ, როგორც მოკავშირე რესპუბლიკა, ყოველმხრივ უწყობს ხელს სსრ კავშირის უფლებამოსილების განხორციელებას თავის ტერიტორიაზე. ეს სსრ კავშირის კონსტიტუციით 77-ე მუხლში საკანონმდებლო წესით არის დამკვიდრებული. მოკავშირე რესპუბლიკა თავის ტერიტორიაზე უზ-

რუნველყოფს კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას; ხელს უწყობს ამ ტერიტორიაზე სსრ კავშირის უფლებამოსილების განხორციელებას; ასრულებს სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებს. საქართველოს სსრ მის გამგებლობაში შემავალ საკითხებზე კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს საქავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობას. აწესებს და ანიჭებს საქართველოს სსრ საპატიო წოდებებს; აჯილდოებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით; ანიჭებს საქართველოს სსრ მოქალაქეობას; წყვეტს თავშესაფრის მიცემის საკითხს; ახორციელებს საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ მსჯავრდადებულ მოქალაქეთა შეწყალებას; ნიშნავს საქართველოს სსრ დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში და გამოიწვევს მათ იქიდან, იღებს მასთან აკრედიტებული უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებულებასა და გაწვევის სიგელებს.

საქართველოს სსრ, როგორც სუვერენულ რესპუბლიკას, უფლება აქვს განახორციელოს და დამტკიცოს ავტონომიური რესპუბლიკების საზღვრების შეცვლა, შექმნას რესპუბლიკური დაქვემდებარების ახალი რაიონები და ქალაქები, შექმნას და გააუქმოს საქართველოს სსრ სამინისტროები და საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტები, გაათავისუფლოს თანამდებობიდან და დანიშნოს საქართველოს სსრ მთავრობის შემადგენლობაში შემავალი ცალკეული თანამდებობის პირები; შეიტანოს საქართველოს სსრ მოქმედ კანონმდებლობაში ცალკეული ცვლილებები და სხვა.

საქართველოს სს რესპუბლიკას მის კომპეტენციაში შემავალი ნებისმიერი საკითხის გამო უფლება აქვს შექმნას საგამოძიებო, სარევიზიო და სხვა კომისიები. ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო, ორგანიზაცია და თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიების მოთხოვნები, წარუდგინოს მათ საჭირო მასალები და დოკუმენტები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენს სახელმწიფოს განვითარებისა და მშენებლობის ყველა ეტაპზე ახორციელებს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებას და ამით კიდევ უფრო განამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს. სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკებს დიდი ავტორიტეტი აქვთ საერთაშორისო ასპარეზზეც.

მოკავშირე რესპუბლიკების თანავარსკვლავედში საბჭოთა საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, საპატიო ადგილი უჭირავს.

საბჭოთა საქართველოს სუვერენიტეტი ემყარება ეროვნული და ინტერნაციონალური პრინციპების განხორციელებას, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი ეროვნული შეზღუდულობა და სეპარატიზმი. საქართველოს სს რესპუბლიკის, ისე როგორც ყველა სხვა რესპუბლიკის მიზანიც ეროვნული და საერთო-საქავშირო სახელმწიფოებრიობის განმტკიცება, მოძმე რესპუბლიკების კიდევ უფრო მეტად დაახლოება, ურთიერთდახმარება, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების თანამიმდევრული გამოყენება და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განმტკიცებაა.



რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების ბრძოლა სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის

მ. მელაძე,

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე

წინამდებარე სტატიაში გათვალისწინებულია ჟურნალის სპეციფიკა. ამიტომ სახალხო კონტროლის ორგანოების მრავალმხრივი მოღვაწეობიდან აქ შევეხებით მართოდენ იმ საკითხებს, რომლებიც სახალხო კონტროლის და ადმინისტრაციული ორგანოების საერთო ინტერესების საგანია, გავაშუქებთ, თუ როგორ წარმოებს ბრძოლა სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა, უყაირათობისა და მფლანგველობის, ფორმალისმისა და ბიუროკრატიზმის, წამატებებისა და თვალისახვევის, სოციალისტური საკუთრების ხელყოფის წინააღმდეგ.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში, რომლებშიც განსაზღვრულია პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა ხანგრძლივი პერიოდისათვის, ხაზგასმით არის აღნიშნული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო დისციპლინის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას

ეს სავესებით გასაგებია, ვინაიდან სოციალურ ღონისძიებათა ფართო პროგრამა, თვით ცხოვრების სოციალისტური წესი მოითხოვს ბოლო მოვუღოთ უყაირათობასა და მფლანგველობას, გავაძლიეროთ დისციპლინა და პასუხისმგებლობა ყველა დონეზე.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციისადმი ეს მოთხოვნა მკაფიოდ გამოიკვეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. ამ დოკუმენტმა განსაზღვრა საქართველოს კომუნისტთა მთელი შემდგომი საქმიანობის კურსი, დასაბამი მისცა რესპუბლიკაში წლების მანძილზე დამკვიდრებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ უფრო ფართო ფრონტით გაშლას, საყოველთაო შემტევი, სულისკვეთების დამკვიდრებას.

ახლა, როცა თბილისის კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღებიდან ათი წლის მანძილზე გაწეული მუშაობა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკის მიერ ზედიზედ ცხრა-

ჯერ მოპოვებული გარდამავალი წითელი დროშითა და თბილისისათვის ლენინის ორდენის მინიჭებით შეფასდა, წარმატებით ხორციელდება რესპუბლიკის დაჩქარებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური პროგრამა.

ეკონომიკაში, სოციალურ, კულტურულ ცხოვრებაში პოზიტიური ძვრების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გაძლიერებას, ყველა პარტიული, საბჭოთა. პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო, საკონტროლო და სამართალდაცვის ორგანოს, მთელი საზოგადოებრიობის გააქტიურებას სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად, რესპუბლიკაში სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად.

ამ გლობალური ამოცანის წარმატებით შესრულება მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ რაოდენ მჭიდრო და შემოქმედებითი იქნება საკონტროლო და ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანი კონტაქტები.

ამის საჭიროება ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ 1980 წლის 24 თებერვალს სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის სხდომაზე ჩვენი ორგანოების მისამართით ჩამოყალიბებულ ამოცანებში. როგორც ამ გამოსვლაში ითქვა, უფრო შემტევი-ხასიათი უნდა მივიანიჭოთ საკონტროლო მუშაობას, სხვა საკონტროლო და სამართალდაცვის ორგანოებთან ურთიერთობის განმტკიცებით უზრუნველყოთ შემოწმებათა მეტი სიღრმე და ქმედითობა.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი თავისი ყოველდღიური საქმიანობით ესწრაფვის, რომ სახალხო კონტროლისა და სამართალდაცვის ორგანოების საქმიან თანამშრომლობას მუდმივი, სტაბილური და უფრო კონკრეტული ხასიათი ჰქონდეს. ჩვენი საინფორმაციო ურთიერთობა განსაზღვრავს შემოწმებათა მასშტაბებს, სწორ ორგანიზაციასა და აქტუალობას, თვით შემოწმებების კოორდინაცია ამდიდრებს შემოქმედების ბერკეტების არსენალს, ხოლო მათი კომპლექსური ხასიათი აფართოებს ცალკეული ღონისძიებების პროფილაქტიკური ზეგავლენის პორიზონტს. ხოლო საერთოდ ადმინისტრაციული და საკონტროლო (მათ შორის კი განსაკუთრებით სახალხო კონტროლის) ორგანოების შეთანხმებული მოქმედება გამორიცხავს პარალელურობას და დუბლირებას, ხელს უწყობს კვალიფიციურ ძალთა კოოპერირებას, მნიშვნელოვანი საკონტროლო მიმართულებებისა და უბნების მიხედვით მათს კონცენტრაციას და, რაც მთავარია, უზრუნველყოფს კონტროლის შესრულების ორგანიზაციის და ნაკლოვანებათა თავიდან აცილების ორგანულ ერთიანობას. ერთი სიტყვით, საკონტროლო და ადმინისტრაციული ორგანოების შეთანხმებულ, კოორდინირებულ საქმიანობას შეუძლია მოგვცეს და კიდევაც გვაძლევს დადებითს შედეგებს, რაც ერთობლივ ღონისძიებათა მაღალ ეფექტიანობას მოწმობს.

ამ ბოლო ხანს სახელმწიფო დისციპლინისა და კანონიერების განმტკიცებისათვის საერთო ბრძოლაში განსაკუთრებით დაიხვეწა საქართველოს სსრ პროკურატურის ცენტრალურ აპარატთან და მის ადგილობრივ ორგანოებთან

კონტაქტები ისეთი ფორმებით, როგორც არის ერთობლივი შემოწმებები, ურთიერთინფორმირება კანონების, მთავრობის დადგენილებების შესრულების შესახებ, შემოწმებათა მასალების მიხედვით დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხების განხილვა, ერთობლივ წინადადებათა შემუშავება კანონიერების დარღვევის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად. სისტემატიური ზასიათი მიენიჭა ჩვენი ორგანოების ხელმძღვანელთა ურთიერთმონაწილეობას თათბირებზე, სემინარებში და კონფერენციებზე. ეს ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებას, საკითხთა უფრო ღრმა და კვალიფიციურ შესწავლას, საშუალებას გვაძლევს ოპერატიულად გადაწყვიტოთ დასახული ამოცანები, უფრო კონკრეტულად დავგეგმოთ ჩვენი მუშაობა.

კერძოდ, მუშაობის კოორდინაციის, პარალელიზმისა და დუბლირების აღმოფხვრის მიზნით ბევრი ღონისძიება, რომლებსაც კომიტეტი გეგმავს, შეთანხმებულია საქართველოს სსრ პროკურატურის სამუშაო გეგმებთან.

იმისათვის, რომ უფრო სრულყოფილი გაგვეხადა ეს ურთიერთობა და შეგვექმნა ბრძოლის ერთიანი ფართო ფრონტი ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ, 1981 წლის ნოემბერში ქ. თბილისში, ფოთსა და ზაშურში მოვაწყეთ პროკურორთა და სახალხო კონტროლის კომიტეტების თავმჯდომარეთა გაერთიანებული ზონალური თათბირ-სემინარები, რომლებზეც რესპუბლიკური კომიტეტისა და პროკურატურის ხელმძღვანელთა მონაწილეობით განვიხილეთ სახალხო კონტროლისა და პროკურატურის ორგანოების ურთიერთმოქმედების საკითხები უყარათობისა და მფლანგველობის, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის გასააქტიურებლად, სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ვხვდებით შემხვედრი პრეტენზიების ფაქტებს. კერძოდ პროკურატურის ორგანოები სათანადო რეაგირებას არ ახდენენ სახალხო კონტროლის კომიტეტების მიერ გამოვლენილ ფაქტებზე, ზოლო პროკურატურის მუშაები კომიტეტებს უსაყვადურებენ გადაგზავნილი მასალების დაბალი ხარისხის გამო. საქმის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა რესპუბლიკის პროკურატურასთან ერთად ღრმად გააანალიზა არსებული ვითარება. შემოწმების შედეგების მიხედვით მიღებულ იქნა კომიტეტის სპეციალური დადგენილება, ზოლო რესპუბლიკურმა პროკურატურამ თავის ორგანოებს საგანგებოდ მოსთხოვა ამ მუშაობის გაუმჯობესება. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხში ჯეროვანი წესრიგის დამყარების მიზნით შევიმუშავეთ და ადგილებზე დავგზავნეთ მეთოდური მითითებანი „დატაცების, ბოროტმოქმედებათა და სხვა სამართალდარღვევათა ფაქტების დადგენის შემთხვევებში საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მიერ მასალების გაფორმების და პროკურატურის ორგანოებისათვის გადაცემის წესის შესახებ“. ერთობლივ მეცადინეობას, ჩვენი აზრით, უშედეგოდ არ ჩაუვლია და პრეტენზიებიც ახლა ნაკლებად გვხვდება.

დატაცებათა, უყარათობისა და სოციალისტური საკუთრების სხვა ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლას რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტები შინაგან საქმეთა ორგანოებთან მჭიდრო კავშირით ეწევიან. საქართველოს

სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივად განხორციელებულ ყველაზე მასშტაბურ ღონისძიებათა შორის უნდა დავასახელოთ კომპლექსური შემოწმებანი რესპუბლიკის მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში წვრილმან დატაცებათა წინააღმდეგ ბრძოლის, აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზით გადაზიდული სახალხო-სამეურნეო ტვირთის დაცვის, მოსავლის აღების დროს სოციალისტური საკუთრების დაცვის, სახალხო მეურნეობის ობიექტების ტექნიკური აღჭურვისა და პასპორტიზაციის, ხანძრებთან ბრძოლის მდგომარეობის და სხვა საკითხებზე.

შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად მოწყობილ ბევრ შემოწმებას მასობრივი ხასიათი აქვს. მასში მონაწილეობენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახალხო კონტროლის კომიტეტის, ადგილობრივი კომიტეტებისა და შინაგან საქმეთა საქალაქო (რაიონული) განყოფილებების წარმომადგენლები, საწარმოთა ჯგუფებისა და საგუშაგოების წევრები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს სსრ რესპუბლიკის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში მოწყობილი კომპლექსური შემოწმება, რომელმაც გვიჩვენა, რომ ამ უწყების მეტ წილ ობიექტებში ჯერ კიდევ უხეშად ირღვევა სოციალისტური კანონიერება, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო სახსრების არაპირდაპირი დანიშნულებით ხარჯვას, არის საფონდო დისციპლინის დარღვევის ფაქტები, მატერიალურ ფასეულობათა აღურიცხაობა და დატაცება, წამატებები, თვალისაზრევვა და ტალღებით სპეკულაცია.

შემოწმების შედეგებზე იმსჯელა სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა. ზემოაღნიშნული დარღვევებისათვის თანამდებობიდან გადაყენებული არიან გურჯაანის, მარნეულის, ხაშურისა და წითელწყაროს ნავთობბაზების დირექტორები, დაისაჯა სხვა ხელმძღვანელი მუშაკებიც.

მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება ადგილობრივი საკონტროლო და ადმინისტრაციული ორგანოების ერთობლივი მუშაობის გამოცდილებიდანაც. შევჩერდებით მხოლოდ ერთზე, ყურადსაღებია ქალაქ ქუთაისის სახალხო კონტროლის კომიტეტის, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა განყოფილების ერთობლივი მუშაობის პრაქტიკა. მათს აქტივშია ბევრი საინტერესო შემოწმება და ღონისძიება. ამაზე მეტყველებს თუნდაც სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის მიერ პროკურატურასთან და შინაგან საქმეთა განყოფილებასთან ერთად მოწყობილი დათვალიერება იმისა, თუ როგორ იცავენ სოციალისტურ საკუთრებას. დეპუტატთა ჯგუფის, პროფკავშირულ აქტივისტთა, კომკავშირულ პროექტორისტთა და სახალხო კონტროლიორთა ფართო მონაწილეობით დათვალიერების პროცესში გამოვლინდა უყაირათობის, მატერიალურ ფასეულობათა გაფლანგვა-დატაცების, დანაკლისისა და მასალების უკანონოდ ჩამოწერის ფაქტები, 800 ათას მანეთზე მეტი არამწარმოებლური ხარჯები. ზოგიერთი თანამდებობის პირის პასიური პოზიციის გამო, მეტისმეტად გავრცელებულია ბოროტმოქმედებანი მშენებლობაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მომსახურების სფეროებში, ტრანსპორტზე და სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში. ამიტომ ასეთი დათვალიერებანი დადებითად უნდა შეფასდეს. მაგრამ თუ პრინციპულად და ობიექტურად შევაფასებთ

მდგომარეობას, უნდა ითქვას, რომ ისინი არ შეიძლება სავსებით გვაკმაყოფილებდეს, ვინაიდან მხოლოდ სერიოზული დარღვევებისა და დამახინჯების ფიქსაციას ახდენენ. მით უმეტეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს ცნობილმა დადგენილებამ „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სამართალდაცვის და საკონტროლო ორგანოებს მიზნად დაუსახა არა მარტო გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების ხელყოფის წინააღმდეგ, არამედ პროფილაქტიკური ზემოქმედების გზით უზრუნველყონ დანაშაულობათა თავიდან აცილება, ნაკლოვანებათა უთუო გამოსწორება.

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი სადღეისო მოთხოვნაა და უკანასკნელ წლებში მისი არსენალი ახალი, უფრო ეფექტიანი საშუალებებით გამდიდრდა.

თუ წინათ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან კომიტეტების ურთიერთობის ერთადერთი ფორმა შემოწმებები იყო, ახლა ისინი სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით საწარმოთა ფართო აქტივის მიზიდვის ახალ გზებს ეძებენ. მაგალითად, მიმდინარე წლის მაისში სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შინაგან საქმეთა ორგანოების და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობით მცხეთის რაიონის სახალხო მეურნეობის ობიექტების პასპორტიზაციის მდგომარეობა შეამოწმა და მხოლოდ ნაკლოვანებების აღწერის გზით კი არ შემოიფარგლა, არამედ ხელი შეუწყო შემოწმებული ობიექტების სასაწყობო და სხვა მატერიალური ფასეულობებიანი საცავების ტექნიკური გამაგრების ღონისძიებების განხორციელებას, მოსალოდნელი დატაცებების და ქურდობის თავიდან აცილებას.

მაგრამ, სამწუხაროდ, საკონტროლო და სამართალდამცავი ორგანოების ყურადღება ყოველთვის დატაცებათა და სხვა ბოროტმოქმედებათა ხელშეწყობი პირობების ლიკვიდაციისაკენ როდია მიმართული. პირუთვნელად უნდა ითქვას, რომ პროფილაქტიკური მუშაობის გააქტიურების, მისი აქციების რაოდენობრივი ზრდის მიუხედავად, დაბალია შედეგიანობა თვით განხორციელებულ, თუ განსახორციელებელ ღონისძიებათა დაბალი საჯაროობის მიზეზით.

აუცილებელია წვრილმან დატაცებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. შინაგან საქმეთა საკონტროლო ორგანოების მიერ უკანასკნელ ხანს გამოვლენილი მთელი რიგი სერიოზული ბოროტმოქმედებანი ჩვენი ერთობლივი მეცადინეობის ადრესატებს მიგვანიშნებენ. გამომდინარე აქედან სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი კონტროლის გაძლიერების თვალსაზრისით მეტ ყურადღებას საჭიროებენ ხილბოსტნეულის მეურნეობის, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის, მშენებლობის სამინისტროების, ჩაისა და ღვინის სამრეწველო გაერთიანებათა ობიექტები. ამიტომ ახლა პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახალხო კონტროლის ორგანოების წინაშე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თვით სამინისტროებთან ერთად მათ სისტემაში არსებული დარღვევების პროფილაქტიკისადმი

კომპლექსური მიდგომის ამოცანებს საზღვრავს და ჩვენი ურთიერთობაც ამ ნიშნით ვითარდება.

სოციალისტური საკუთრების ხელყოფის ფაქტების თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში დამრღვევთა მიმართ სამართლებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოსადმი მიყენებული მატერიალური ზარალის რეალურ ანაზღაურებას.

საკითხის ასეთი დაყენება დღეს სერიოზულ პრობლემად გვესახება. მაგალითად, 1981 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ფასეულობათა დატაცებისა და გაფუჭების გზით წარმოშობილი ზარალის ამოგება მხოლოდ 27,7 პროცენტი შეადგინა, რასაც, რა თქმა უნდა, არავითარი გამართლება არა აქვს. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ დავალიანების მნიშვნელოვანი ნაწილი თვით დამნაშავე პირებს კი არ გადაახდევინეს, არამედ ზარალში, წარმოებისა და მომსახურების ხარჯებში ჩამოწერეს, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ საკონტროლო და სამართალდაცვის ორგანოების ზემოქმედება სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის რეალური ანაზღაურების საქმეში არაა დამაკმაყოფილებელია და მუშაობა ამ მიმართულებით სერიოზულ გარდაქმნას საჭიროებს.

ჩვენი ერთობლივი საქმიანობის ამოცანა ახლა ის არის, რომ უფრო ღრმად შევისწავლოთ დატაცებისა და უყაირათობის წარმოშობი მიზეზები და ხელისშემწყობი პირობები. საჭიროა გავაძლიეროთ კონტროლი დარგებისა და რეგიონების მიხედვით სამეურნეო მექანიზმის მოქმედებაზე, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე. ქმედითად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ორგანოების ზეუწყებრივი საკონტროლო ფუნქცია და საუწყებო საკონტროლო ორგანოებისა და სამსახურების მიზიდვით გავაუმჯობესოთ საკონტროლო სისტემის კოორდინაცია. მთავარი კი ის არის, რომ, არა მარტო გამოვავლინოთ დარღვევათა ცალკეული ფაქტები და დაგსაჯოთ დამნაშავე პირები, არამედ გავზარდოთ კონტროლის პროფილაქტიკური ზეგავლენა კონსტრუქციული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება-დანერგვის გზით.

სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად მიჩნეულია ბრძოლა წამატებებისა და თვალისახვევის წინააღმდეგ, სახელმწიფო საანგარიშგებო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი მუდამ შეუნელებელ ყურადღებას უთმობდა ამ საკითხს, მაგრამ ეს მუშაობა ახლა უფრო მიზანდასახული გახდა. წამატებების, თვალისახვევისა და სახელმწიფო ანგარიშგების სხვა დამახინჯებათა აღკვეთის პრობლემის კომპლექსური შესწავლისა და გადაწყვეტის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორათა მმართველების, საქართველოს სსრ პროკურორის, ფინანსთა მინისტრისა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეების შემადგენლობით.

სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფორმები და მეთოდები თანდათან იხვეწება და გამიზნულია იმისათვის, რომ ამაღლდეს სხვადასხვა რანგის ხელმძღ-



ვანელთა პასუხისმგებლობა სახელმწიფო დისციპლინისა და აღრიცხვა-ანგარიშგების უტყუარობის განმტკიცების საქმეში, განისაზღვროს მათი შეურიგებელი პოზიცია წამატებებისა და თვალისახვევის პირობების სალიკვიდაციოდ.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა თავისთავად წარმოაჩენს ამ საქმეში ძირითად დაინტერესებულ და მოვალე ორგანოებს, რომელთა ასეთი გაერთიანება აგვარებს კოორდინაციის საკითხს და დიდ ძალას უპირისპირებს წამატებებისა და თვალისახვევის ნეგატიურ სენს. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბევრი ადგილობრივი საკონტროლო და სამართალდაცვის ქვედანაყოფი დიდი აქტიურობით როდი გამოირჩევა, მიზეზობრივ-შედეგობრივად არ ანალიზებენ გამოვლენილ ფაქტებს, ნაკლებად ღებულობენ პრინციპულ და საყურადღებო გადაწყვეტილებებს ამ საკითხებზე. ამიტომ სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად განისაზღვრა ტერიტორიული ორგანოების აქტივიზაცია. ამ მიზნით ჯგუფის სხდომაზე განიხილება მათი ხელმძღვანელების ინფორმაციები. ბუბისა და გამოთქმული შენიშვნების კვალობაზე ყველა რესპუბლიკური ორგანო სხვადასხვა ფორმით მთელ სისტემაზე ავრცელებს საუკეთესოთა გამოცდილებას, საზავს მიმდინარე ამოცანებს.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა, გვეფიქრა, თითქოს წამატებებისა და თვალისახვევის ფრონტი მხოლოდ მათი სამოქმედო ასპარეზი იყოს. ამ ანტისახელმწიფოებრივი მოვლენის აღკვეთის ამოცანა, უპირველესად, თვით სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა, საუწყებო ეკონომიკური, საკონტროლო და იურიდიული სამსახურების აქტიურ, შემტევ პოზიციას მოითხოვს.

დასამალი არ არის, რომ საშუალო და დაბალი რგოლის ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი, არათუ უპირისპირდება ასეთ ფაქტებს, არამედ, მინდობილ უბანზე მოჩვენებითი კეთილდღეობის სურათის შექმნის მიზნით თვით ადგება სიყალბის გზას. ეს კი „თვალზუჭუნა“ რევიზორებსა და კონტროლიორებს ხშირად შეუმჩნეველი რჩებათ.

სწორედ წამატებებისა და თვალისახვევის ფაქტების აღსაკვეთად, მათი ხელშემწყობი პირობების სალიკვიდაციოდ საჭიროა გააფრთხილებელ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სისტემა, მათი ერთიანი კომპლექსი, რომელიც ამ საქმეში ყველა დაინტერესებული მხარის ჩაბმას ითვალისწინებს. სამუშაო ჯგუფს დღეს ამგვარი ორიენტაცია აქვს. ვინაიდან, ცალკეული, დაქსაქსული, ერთმანეთთან ინტერესებითა და მოქმედებით დაუკავშირებელი ღონისძიებები ვერ ახდენს საკმარის ეფექტიან ზემოქმედებას ამ ნეგატიურ პროცესზე.

საკითხისადმი ასეთმა მიდგომამ განსაზღვრა, რომ სამუშაო ჯგუფმა თავის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაუთმოს კომპლექსური შემოწმებების პრაქტიკის დანერგვას. ახლა უფრო მეტად ვსწავლობთ სამინისტროებსა და უწყებებში წამატებებისა და თვალისახვევის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციფიურ თავისებურებებს დარგების და რეგიონების მიხედვით. შემოწმებათა მასალების მიმართ სამუშაო ჯგუფში შემავალი ორგანოების სანქციების გამოყენებასთან ერთად, პარტიული კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების მიერ საწარმოთა და ორგანიზაციათა ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობაში, აღრიცხვასა და ანგარიშგებაში არსებულ ნაკლოვანებათა



აღმოსაფხვრელად გამიზნული ღონისძიებები ერთმანეთს ავსებს და აღნიშნულ დღებას ახდენს მთლიანად ამ მოვლენებზე.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოები, ხელმძღვანელობენ რა პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სასამართლოს ორგანოებში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და მისი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის 30 სექტემბრის დადგენილების მოთხოვნებით, სისტემატურ ბრძოლას ეწევიან ფორმალიზმის, ბიუროკრატიზმის და საქმის გაჭიანურების გამოვლინებათა წინააღმდეგ, განუწყვეტლივ აკონტროლებენ, თუ როგორ სრულდება პარტიისა და მთავრობის დირექტივები მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების დროული და სწორი განხილვის თაობაზე, მათ შორის ადმინისტრაციულ ორგანოებშიც.

მაგალითად, 1981 წლის აგვისტოში საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად შეამოწმა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს შინაგან საქმეთა სამმართველოს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში მშრომელთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობის მდგომარეობა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია, გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებანი. კომიტეტის სხდომაზე ამ საკითხის განხილვის შემდეგ სამმართველოს ხელმძღვანელობასთან ერთად მოეწყო აქტივის გაფართოებული თათბირი, გამოიცა სამმართველოს უფროსის შესაბამისი ბრძანება, შემუშავდა საჭირო ღონისძიებანი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იმავე წლის დეკემბერში სახალხო კონტროლის კომიტეტმა თავის სხდომაზე მოისმინა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარის კობახიის ინფორმაცია ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის გაწეული მუშაობის შესახებ და სათანადოდ შეაფასა იგი.

მშრომელები ბევრ პრეტენზიას გამოთქვამენ სანოტარო კანტორებისა და მმაჩის ორგანოების მისამართით. სწორედ ამან განაპირობა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტისა და იუსტიციის სამინისტროს მიერ მათი საქმიანობის ერთობლივი შესწავლა და კომიტეტის სხდომაზე მისი განხილვა. ამ შემოწმებამ უეჭველად დატოვა კვალი და გარკვეული სარგებლობა მოიტანა სახელმწიფო სანოტარო კანტორებისა და მმაჩის ორგანოების მუშაობის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფისა და მათს საქმიანობაში სოციალისტური კანონიერების განმტკიცების თვალსაზრისით, თუმცაღა სრული წესრიგის დამყარებამდე შორს არის.

ყველა ეს და მრავალი სხვა საკითხი ჯერ კიდევ აღელვებს მოსახლეობას და ამიტომ სახალხო კონტროლის ორგანოები სისტემატურად ამოწმებენ სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმო-დაწესებულებებში მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების შესწავლის, მიღების ორგანიზაციის საკითხებს. სწავლობენ და მკაცრადაც სჯიან იმ ხელმძღვანელებს, რომელთა უპასუხისმგებლობა ხელს უწყობს ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ცალკეულ გამოვლინებათა არსებობას. ამასთან რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტები დიდ მუშაობას ეწევიან ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის მატარებელი ხელმძღვანელი მუშაკების მიმართ საჯაროობისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებათა გამოყენების თვალსაზრისით.

ადამიანის ბუნება ისეთია, რომ იგი ვერ ეგუება სუბასუხოდ დატოვებულ კითხვას. ბიუროკრატიული მანქანა კი აიძულებს მას, როცა ამომწურავ პასუხს ვერ ღებულობს ძირითადი აღრესატისაგან, მოჰყვეს მის ძებნას იქ, სადაც ნაწილობრივ მაინც დაუკმაყოფილებენ მოთხოვნას.

ადმინისტრაციულ დაწესებულებებში მოქალაქეთა დიდი ნაკადი ინფორმაციისათვის მოდის: მდგომარეობას ის ართულებს, რომ ადგილებზე არ არის ორგანიზებული მომსვლელთა საორიენტაციო ინფორმაციით მომსახურება.

მოსახლეობამ რომ ზუსტად იცოდეს საკუთარი „ცნობისმოყვარეობის“ კონკრეტული მისამართები, საგრძნობლად შემცირდებოდა უმისამართო კორესპონდენციებისა და მომსვლელთა რიცხვი სხვადასხვა ორგანოში, დაიზოგებოდა მოქალაქეთა და მუშაკთა ძვირფასი დრო.

ხომ შედარებით სრულად არის მოგვარებული მოსახლეობის საინფორმაციო თვითმომსახურების საკითხი საფოსტო განყოფილებებში, მაშ, რატომ არ შეიძლება მათი გადაწყვეტა მილიციის საპასპორტო განყოფილებებსა და სამხედრო კომისარიატებში, სანოტარო კანტორებსა და მმაჩის ბიუროებში.

თითოეული მოქალაქის დროს განუზომელ სიმდიდრეს წარმოადგენს, მაგრამ ყოველთვის როდი ვუფრთხილდებით მას. ხშირად მოქალაქენი ჩივიან (და აბსოლუტურად სწორადაც) იმის გამო, რომ ადმინისტრაციულ მმართველობაში საქმის წარმოება კი არ მარტივდება, არამედ რთულდება. სახელმწიფო დაწესებულებებში ერთობ გავრცელდა ე. წ. „ცნობათამთხველობა“ და ამის გამო მოქალაქე დადის კარდაკარ. გამოდის, რომ იგი ემსახურება დაწესებულებებს, და არა — პირიქით. შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოთა და დაწესებულებათა ფარგლებში კი მათი პირდაპირი ურთიერთობის მეშვეობით შეიძლება ისე მოვაწყოთ საქმე, რომ დავზოგოთ ადამიანიც და მისი დროც.

ყველა ის საკითხი, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, სახალხო კონტროლისა და ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთშეხების წერტილებია, მაგრამ მარტოდენ ამ საკითხთა წრით როდი შემოიფარგლება ეს ურთიერთობა. ჩვენი ერთობლივი მუშაობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა სახალხო კონტროლის ჯგუფები ადმინისტრაციულ ორგანოებში. თუმცა, სხვა სფეროებში მოქმედი ჯგუფებისაგან განსხვავებით, თვით ადმინისტრაციული ორგანოების სპეციფიკიდან გამომდინარე, მათთვის თავისებური უფლებრივი და სტრუქტურული ჩარჩოებია განსაზღვრული — ეს ოდნავადაც არ აქვეითებს მათს მნიშვნელობას, და იგი მთელი ჩვენი სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

შეუძლებელია კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე წარმოვიდგინოთ ადმინისტრაციული ორგანოების წარმატებული საქმიანობა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის ფართო ფენების აქტიური მონაწილეობის, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი საზოგადოებრივი კონტროლის ზუსტი ორგანიზაციის გარეშე. სწორედ სამართალდაცვის ორგანოების მოწინავე მუშაკთა პირველ რიგებში უნდა იდგნენ სახალხო კონტროლიორები, ეხმარებოდნენ აპარატების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებსა და ხელმძღვანელობას საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებაში.

სახალხო კონტროლის ჯგუფების საქმიანობა ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმართება სსრ კავშირში სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ



კანონის შესაბამისად. ადმინისტრაციული ორგანოების სახალხო კონტროლიორებს ხელთ უპყრიათ მოქალაქეთა მიღების, მათს წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობის წესის დაცვის, აპარატში საშემსრულებლო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, ფულადი სახსრების ხარჯვისა და მატერიალურ ფასეულობათა შენახვისადმი კონტროლის გაძლიერების სადავეები. მრავალი მათგანი კარგად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, ხელს უწყობს ჩვენს ორგანოებს შორის ქმედითი ურთიერთობის გაფართოებას. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ეს დადებითი ძვრები აღინიშნა სახალხო კონტროლის საკავშირო კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიურ მასალებში.

სახალხო კონტროლიორთა მუშაობის აქტივიზაციისათვის, მათი საქმიანობის სწორი ორგანიზაციისათვის დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს აკკ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის 17 იანვრის დადგენილებას „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე“. ეს პარტიული დოკუმენტი მთელი ჩვენი სისტემის საბრძოლო პროგრამაა. იგი სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს და, რა თქმა უნდა, ადმინისტრაციულ ორგანოებში ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის დონის ამაღლების უმნიშვნელოვანეს ორიენტირადაც გვევლინება.

ამ დადგენილების შესაბამისად, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რესპუბლიკურმა კომიტეტმა ადმინისტრაციულ ორგანოებში სახალხო კონტროლის ჯგუფების აქტივიზაციის მიზნით მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებანი განახორციელა. მათ შორის აღნიშვნის ღირსია ადმინისტრაციული ორგანოების სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა და სახალხო კონტროლის საკავშირო კომიტეტის სამხედრო ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ, გენერალ-ლეიტენანტმა ი. სვირიდოვმა, რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა. გამოვეცით მეთოდოლოგიური მასალა — „სახალხო კონტროლი ადმინისტრაციულ ორგანოებში“, რომელშიც ასახულია ჯგუფებისა და საგუშაგოების ორგანიზაციული მუშაობის საკითხები, მოცემულია შემოწმებათა სანიმუშო გეგმები და პროგრამები. მოგვიანებით შემუშავდა და შინაგან საქმეთა ორგანოების ჯგუფებს დაეზავნათ სამინისტროსა და სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივი სახელმძღვანელო წერილი „რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების აქტივობის ამაღლების შესახებ“. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიხედვით შესწავლილ იქნა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა, პროკურატურის, იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების სახალხო კონტროლის ზოგიერთი ჯგუფის საქმიანობა ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მხარდაჭერას დადებითი შედეგი მოჰყვა. ახლა თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბევრი სასარგებლო წამოწყების ინიციატორები არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს (სათავო ჯგუფის თავმჯდომარე — ნ. ბერიშვილი), ქ. თბილისის პროკურატურის, სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამმართველოს (ო. ნიკოლაიშვილი, ლ. მნაცკაანოვი, რ. კობახიძე), ქ. რუსთავის, ზუგდიდის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებების (მ. სუხიშვილი, ბ. გვასალია) და ზოგიერთი სხვა ქვედანაყოფის სახალხო კონტროლიორები.

მთლიანად დადებითად ვაფასებთ რა სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობას, ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ მათს საქმიანობაში არსებული მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ჯგუფი და საგუშაგო, რომლებიც სუსტად, უინიციატივოდ მუშაობენ, სახალხო კონტროლიორები არ იჩენენ საკმარის სიმტკიცესა და პრინციპულობას კონტროლის განხორციელებაში, შემრიგებლურად ეკიდებიან სხვადასხვაგვარ დარღვევებს, უყარათობისა და მფლანგველობის ფაქტებს, სუსტად იყენებენ საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და მუშაობის საჯაროობის საშუალებებს. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალმომარაგების ნაგებობათა დამცავი პოლკის (ა. აფციაური), საქარხნო რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების (ბ. გვასალია) საპატრულო-საგუშაგო სამსახურის პოლკის (რ. ბითიაშვილი) და ზოგიერთი სხვა სახალხო კონტროლის ჯგუფები.

ყოველივე ეს მოითხოვს ჩვენი ერთობლივი მეცადინეობის წარმართვას რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისა და მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის. ეს უეჭველად ხელს შეუწყობს სახალხო კონტროლისა და ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთქმედების გაუმჯობესებას, მათი საქმიანობის გაძლიერებას, სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას, სახელმწიფო დისციპლინის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას.

თანამდებობრივ დანაშაულთა კრიმინოლოგიური დახასიათება

ზ. ფაფიაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

თანამდებობრივ დანაშაულთა კრიმინოლოგიური გამოკვლევა ხელს უწყობს ამ კატეგორიის დანაშაულთან ბრძოლას. იგი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თანამდებობრივ დანაშაულთა სტრუქტურაზე, დინამიკაზე და საშუალებას გვაძლევს დამნაშავე პირთა შესახებ არსებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე განვახორციელოთ ამ დანაშაულის თავიდან აცილების ღონისძიებანი.

წინამდებარე სტატიაში ეს საკითხები განხილულია რესპუბლიკური მონაცემების მიხედვით.

უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ სასამართლოებში განხილული საქმეების და მსჯავრდადებულ პირთა რაოდენობის დადგენა ვერ მოგვცემს თანამდებობრივ დანაშაულთა მდგომარეობის მთლიან სურათს, ვინაიდან ამ დანაშაულთა უდიდესი უმრავლესობა ატარებს ლატენტურ ხასიათს. მისი გამოვლენა უმეტესად ხდება არა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში, არამედ დანაშაულის ჩადენის რამდენიმე წლის შემდეგაც. ამას ისიც ემატება, რომ თანამდებობრივი დანაშაულის გამოვლენა დამოკიდებულია იმაზეც, თუ როგორ იბრძვიან სამართალდაცვის ორგანოები სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის სიმტკიცის, სიწმინდის და სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის. მაგალითად, როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო ჩომხვეჭელობის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, მექრთამეობის და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. იგი აშკარად დაეტყო თანამდებობრივ დანაშაულთა სასამართლო პრაქტიკასაც. მექრთამეობასთან აქტიურმა ბრძოლამ გამოიწვია ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა რაოდენობის გაზრდა.

საქართველოს სსრ სასამართლოებში 1970-1980 წლებში განსახილველად გადაგზავნილი ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაულის საქმეების 25 პროცენტს შეადგენდა საქმეები მექრთამეობის შესახებ. დანარჩენი კი საქართველოს სსრ სსკ 186-ე, 187-ე, 188-ე და 191 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულს.

თანამდებობრივ დანაშაულთა საქმეებიდან სასამართლოებში განაჩენის გამოტანით განხილულია 1972 წელს 79,1 პროცენტი; 1973 წელს — 81,4 პროცენტი; 1974 წელს — 92; პროცენტი; მაშინ როდესაც 1971 წელს ეს მონაცემი შეადგენდა 77,3 პროცენტს. მექრთამეობის საქმეებიდან 1971-1980 წლებში განაჩენის გამოტანით დამთავრდება მთელი საქმეების 76 პროცენტი.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა ხვედრითი წილი ყველა სხვა დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის საშუალოდ 6,8 პროცენტს შეადგენდა განსაკუთრებით გაიზარდა იგი 1972 წელს (8,6 პროცენტი). 1980 წელს კი შეადგენდა 4,99 პროცენტს.

განხილულ საქმეთა რაოდენობის შესაბამისად იცვლება თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა დინამიკაც. მაგალითად, სასამართლო პრაქტიკის მონაცემებით დადგინდა, რომ 1972 წელს თანამდებობრივი დანაშაულისათვის 20,5 პროცენტით მეტი პირი იქნა მსჯავრდადებული, ვიდრე 1971 წელს.

1971 წელს მექრთამეობისათვის 22,4 პროცენტით მეტი პირი იქნა მსჯავრდადებული, ვიდრე 1970 წელს. 1972 წელს კი 80,8 პროცენტით მეტი.

სამსახურებრივი სიყალბისა და მატერიალური შემადგენლობის სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის 1970 წელთან შედარებით 1972 წელს მსჯავრდადებულთა 8,7 პროცენტით მეტი, 1973 წელს — 6,7 პროცენტით მეტი, 1974 წელს — 17,4 პროცენტით მეტი. მომდევნო წლებში მათი რიცხვი თანდათანობით მცირდება. მაგალითად, 1975 წლის მონაცემები თითქმის გაუთანაბრდა 1970 წლის მონაცემებს. 1976 წელთან შედარებით კი 1980 წელს 33,1 პროცენტით ნაკლები პირი იქნა მსჯავრდადებული.

1972 წელთან შედარებით 1978 წელს ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის 42,9 პროცენტით ნაკლები პირი იქნა მსჯავრდადებული, 1979 წელს — 40,3 პროცენტით ნაკლები, 1980 წელს კი 46,6 პროცენტით ნაკლები.

ეს მონაცემები, ცხადყოფს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად სამართალდაცვის ორგანოებმა გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა. ამის წყალობით გაიწმინდა და გაუმჯობესდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის შემადგენლობა, იგი დაკომპლექტდა კომპეტენტური პირებით, ამაღლდა მათი პასუხისმგებლობა პარტიისა და ხალხის წინაშე. მაგრამ, ცხადია, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზეა რომ არ არიან პირები, რომლებიც ბოროტად იყენებენ თანამდებობას, სახელს უტეხენ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს.

1970-1980 წლებში მსჯავრდადებულ პირთა ზარათებისა და საქართველოს სტატისტიკური მონაცემების შესწავლა-გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთაგან სასჯელის მოხდამდე ქრთამის მიცემა ან მექრთამეობაში შუამავლობა არ ჩაუდენია არც ერთ ისეთ პირს, რომელიც სასამართლომ თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაათავისუფლა პირობით, შრომაში სავალდებულო ჩაბმით და გაგზავნა სამუშაოდ სახალხო მეურნეობის მშენებლობაზე. ჩანს, რომ სასჯელის პოლიტიკა, რომელსაც სასამართლო ადგას, სწორია. ამ კატეგორიის დანაშაულთა მსჯავრდადებისა და სასჯელის მოხ-

დის ეს ფორმა ამართლებს თავის დანიშნულებას და იგი შეიძლება უფრო გაბედულად გამოვიყენოთ.

ქრთამის ალბისათვის მსჯავრდადებულთა 4,7 პროცენტს აღრინდელი ნასამართლობა მოხსნილი და გაქარწყლებული ჰქონდა, 2,2 პროცენტს კი არა. მათ შორის ორ პირს მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ჰქონდა ორი აღრინდელი ნასამართლობა.

დროის ამავე მონაკვეთში ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთა შორის აღრინდელი ნასამართლობა მოხსნილი და გაქარწყლებული ჰქონდა 7,4 პროცენტს, ხოლო 6,7 პროცენტს კი არა. აქედან ერთზე მეტი აღრინდელი ნასამართლობა მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ჰქონდა მსჯავრდადებულთა 1,2 პროცენტს.

ასეთივე სურათი მოგვცა სამსახურებრივი სიყალბისა და მატერიალური შემადგენლობის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ პირთა გამოკვლევამ. 4,5 პროცენტს აღრინდელი ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა. 2 პროცენტს კი მოუხსნელი.

ცალკეული პერიოდების მიხედვით ისით დანაშაულებითა რიცხვი, რომლისა ცი აღრინდელი ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა, განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 1973-1976 წლებში. მომდევნო წლებიდან კი ასეთი შემთხვევები საგრძნობლად შემცირდა.

ქრთამის ალბისათვის წინათ მოუხსნელი ან გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონე მსჯავრდადებულთა რიცხვი შეადგენდა 3,4 პროცენტს. აქედან სასჯელი მოიხადა და გათავისუფლდა 1,9 პროცენტი; პირობით ვადამდე 1,3 პროცენტი; ავადმყოფობით 0,1 პროცენტი.

ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის წინათ მოუხსნელი და ან გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონე მსჯავრდადებულთა რიცხვი შეადგენდა 7,2 პროცენტს. აქედან სასჯელი მოიხადა 4 პროცენტმა; პირობით ვადამდე განთავისუფლდა 1,9 პროცენტი; ავადმყოფობით 0,5 პროცენტი; ამნისტიითა და სხვა საფუძვლებით — 0,9 პროცენტი.

საქართველოს სსრ სსკ 186-ე, 187-ე, 188-ე და 191-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონე მსჯავრდადებულთაგან სასჯელი მოიხადა 1,4 პროცენტმა; პირობით ვადამდე განთავისუფლდა 0,9 პროცენტი; ავადმყოფობით — 0,1 პროცენტი; ამნისტიითა და სხვა საფუძვლით — 0,1 პროცენტი.

ქრთამის ალბისათვის მსჯავრდადებულთაგან თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლების პირველსავე წელს დანაშაული ჩაიდინა ერთმა: ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთაგან — ორმა; მატერიალური შემადგენლობის სახის თანამდებობრივი დანაშაულისა და სამსახურებრივი სიყალბისათვის მსჯავრდადებულ პირთაგან თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლების პირველსავე წელს დანაშაული ჩაიდინა 0,3 პროცენტმა.

თანამდებობრივი დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, თვრამეტ წლამდე ასაკის პირების გასამართლების ფაქტი არ გვხვდება.

ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა შორის 18-დან 25 წლამდე ასაკისა აღმოჩნდა 6,6 პროცენტი; 24-დან 30 წლამდე — 9,9 პროცენტი; 29-დან 50 წლამდე — 55,7 პროცენტი; 49 და მეტი წლისა 26,3 პროცენტი.

ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთა შორის 18-დან 25 წლამდე ასაკისა იყო 9,7 პროცენტი, 24-დან 30 წლამდე — 15,8 პროცენტი, 29-დან 50 წლამდე — 55,1 პროცენტი, 49 და მეტი წლისა — 18,6 პროცენტი.

სასამართლო სტატისტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მექრთამეობას შედარებით ნაკლებად სჩადიან 18-დან 25 წლამდე ასაკის პირები, ხოლო ყველაზე მეტს 29-49 წლის პირები. ისინი შეადგენენ მსჯავრდადებულთა ნახევარზე მეტს (56,9 პროცენტი).

თითქმის ასეთივეა მატერიალური შემადგენლობის სახის თანამდებობრივი დანაშაულისა და სამსახურებრივი სიყალბისათვის მსჯავრდადებულ პირთა ასაკობრივი მონაცემები.

სტატისტიკით ყველა სახის თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენისათვის ყველაზე საშიშ ასაკად უნდა იქნეს მიჩნეული 30-50 წელი.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური დასკვნა გამოაქვს ბ. ს. ვოლკოვს¹.

თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის უსწავლელი და დაწყებითი განათლების მქონეთა რიცხვი უმნიშვნელოა. მაგალითად, უკანასკნელი ათი წლის მონაცემებით, ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა შორის უსწავლელი და დაწყებითი განათლების მქონეთა 2,7 პროცენტი; მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის — 14,8 პროცენტი.

1970-1980 წლებში სამსახურებრივი სიყალბისა და მატერიალური შემადგენლობის სახის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის უსწავლელი და დაწყებითი განათლების მქონე პირთა ხვედრითი წილი შეადგენდა 4,7 პროცენტს.

თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის უსწავლელი და დაწყებითი განათლების პირთა მსჯავრდების ფაქტები თითქმის ყოველწლიურად მცირდება, და ეს კანონზომიერია, რადგან სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემაში უსწავლელ და დაწყებითი განათლების პირთა ნაცვლად სამუშაოდ იგზავნიებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა შორის დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი იყო 45,1 პროცენტი, კომკავშირელი — 2,1 პროცენტი. ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთა შორის დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი იყო 16,4 პროცენტი, აღკვ წევრი — 3 პროცენტი. ცალკეული წლების მიხედვით მათი რიცხვი მცირდებოდა, ხოლო 1980 წელს 1971 წელთან შედარებით 30 პროცენტით შემცირდა.

სამსახურებრივი სიყალბისა და მატერიალური შემადგენლობის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 24,7 პროცენტი დანაშაულის

¹ Б. С. Волков. Детерминическая природа преступного поведения. Изд-во Казанского университета, 1975, с. 82—84.

ჩადენის მომენტში სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი იყო, 5,9 პროცენტი -- კომკავშირელი, დანარჩენი — უბარტიო.

1970-1980 წლებში მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთა შორის 15,9 პროცენტი ქალი იყო, აქედან 73,6 პროცენტი მსჯავრდადებულია ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის 26,4 პროცენტი კი ქრთამის აღებისათვის.

ცალკეული წლების მიხედვით ქრთამის აღებისათვის ყველაზე მეტი ქალი მსჯავრდადებულია 1972-1973 წლებში. ასევე, ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის ყველაზე მეტი ქალია მსჯავრდადებული 1972-1974 წლებში, ყველაზე ნაკლები იყო 1979 წელს.

მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულ პირთა შორის 27,5 პროცენტი მუშაა, 58,4 პროცენტი — მოსამსახურე. აქედან ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა 18,5 პროცენტი მუშა იყო. 78,6 პროცენტი — მოსამსახურე. ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთა 33,9 პროცენტი იყო მუშა 52,6 პროცენტი — მოსამსახურე. მექრთამეობისათვის მსჯავრდადებული კოლმეურნეა 11,6 პროცენტი. დანარჩენი 88,4 პროცენტი გასამართლებულია ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის.

მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთა შორის 4,5 პროცენტი დანაშაულის ჩადენის მომენტში არ მუშაობდა და არც სწავლობდა. მსჯავრდადებულთა შორის არიან პირნი, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მომენტში პენსიონერები, დიასახლისები და შრომის უუნარონი იყვნენ. ამ კონტივენტის 0,3 პროცენტი მსჯავრდადებულია ქრთამის აღებისათვის.

მართალია, ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულ პირთა რაოდენობა ყოველ წლიურად მცირდება. სასამართლო პრაქტიკაში ამ კატეგორიის პირთა მსჯავრდების ფაქტებს მაინც ვაწყდებით. მაგალითად, 1980 წელს ამ დანაშაულისათვის გასამართლებულია რამდენიმე მუშა, მაგრამ ეს ერთეული ფაქტებიც კი შეუწყნარებელია, ვინაიდან მუშა არ არის თანამდებობის პირი და მისი გასამართლება ქრთამის აღებისათვის კანონსაწინააღმდეგოა.

სამწუხაროდ, მატერიალური შემაღენლობის სახის თანამდებობრივი დანაშაულისა და სამსახურებრივი სიყალბისათვის მსჯავრდადებულ პირთა შორისაც არის ასეთი ფაქტები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობა ახორციელებს ღონისძიებებს მათს აღმოსაფხვრელად, მაგრამ მიუხედავად ამისა, სასამართლოები ამ კატეგორიის დანაშაულისათვის მაინც ასამართლებენ პენსიონერებს, დიასახლისებს, შრომისუნარიან დროებით უმუშევრებსა და თვით შრომისუუნარო პირებსაც. ასეთ პირთა მსჯავრდადების ფაქტები 1974 წელთან შედარებით 1976 და 1978 წლებში გაიზარდა. მართალია, მათი რიცხვი მომდევნო წელს ერთგვარად შემცირდა, მაგრამ 1980 წელს ასეთ პირთა არასწორი მსჯავრდადების ფაქტები მაინც შეადგენდა 2,4 პროცენტს.

აღსანიშნავია, რომ თანამდებობრივი დანაშაულისათვის კოლმეურნე პირთა მსჯავრდების ფაქტები ყოველწლიურად მცირდება. რაც სასამართლოდაცვის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებაზე მეტყველებს.

ამ კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის ქალთა რიცხვი 1971 წლიდან თითქმის ყოველწლიურად მატულობდა. იგი განსაკუთრებით გაიზარდა 1974 წელს, ხოლო 1975-1976 წლებში იკლო, შემდეგ კვლავ იმატა და 1979 წელს თითქმის გაუთანაბრდა 1974 წლის მონაცემებს. იმავე წელსთან შედარებით 1779 წელს 27,5 პროცენტი თმეტი ქალი დაისაჯა, 1980 წელს კი 18 პროცენტით ნაკლები. ნაგრამ ამავე წელს მსჯავრდადებულთა შორის ქალთა ხვედრითი წილი მაინც 3,4 პროცენტით მეტია 1971 წლის მონაცემებთან შედარებით, რაც მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით უნდა აიხსნას.

1979-1980 წლებში ამ კატეგორიის დანაშაულთა 81,8 პროცენტი ჩადენილია ქალაქად ან ქალაქის ტიპის დასახლებაში, სოფლად კი 18,2 პროცენტი. აქედან ქრთამის აღებისათვის დანაშაულის 81,9 პროცენტი ჩადენილია ქალაქად, ან ქალაქის ტიპის დასახლებაში, დანარჩენი კი სოფლად. მექრთამეობაში შუამავლობის და ქრთამის მიცემისთვის დანაშაულის 82,8 პროცენტი ჩადენილია ქალაქად ან ქალაქის ტიპის დასახლებაში, დანარჩენი სოფლად.

სამსახურებრივი სიყალბისა და მატერიალური შემადგენლობის თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა 57,9 პროცენტს დანაშაული ჩადენილი ჰქონდა ქალაქად ან ქალაქის ტიპის დასახლებაში, დანარჩენს სოფლად.

თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთაგან იმავე წელს ჩადენილი დანაშაულისათვის სასამართლოების მიერ დამნაშავედ იყო ცნობილი 37,1 პროცენტი, დანარჩენი 62,3 პროცენტი ვასამართლებულია წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის. მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთაგან იმ პირთა რაოდენობა, რომელთა დანაშაული იმავე წელს გამომჟღავნდა, შეადგენდა 39,6 პროცენტს დანარჩენი 60,4 პროცენტი მსჯავრდადებულია ქრთამის წარსულში აღებისათვის. მექრთამეობაში შუამავლობის და ქრთამის მიცემისათვის ვასამართლებულ პირთაგან მხოლოდ 37,8 პროცენტი იმავე წელს იყო მხილებული, დანარჩენი 62,2 პროცენტი, იყო წინათ ჩადენილი ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის.

რაც შეეხება ცალკეული წლების მონაცემებს, ისინი ცვალებადია. მაგალითად, 1971 წელს იმ მსჯავრდადებულთა რიცხვი, რომლებმაც მექრთამეობა ჩაიდინეს, ვასამართლების წელსავე შეადგენდა 44,3 პროცენტს. მომდევნო წელს კი მან შეადგინა 23,8 პროცენტი. ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის მსჯავრდადებულთა რაოდენობამ კი 16,3 პროცენტი. მომდევნო წლებში მონაცემები გაუმჯობესდა და 1979 წელს იმ მსჯავრდადებულთა რიცხვმა, რომლებიც დაისაჯნენ იმავე წელს ჩადენილი მექრთამეობისათვის, უკვე 57 პროცენტი შეადგინა. ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ მექრთამეობის წინააღმდეგ მეზრძოლმა ორგანოებმა გაააქტიურეს ბრძოლა მექრთამეობასთან და ყოველ ასეთ ფაქტზე დროულად ახდენენ რეაგირებას. ამასვე ვერ ვიტყვიტ სამსახურებრივი სიყალბისა და მატერიალური შემადგენლობის თანამდებობრივი დანაშაულთა შესახებ. რადგან ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის იმ პირთა რიცხვი, რომლებიც მხილებული იქნენ დანაშაულის ჩადენის წელსვე, საშუალოდ არ აღემატებოდა 32 პროცენტს. 1980 წელს კი მან სულ შეადგინა 28,7 პროცენტი.

თანამდებობრივ დანაშაულთა სპეციფიკურობის გამო ამ დანაშაულთა თითქმის ნახევარი ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ. მაგალითად, 1971-1979 წლებში მექრთამეობისათვის მსჯავრდებულთა 42,9 პროცენტს დანაშაული ჩადენილი ჰქონდა ჯგუფურად. ქრთამის აღება ჯგუფურად ჩაიდინა მსჯავრდებულთა 38,9 პროცენტმა. მექრთამეობაში შუამავლობა და ქრთამის მიცემა კი მსჯავრდებულთა 46,3 პროცენტმა. ჯგუფურად ჩადენილი მექრთამეობის ფაქტები თითქმის ყოველწლიურად მცირდება. მაგალითად, 1972 წელს ჯგუფურად ქრთამის აღება ჩადენილი ჰქონდა მსჯავრდებულთა 48 პროცენტს. ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის 57,8 პროცენტს. 1980 წელს ეს მონაცემები 15,2 პროცენტით შემცირდა. ასევე შეიმჩნევა იმ მსჯავრდებულ პირთა რაოდენობის კლების ტენდენცია, რომლებმაც ჯგუფურად ჩაიდინეს სამსახურებრივი სიყალბე და მატერიალური შემადგენლობის თანამდებობრივი დანაშაული. მაგალითად, თუ 1971 წელს იმ პირთა რაოდენობა, რომლებმაც ამ სახის თანამდებობრივი დანაშაული ჩაიდინეს ჯგუფურად, შეადგენდა 57,6 პროცენტს, 1980 წელს იგი შემცირდა 36,2 პროცენტამდე. ეს უდავოდ დამნაშაევობასთან ბრძოლის პარტიული და ადმინისტრაციული ორგანოების კარგი მუშაობის შედეგია.

მსჯავრდებულთა რაოდენობის მიხედვით 1974-1978 წლების მონაცემებით, თანამდებობრივი დანაშაული ყველაზე მეტად ჩადენილია სავაჭრო ორგანიზაციებსა და სამომხმარებლო კოოპერაციაში. მაგალითად, 1974 წელს სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებში ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა 18,5 პროცენტი, ანუ იმდენი, რამდენიც ერთად აღებული ჩადენილია სოფლის მეურნეობის, რკინიგზის, საზღვაო, საპაერო და საავტომობილო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მომარაგებისა და გასაღების, სახელმწიფო დამზადების, საბინაო და კომუნალური მეურნეობების, ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დაწესებულებების, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებისა და საფინანსო, საგეგმო, საკრედიტო დაწესებულებების სისტემაში. სამომხმარებლო კოოპერაციაში — 21,1 პროცენტი, ანუ იმდენი, რამდენიც ერთად აღებული ზემოთ დასახელებულ ორგანიზაციებსა და მშენებლობებზე.

თუ თანამდებობრივ დანაშაულთაგან მექრთამეობას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დანაშაულს, ცალკე გამოვყოფთ, მაშინ, ზემოაღნიშნული მონაცემებით, ქრთამის აღების მეტი შემთხვევებია სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, სადაც ჩვენ მიერ შერჩევით აღებულ, წუთი წლის მანძილზე ქრთამის, აღებისათვის მსჯავრდებულთა იყო 7,1 პროცენტი, წარმოებაში — 4,3 პროცენტი, სამომხმარებლო კოოპერაციაში — 5,1 პროცენტი; რკინიგზის ტრანსპორტზე — 5,1 პროცენტი; სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებში — 3,9 პროცენტი.

ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის ფაქტებიც სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში ჭარბობს.

წინა წლებთან, შედარებით, მომდევნო წლებში გააქტიურდა ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებში, მოხმარების კოოპერაციაში, საბინაო და კომუნალურ მეურნეობაში, საპაერო ტრანსპორტზე, სახელმწიფო მომარაგებისა და გასაღების ორგანიზაციებში, ჯანმრ-

თელობის დაცვის ორგანოებსა და სამედიცინო დაწესებულებებში, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში.

სასამართლო პრაქტიკის გამოკვლევის ეს შედეგები მოწმობს, რომ ჯერ კიდევ სრულყოფილად არ ხორციელდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის მიერ შემუშავებული პრინციპები. კადრების შერჩევა-განაწილების შესახებ. აბა სხვა რით შეიძლება აიხსნას, თუ არა კადრების არასწორი შერჩევა-განაწილებით წინათ ერთი ან მეტი ნასამართლობის მქონე პირთა დანიშვნა ან არჩევა ამა თუ იმ თანამდებობაზე, ან ისეთი პირებისა, რომლებსაც წინანდელი ნასამართლობა ჯერ კიდევ მოუხსნელი ან გაუქმარწყლებელი ჰქონდათ და, განა სასამართლოების კარგ მუშაობად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ესოდენ საშიში დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდადებულ პირთაგან პირობით ვადამდე განთავისუფლებულთა შორის ვხვდებით ისეთ პირებსაც, რომლებსაც ადრინდელი ნასამართლობა ჯერ კიდევ მოუხსნელი და გაუქმარწყლებელი ჰქონდათ? ცხადია, არა. ასეთ პირთა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები შეიძლება საერთოდ არც მომხდარიყო, ისინი რომ გარკვეულ თანამდებობებზე არ დაენიშნათ, ან სასამართლოებს საფუძვლიანად რომ შეესწავლათ წინათ ნასამართლობის მქონე პიროვნება და მართებულად შეეფასებინათ შათი საზოგადოებრივი საშიშროება. სწორედ ეს გარემოებებიც უნდა ჩაითვალოს თანამდებობრივ დანაშაულთა ჩადენის ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად.



[Faint bleed-through text from the reverse side of the page, including words like 'მედიცინა', 'სამართლო', 'დაწესებულებები', 'პრინციპები', 'მუშაობა', 'დანიშვნა', 'არჩევა', 'მსჯავრდადებული', 'განთავისუფლებული', 'მოუხსნელი', 'გაუქმარწყლებელი', 'ფაქტები', 'საერთოდ', 'მომხდარიყო', 'დაენიშნათ', 'სასამართლოებს', 'საფუძვლიანად', 'შეესწავლათ', 'წინათ', 'ნასამართლობის', 'მქონე', 'პიროვნება', 'და', 'მართებულად', 'შეეფასებინათ', 'შათი', 'საზოგადოებრივი', 'საშიშროება', 'სწორედ', 'ეს', 'გარემოებებიც', 'უნდა', 'ჩაითვალოს', 'თანამდებობრივ', 'დანაშაულთა', 'ჩადენის', 'ერთ-ერთ', 'ხელშემწყობ', 'პირობად']

საცხოვრებელი სადგომიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლება

შ. ხახანაშვილი,

საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო საქმეთა სასამართლო განხილვისადმი
ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი, იუსტიციის უზროსი მრჩეველი

საქართველოს სსრ პროკურატურამ შეისწავლა საცხოვრებელი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების კანონიერება.

პრაქტიკის მასალების განზოგადებამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები განიხილავენ და წყვეტენ დიდი რაოდენობის მასალებს საცხოვრებელი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ.

1970 წელს განხილული იყო და გადაწყვეტილი ამ სახის 682 მასალა. 1980 წელს — 780, ხოლო 1981 წელს — 791. აქედან გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათ სწორად გადაჭრას.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების და სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით საცხოვრებელი სადგომიდან მოქალაქეთა გამოსახლება შეიძლება როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებით, ისე ადმინისტრაციული წესით. მხოლოდ ეს ორგანოები არიან უფლებამოსილი გადაწყვიტონ საკითხი ბინებიდან მოქალაქეთა გამოსახლების შესახებ.

კანონი ბინებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების ფუნქციას აკისრებს პროკურატურას, როგორც კანონის შესრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობის განმხორციელებელ ორგანოს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებმა (36 — მუხლის მე-2-ე ნაწილი) მნიშვნელოვნად შეზღუდა მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლება. კანონით ეს დაშვებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც მოქალაქეს საცხოვრებელი სადგომი დაკავებული აქვს თვითნებურად, ან ცხოვრობს სატლში, რომლის ჩამოქცევა მოსალოდნელი.

კანონი ამომწურავად ჩამოთვლის საფუძვლებს და მისი განვრცობითი განმარტება დაუშვებელია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 7 დეკემბრის ბრძანებულებამ „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედო შემოღების წესის შესახებ“ დაადგინა რომ მოქალაქეთა ბინებიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლების თაობაზე დაუმთავრებელი საქმის წარმოება (გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების 36-ე მუხლის მე-2-ე ნაწილით) 1982 წლის 1 იანვრამდე უნდა შეწყვეტილიყო, ხოლო

პროკურორის ის დადგენილებანი, რომლებიც ამ დროისათვის არ იყო სისრულეში მოყვანილი, აღარ აღსრულდებოდა. აქ იგულისხმებოდა სამსახურებრივი სადგომებიდან, საერთო საცხოვრებლებიდან და სასტუმროებიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლების საქმის წარმოებათა შეწყვეტა და დადგენილებათა სისრულეში მოყვანლობა.

ამ კატეგორიის საქმეთა წარმოებით შეწყვეტა ხელს არ უშლის იმას, რომ სასამართლოში აღიძრას სარჩელი მათი გამოსახლების შესახებ, საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების მე-40 და 21-ე მუხლების მიხედვით.

პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ბინებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების დადგენილების აბსოლუტური უმრავლესობა გამოტანილია ბინის თვითნებური დაკავების გამო. შესწავლილი 550 მასალიდან 638 დადგენილება შეეხება თვითნებურად დაკავებული ბინებიდან მოქალაქეთა გამოსახლებას, ხოლო 12 დადგენილება — გამოსახლებას სახლის ჩამოქცევის საფრთხის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანს გაუმჯობესდა ქალაქისა და რაიონის პროკურორების მუშაობა ბინებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების მასალებზე, ამ საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლოვანებებია.

პროკურორები შეცდომებს უშვებენ, არ ასრულებენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სადირექტივო წერილის მითითებას ადმინისტრაციული წესით გამოსახლების საკითხის გადაწყვეტის დროს კანონის მოთხოვნათა უმკაცრესი დაცვისა და გამოსახლების საფუძვლიანობის ყველა გარემოებათა მთელი სისრულით შემოწმების შესახებ.

გამოსახლება ჯერ კიდევ ხდება გამოსახლებელი პირის ახსნა-განმარტების ჩამოურთმევლად, ან პირს ახსნა-განმარტება ჩამორთმეული აქვს, მაგრამ ფორმალურად, არ ხდება მასში მითითებულ გარემოებათა შემოწმება.

მაგალითად, სათანადო შემოწმებისა და ახსნა-განმარტების ჩამოურთმევლად ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურამ გამოიტანა დადგენილება ლიფტების სამმართველოს 12 მუშაკის მიმართ, ისე, რომ არც ერთს არ ჩამოართვა ახსნა-განმარტება. მათ მიმართ შეკრებილი მასალები გაერთიანებულია ერთ წარმოებად, ქ. გორის პროკურატურამ ახსნა-განმარტების ჩამოურთმევლად გადაწყვიტა მოქ. ე. სეირანაშვილის, ი. კაკიშვილი-ბაღსამაშვილის და გ. ბულუღურის ბინიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლების საკითხი. ასეთივე დარღვევებია დაშვებული: მცხეთის რაიონის პროკურატურის მიერ მ. მღებრიშვილის, კ. ხეცურიანის, ნ. ზაქაიძისა და ი. ვალხევის მიმართ, ბორჯომის რაიონის პროკურატურის მიერ თ. ხუციშვილის მიმართ, ბათუმის სატრანსპორტო პროკურატურის მიერ ს. ვაბუნიას, რ. ა. როვალევიჩის, ე. ჩერტოვას და სხვათა მიმართ.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ახსნა-განმარტების ჩამორთმევა მართოდენ პროცესუალური მხარის დაცვა არ არის. მისი იურიდიული მნიშვნელობა პირველ ყოვლისა ის არის, რომ კარგად გავერკვეთ წარმოშობილ ურთიერთობაში და სამართლის ნორმის შეფარდების დროს არ დავუშვათ შეცდომა.

გამოსახლებასთან დაკავშირებულ გარემოებათა მთელი სისრულით შემოწმების აუცილებლობას არ იცავენ მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების პროკურორები. არ მოწმდება გამოსახლების საკითხის გადაწყვეტისათვის აუ-



ცილებელი გარემოებანი. კერძოდ: რომელი სახეობის საბინაო ფონდს განეკუთვნება სადავო ბინა, ხომ არ არის პირი ჩასახლებული თანამდებობის პირის განკარგულებით, აქვს თუ ამ პირს შრომითი ურთიერთობა ორგანიზაციასთან, რომელმაც იგი ჩაასახლა სადავო ბინაში. კონკრეტული ურთიერთობა გადასაწყვეტია სამოქალაქო სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული წესით და სხვა. ამის გამოურკვევლად შეუძლებელია მათ მიეცეთ სწორი იურიდიული კვალიფიკაცია და მართებულად გადაწყდეს მასალების განხილვის ქვემდებარეობა.

1981 წლის 12 მაისს ქ. გორის პროკურორის თანაშემწემ ი. გოგატიშვილმა გამოიტანა დადგენილება მოქ. ა. ტერტერაშვილის პირადი საკუთრების სახლის ერთი ოთახიდან მოქ. გ. ბაზაზაშვილის ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ. ახსნა-განმარტებაში ბაზაზაშვილი აღნიშნავდა, რომ მას და ბინის მესაკუთრეს შორის დადებულია ბინის ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც იგი ბინის მესაკუთრეს უხდიდა 20 მანეთს. ეს გარემოება სათანადოდ არ შეუმოწმებიათ. რესპუბლიკის პროკურატურის ჩარევის შემდეგ შემოწმებით დადგინდა, რომ ბაზაზაშვილი თვითნებურად არ მოქცეულა. მხარეებს განემარტათ, რომ დავა უნდა გადაწყვიტონ სასამართლოს წესით.

ამავე პროკურატურის მიერ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1949 წლის 18 მარტის საღირებქტივო წერილის მოთხოვნათა უხეში დარღვევით იქნა გამოტანილი აგრეთვე ბინიდან მოქ. ლ. გვარამაძის ადმინისტრაციული წესით გამოსახლების დადგენილება. არ გაურკვევიათ ძირითადი საკითხები — მოქ. გვარამაძემ სადავო ბინა თვითნებურად დაიკავა თუ მისი უშუალო უფროსების ნებართვით. ამ საკითხის ირგვლივ არ დაკითხულა არც ერთი პირი, მასალებს ამოწმებდა პროკურორის თანაშემწე დ. ჭავჭავაძე, მანვე გამოიტანა დადგენილება ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ, რომელსაც დაეთანახა ქალაქის პროკურორი ი. ჩადუნელი. იმ დროს, როდესაც თანახმად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 331-ე მუხლისა, ბინიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლება ხდება პროკურორის სანქციით და დადგენილება მოქ. გვარამაძის გამოსახლების შესახებ გამოტანილი უნდა ყოფილიყო ქალაქის პროკურორის მიერ.

ქ. სოხუმის პროკურორმა სოხუმის საქსოვი ფაბრიკის კუთვნილი ბინიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლა ამავე ფაბრიკის მუშა ტ. გაბისონია იმ მოტივით, თითქოსდა მას სადავო ბინა თვითნებურად დაეკავებინოს. შემოწმებით გამოირკვა, რომ ტ. გაბისონიამ სადავო ბინა დაიკავა ფაბრიკის ადმინისტრაციისა და საფაბრიკო კომიტეტის ერთობლივი დადგენილების საფუძველზე, რის გამოც საქართველოს სსრ პროკურატურამ ეს დადგენილება გააუქმა და მხარეებს მიუთითა, სადავო საკითხი სასამართლოში გადაეწყვიტათ.

ასეთივე დარღვევით გამოიტანა ქ. ფოთის პროკურორმა ჯ. კიკაბიძემ დადგენილება მოქ. ქ. ლაშხიას ბინიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ, ქ. ცხინვალის პროკურორმა ი. ინალდაევმა გ. და ზ. კაპანაძეების მიმართ, ბორჯომის რაიონის პროკურორის თანაშემწემ მ. ქურციკიძემ ვ. ჩინჩაიძის მიმართ და ა. შ.

გენერალური პროკურორის ზემონახსენები წერილის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დადგენილებებს ბინებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების, ან გამოსახლებაზე უარის თქმის შესახებ ხელს უნდა აწერდეს მხოლოდ პროკურორი ან მისი მოადგილე. ისინი პერსონალურად აგებენ პა-

სუხს ამ დადგენილებათა კანონიერებისათვის. ზოგიერთ პროკურატურაში ამ წესს არ იცავენ და ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს პროკურორის თანაშემწეები წყვეტენ.

მაგალითად, მცხეთის რაიონის პროკურორის თანაშემწემ დ. მდინარაძემ გამოიტანა დადგენილება მოქ. ზ. მურვანიძის და ლ. ადამაშვილის ბინიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ, ისე, რომ დადგენილება პროკურორის მიერ სანქციონირებული არ ყოფილა. ანალოგიურად დაირღვა ეს წესი მ. ბალხამაშვილის საქმის მასალების განხილვის დროსაც.

გამოსახლების შესახებ მასალების მიმოხილვით გამოირკვა აგრეთვე, რომ ზოგჯერ არასწორად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული წესით ბინიდან გამოსახლების ვადები. ზოგიერთი პროკურორი თავისი შეხედულებით ადგენს გასახლების ვადებს 5, 7, 10 და 15 დღის ხანგრძლივობით. გენერალური პროკურორის 1979 წლის საინფორმაციო წერილის შესაბამისად კი დადგენილია ადმინისტრაციული წესით გამოსახლების 10 დღიანი ვადა, დადგენილების პირების მხარეებისათვის ჩაბარების მომენტიდან. ამასთან ვადის განსაზღვრას დროს მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, თუ რომელი სახეობის გამოსახლებასთან გვაქვს საქმე (როდესაც მოქალაქეს ბინა აქვს დაკავებული თვითნებურად თუ ცხოვრობს სახლში, რომლის ჩამოქცევაა მოსალოდნელი). პროკურორს უფლება აქვს სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით გადადოს პირის ბინიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლების ვადა. ამას ქალაქისა და რაიონის პროკურორები არ აკეთებენ და ურჩევენ მოქალაქეებს ამის თაობაზე მიმართონ ზემდგომ პროკურორს.

არის ფაქტები, როდესაც გამოსახლების დადგენილება იბეჭდება ტრაფარეტულ ბლანკზე გამოსახლებელი პირის გვარის გამოტოვებით. მაგალითად, ქ. სოხუმის პროკურორმა ქ. წულაიამ № 6 სამშენებლო ტრესტიდან გამოგზავნილი სიის მიხედვით გამოიტანა 57 დადგენილება მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ, რაც იმას ადასტურებს, რომ გამოსახლების საკითხი გადაწყვეტილი იყო წინასწარ შეუმოწმებლად.

დადგენილებაში გამოსახლების შესახებ ზუსტად არ მიუთითებენ, თუ კონკრეტულად რომელი ბინიდან უნდა გამოსახლდეს ესა თუ ის პირი, არ არის აღნიშნული, სადავო ბინიდან ყველა პირი უნდა ვამოსახლდეს თუ არა, ვის უნდა გაეგზავნოს დადგენილება შესასრულებლად. ეს გარკვეულ სიძნელეებს ქმნის დადგენილების აღსრულების დროს, დადგენილებაში არ არის განსაზღვრული გასაჩივრების წესი და ა. შ.

პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახვა, რომ ბინების თვითნებურ დაკავებას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ ზოგიერთი უწყება და დაწესებულება დროულად არ ანაწილებს ბინებს, ხოლო განთავისუფლებული ბინები თვეობით და ზოგჯერ წლობით ჩაკეტილია, რაც შემდგომ იწვევს აღნიშნული ბინების თვითნებურ დაკავებას. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც პროკურორების მიერ გამოტანილი დადგენილებანი ბინებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ დროულად არ მოჰყავთ სისრულეში ზოგიერთი მოქალაქისა თუ თანამდებობის პირის დანაშაულებრივი მოქმედების გამო. ქალაქისა და რაიონის პროკურორები ამაზე ჯეროვნად არ რეაგირებენ.

სასამართლო სხალხო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის ხარისხი

ბ. ცირაშუა,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო კანონით დადგენილ ფარგლებში ზედამხედველობას უწევს მართლმსაჯულების განხორციელებას რესპუბლიკის სასამართლოებში. მათს საქმიანობაში კი დიდი ადგილი უკავია სამოქალაქო საქმეთა განხილვას. ბოლო ხანს ქალაქებისა და რაიონების სახალხო სასამართლოებში ამაღლდა სამოქალაქო საქმეთა განხილვის ხარისხი. სასამართლოების გადაწყვეტილებათა უმეტესობა დისაბუთებულ და კანონიერი. ამის შედეგად გაუმჯობესდა სასამართლო გადაწყვეტილებათა სტაბილურობა.

მიუხედავად ამისა, ბევრჯერ სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს ზერელედ, არღვევს სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმებს, არ ზრუნავს სასამართლო მტკიცებულებათა შეგროვებისათვის, ყოველმხრივ და სრულად არ არკვევს საქმის ნამდვილ ვითარებას და მხარეების უფლებამოვალეობებს. ყოველივე ამის გამო სასამართლოებს გამოაქვთ მცდარი, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებანი, რომლებიც შემდგომში უქმდება საკასაციო ან ზედამხედველობის წესით, ეს კი საქმეთა გადაწყვეტის გაჭიანურებას და მართლმსაჯულების დაგვიანებით აღსრულებას იწვევს.

ამ მიზეზებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მარტო 1982 წლის აგვისტოში რამდენიმე გადაწყვეტილება გააუქმა.

ქ. ჭიათურის სახალხო სასამართლომ 1982 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა ე. შუაკაციძის სარჩელი ჭიათურის სამგზავრო ავტოსადგურის მიმართ სამუშაოზე აღდგენის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1982 წლის 26 აგვისტოს განჩინებით მოსარჩელე ე. შუაკაციძის საკასაციო საჩივრის საფუძველზე გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად გაუგზავნა იმავე სასამართლოს, ვინაიდან საქმე ზერელედ, მხარეთა უფლებამოვალეობათა გამოურკვევლად იყო განხილული.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, ე. შუაკაციძე მუშაობდა ჭიათურის ავტოსადგურის ბილეთების გამყიდველ მოლარედ, იგი სამუშაოდან განთავისუფლებულ იქნა შრომის კანონთა კოდექსის 35-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე ადმინისტრაციის მხრივ მის მიმართ ნდობის დაკარგვის მოტივით.

ჯერ ერთი, საქმის მასალებით ეს მოტივი სათანადოდ დადგენილი არ არის.

გაურკვეველია, ადგილკომის თანხმობა ვ. შუკაკიძის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ წინ უსწრებდა თუ არა ადმინისტრაციის ბრძანებას სამუშაოდან დათხოვნის შესახებ.

გარდა ამისა, სასამართლომ არც ის მიიღო მხედველობაში, რომ თანახმად საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 2 ივნისის დადგენილების მესამე პუნქტისა, როცა ადგილკომის სხდომაზე, მუშაკის სამუშაოდან დათხოვნაზე თანხმობის მიცემის საკითხი განიხილება, სხდომაზე აუცილებლად უნდა მიიწვიონ ეს პირი.

ცნობილია, რომ სახელმწიფოს საბინაო ფონდის სახლებში ბინის დამქირავებელს და მასთან ერთად მცხოვრებ მისი ოჯახის სრულწლოვან წევრებს ურთიერთშეთანხმებით შეუძლიათ სხვა მოქალაქეს ნება დართონ იცხოვროს მათს საცხოვრებელ სადგომში, როგორც დროებითმა მდგმურებმა. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტასთან ერთად დროებითი მდგმური კარგავს ამ ბინაზე უფლებას და თუ უარს იტყვის მის დაცლაზე, გამოსახლებულ უნდა იქნეს სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 317-ე და 318-ე მუხლები). საცხოვრებელ ფართობზე დროებითი მდგმური მასზე უფლებას ვერ მოიპოვებს. კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული, რამდენი ხნის შემდეგ არ შეიძლება მისი გამოსახლება დროებითი მდგმურის უფლებით დაკავებული ბინიდან. ამ პირთა გამოსახლების შესახებ საარჩელის აღძვრაც არ არის შეზღუდული ხანდაზმულობის ვადით, მაგრამ სასამართლომ ყოველი საქმის განხილვის დროს უნდა გაითვალისწინოს საქმის კონკრეტული გარემოებანი.

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლომ 1982 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საარჩელი მ. კუდანოვას მიმართ სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად ბინიდან გამოსახლების შესახებ, ამას საფუძველად დაედო ის, რომ ბინის ძირითადი დამქირავებელი გარდაიცვალა და ამრიგად საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება შეწყდა, მოპასუხე კი დროებითი მდგმურია.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1982 წლის 18 აგვისტოს განჩინებით მოპასუხე მ. კუდანოვას საკასაციო საჩივრის საფუძველზე გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნა სახალხო სასამართლოში ხელახლა განსახილველად შემდეგი მითითებებით: როგორც თვით რუსთავის ქალაქის საბჭოს აღმასკომის სასარჩელო განცხადებიდან ჩანს, სადავო ერთობაშიანი ბინის ძირითადი დამქირავებელი 1972 წლიდან ყოფილა ქ. ბარანჩიკოვა. მასთან ამ ბინაში 1976 წლის 22 ივლისს ჩაუწერიათ მოპასუხე მ. კუდანოვა მუდმივად. ბინის ძირითადი დამქირავებელი ქ. ბარანჩიკოვა გარდაცვლილია იმავე 1976 წლის 3 აგვისტოს, ხოლო მ. კუდანოვა განაგრძობდა იქ ცხოვრებას. ბინის ძირითადი დამქირავებლის გარდაცვალებიდან თითქმის 6 წლის გავლის შემდეგ, 1982 წლის 14 ივლისს ქალაქის საბჭოს აღმასკომმა აღძრა საარჩელი და მოითხოვა ბინიდან მ. კუდანოვას გამოსახლება როგორც დროებითი მდგმურისა, ამასთან სასარჩელო განცხადებაში მითითებულია, რომ ეს ფაქტი აღმასკომისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ 1982 წლის დასაწყისში და

მოპასუხემ ვერ შეძლო დამტკიცებინა ის გარემოება, რომ კ. ბარანჩიკოვა მისი ნათესავი იყო და მასთან ერთად ეწეოდა საერთო საოჯახო მეურნეობას.

მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და სასამართლოს განუმარტა, რომ კ. ბარანჩიკოვა მისი ნათესავი იყო. საქმეში არსებული ბინის დამქირავებლის პირად ბარათში მართლაც აღნიშნულია, რომ მ. კუდანოვა კ. ბარანჩიკოვას ნათესავია. მათი ნათესაობის შესახებ საქმეში არის სხვა მტკიცებულებანიც. უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის სხდომაზე მოპასუხემ წარმოადგინა ბინის ქირის გადახდის ქვითრები, რომელთა დათვალიერებითაც გამოირკვა, რომ კ. ბარანჩიკოვას გარდაცვალების შემდეგ მ. კუდანოვა სათანადო გადაანგარიშების საფუძველზე თავის სახელზე იხდიდა ბინის ქირას. საქმის მასალებიდან ისიც ჩანს, რომ მოპასუხესთან ერთად ამ ბინაში ცხოვრობს მისი ორი მცირეწლოვანი შვილი, ხოლო თვით მ. კუდანოვა მუშაობს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ლაბორანტად. უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ გააუქმა რა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, კერძო განჩინება გამოიტანა ქალაქის საბჭოს აღმასკომის იმ თანამშრომელთა მიმართ, რომელთა მიზეზითაც ასე დაგვიანებით აღიძრა სარჩელი.

თელავის რაიონის სახალხო სასამართლოს 1982 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დ. ბითაევას სარჩელი ა. ბაგაურის და სხვების მიმართ საცხოვრებელი სახლიდან წილის გამოყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მოსარჩელე დ. ბითაევას საკასაციო საჩივრით, 1982 წლის 4 აგვისტოს განჩინებით გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუგზავნა იმავე სახალხო სასამართლოს. როგორც უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის განჩინებაშია მითითებული, დ. ბითაევა და ა. ბაგაური 1969 წლიდან იმყოფებოდნენ ფაქტიურ ცოლქმურ ურთიერთობაში. ერთად ცხოვრების დროს შეეძინათ სამი შვილი, რომლებიც მოსარჩელესთან იზრდებიან. ისინი დასცილდნენ ერთმანეთს 1976 წელს. მოსარჩელემ სადავო სახლიდან წილის გამოყოფა მოითხოვა იმ საფუძველით, რომ მან მონაწილეობა მიიღო ამ სახლის რეკონსტრუქციაში.

საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ასეთივე სარჩელი დ. ბითაევას აღუძრავს ჯერ კიდევ 1978 წელს, მაგრამ სახალხო სასამართლოს 1978 წლის 7 დეკემბრის განჩინებით საქმის წარმოება შეწყდა იმის გამო, რომ მხარეები მორიგდნენ და ეს მორიგება დაამტკიცა სასამართლომ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის მე-5 პუნქტი). განმეორებით სარჩელი 1982 წელს დ. ბითაევამ აღძრა ძირითადად იმიტომ, რომ მოპასუხემ არ შეასრულა მორიგების პირობა.

ასეთ ვიფარებაში სასამართლოს არ უნდა მიეღო დ. ბითაევას განმეორებითი სარჩელი თანახმად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, ან, მიიღო რა სასარჩელო განცხადება, საქმის წარმოება უნდა შეეწყვიტა ამავე კოდექსის 226-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

საქმის ხელახლა განმხილველ სასამართლოს მიეთითა სრულყოფილად გაარკვიოს, ხომ არ შეუცვლია მოსარჩელეს სარჩელის საგანი ან საფუძველი. გარდა ამისა, როგორც კოლეგიის განჩინებაშია მითითებული, სასამართლომ არსებითად სწორად არ გადაწყვიტა დავა. კერძოდ, მხარეთა ორსართულიანი

საცხოვრებელი სახლი რამდენიმე ოთახისაგან შედგება. მოპასუხეთა ოჯახში სამი წევრია. მოსარჩელესა და მის სამ არასრულწლოვან შვილს კი (მათ შორის ერთი ბავშვი ავადმყოფია) სასამართლომ სარგებლობის უფლებით გამოუყო მხოლოდ 15,32 კვ. მ ფართობის ერთი ოთახი და ამ ოთახის გვერდით მდებარე ღია აივანი.

ზოგჯერ სასამართლოები არ ასრულებენ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 36-ე მუხლის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც სასამართლო ვალდებულია განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად განიხილოს იმ ქონების გაყოფის საკითხი, რომელიც წარმოადგენს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას, მაგრამ თუ ასეთი გაყოფა ხელყოფს მესამე პირის უფლებებს, დავა ქონების გაყოფის შესახებ არ შეიძლება გადაწყდეს განქორწინების საქმესთან ერთად.

თელავის რაიონის სახალხო სასამართლომ 1982 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა გ. ასანაშვილის სარჩელი თ. ასანაშვილის მიმართ განქორწინების შესახებ. ამავე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა თ. ასანაშვილის შეგებებული სარჩელი გ. ასანაშვილისა და მისი დედის ნ. ასანაშვილის მიმართ საცხოვრებელი სახლიდან ერთი ოთახის სარგებლობის უფლებით გამოყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1982 წლის 18 აგვისტოს ასანაშვილებს საკასაციო საჩივრით განიხილა საქმე და სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების ნაწილში უცვლელად დატოვა, ხოლო თ. ასანაშვილისათვის საცხოვრებელი ოთახის გამოყოფის ნაწილში გადაწყვეტილება ვააუქმა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს. ვინაიდან დარღვეული იყო კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა.

სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვის დროს სხვა ვარაუდებთან ერთად იმაზეც მიუთითეს, რომ, ვინაიდან სადავო სახლის მესაკუთრეა გ. ასანაშვილის დედა ნ. ასანაშვილი, დავა ამ სახლით სარგებლობის შესახებ არ შეიძლება გადაწყდეს განქორწინების საქმესთან ერთად. სასამართლომ ამ შემთხვევაში დაარღვია საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 36-ე მუხლის მოთხოვნა.

როგორც ცნობილია, 1982 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა და მოქმედებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლები. ამ კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვა ევალება ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციას, აგრეთვე ყველა მოქალაქეს. როგორც საფუძვლების მეორე მუხლშია აღნიშნული, საბჭოთა საბინაო კანონმდებლობა მოწოდებულია მოაწესრიგოს სსრ კავშირის კონსტიტუციით გარანტირებული საბინაო ურთიერთობა.

საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებმა შემოიღო ბევრი სიახლე, რომელთა მიზანია მოქალაქეთა საბინაო პირობებისა და კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესება.

ერთ-ერთი სიახლეა საფუძვლების 45-ე მუხლში ჩამოყალიბებული დებულება, რომლის თანახმადაც, როდესაც მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლები უნდა დაინგრეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით, ამ მოქა-

ლაქეებს, მათი ოჯახების წევრებს, აგრეთვე ამ სახლებში მუდმივ მცხოვრებ სხვა მოქალაქეებს დადგენილი ნორმების მიხედვით ეძლევათ ბინები სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში. გარდა ამისა, საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებს მათი არჩევანისამებრ ან აუნაზღაურდებათ დასანგრევი სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობის ღირებულება, ანდა ეძლევათ უფლება გამოიყენონ თავიანთი შეხედულებებისამებრ ამ სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობის დაშლის შედეგად დარჩენილი მასალა. მოქალაქეთა სურვილისამებრ სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ მათთვის (ბინის მიცემის ნაცვლად) იმას, რომ რიგგარეშე შევიდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებად და მიიღონ ამ კოოპერატივებში ბინები.

მოქალაქეთა სურვილისამებრ მათი კუთვნილი დასანგრევი საცხოვრებელი სახლები და ნაგებობანი შეიძლება გადატანილ და აღდგენილ იქნეს ახალ ადგილზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილ შემთხვევებში მოქალაქეებისათვის, რომლებსაც სახლები უნდა დაუნგრინონ, მათი სურვილისამებრ ახალ ადგილზე შენდება საცხოვრებელი სახლები, ნაგებობები და მოწყობილობა, ამასთან მათი ღირებულება არ აუნაზღაურდებათ.

ბინების მიცემის წესს, დასანგრევი სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობის ღირებულების ოდენობას, აუნაზღაურების წესს და მათი გადატანის პირობებს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

საფუძვლების ამ მუხლის განმარტებისას ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ თუ წინათ — 1982 წლის 1 იანვრამდე მომქმედი წესის თანახმად (ამის შესახებ არსებობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილებები) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით ასალები შენობის (ნაგებობის) მესაკუთრეს უფლება ჰქონდა მოეთხოვა ან საცხოვრებელი ფართობი არსებული ნორმის მიხედვით, ან ამ შენობის (ნაგებობის) ღირებულება. ამჟამად მომქმედი კანონის შესაბამისად, ზემოაღნიშნულ პირებს დადგენილი ნორმების მიხედვით ეძლევათ სამაგიერო ბინები. საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებს გარდა ამისა არჩევანისამებრ ან აუნაზღაურდებათ დასანგრევი სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობების ღირებულება, ანდა ეძლევათ უფლება გამოიყენონ თავიანთი შეხედულებისამებრ ამ სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობების დაშლის შედეგად დარჩენილი მასალა.

კანონის ამ მოთხოვნათა განუხრელი დაცვა მართლმსაჯულების დონის ამაღლების კიდევ ერთი გარანტიაა.

აღკვეთით მიწის სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები

ბ. მირიანაშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს
უფროსის მოადგილე

ბოლო ხანს ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა მიწის სახელმწიფო საკუთრების უფლების დაცვას. მიწა — ეს არის ძირითადი საშუალება სოფლის მეურნეობის უხვი პროდუქტების მისაღწევად, რასაც ითვალისწინებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილება.

თბილისისათვის უმაღლესი ჯილდოს — ლენინის ორდენის გადაცემასთან დაკავშირებით ჩამოსულმა საპატიო სტუმარმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. უ. ჩერნენკომ რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან საუბარში განაცხადა: „კარგია, რომ საქართველოში ყურადღებით შეისწავლეს, თუ როგორ მოუარონ მიწას თანამედროვე პირობებში, როგორ შეახაზონ მისი გამოყენება სასურსათო პროგრამის შესრულებასთან“¹.

ეს მაღალი შეფასება სხვებთან ერთად ეკუთვნის აგრეთვე რესპუბლიკის სამართალდაცვის ორგანოებსაც. მათი საქმიანობის სწორი ორგანიზაციის წყალობით მიწის სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევის შემთხვევები სისტემატურად მცირდება. ამ ტენდენციას სტაბილური ხასიათი აქვს.

მიწის სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევისათვის (საქართველოს სსკ 180-ე მუხლი) და თვითნებური მშენებლობისათვის (სსკ 221-ე მუხლი) მსჯავრდადებულთა რიცხვი უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა.

მსჯავრდადებულთა რაოდენობა უფრო მნიშვნელოვნად კლებულობს მიწის სახელმწიფო საკუთრების უფლების დამრღვევთა მიმართ.

ამ კატეგორიის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და გაანალიზება ცხადყოფს, რომ მოკვლევა და წინასწარი გამოძიება, აგრეთვე საქმეთა სასამართლოში განხილვა, ძირითადად, წარმოებს კანონის შიშობონათა დაცვით, მაგრამ არის დარღვევები და ხარვეზები.

საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღძრულია დანაშაულის გამოვლინებიდან დიდი ხნის შემდეგ, ზოგჯერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლას შემდეგაც კი. იშვიათად დგინდება მიწის ნაკვე-

¹ გაზეთი „კომუნისტი“, 1982 წლის 31 ოქტომბერი № 250 (16.492).

თის მიტაცებით რა ზარალი მიადგა მიწის მფლობელს, იგი საქმეში ყოველთვის არ არის ჩაბმული დაზარალებულად. ზოგჯერ დაუზუსტებელია მითვისებული მიწის ნაკვეთის ზომა. შემოწმებული არ არის უნებართვო ბინათმშენებლობისათვის გამოყენებული სამშენებლო მასალების შეძენის კანონიერება.

1981 წლის 20 მარტს გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილებას მიმართა ტაბახმელის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა იმის შესახებ, რომ თბილისში მცხოვრებმა გ. კანდელაკმა უნებართვოდ დაისაკუთრა დედის სახელზე რიცხული მიწის ნაკვეთი და შეუდგა თვითნებურ მშენებლობას. თუმცა მიმართვას აქვს სათანადო რეზოლუცია მოკვლევისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ, მაგრამ უბნას ინსპექტორმა განკარგულება შეასრულა მხოლოდ 2 თვისა და 2 დღის შემდეგ.

სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველომ 1980 წლის 22 ივლისს აცნობა შინაგან საქმეთა განყოფილებას, რომ სოფელ საქობოს მცხოვრებმა ჯ. ჯიბლაშვილმა მიიტაცა C,16 ჰექტარი მიწა და დაამუშავა ბოსტნეულის მოსავლის მისაღებად. სისხლის სამართლის საქმე ჯ. ჯიბლაშვილის მიმართ აღძრულია 1981 წლის 20 მაისს.

ქ. ქუთაისში ახალგაზრდობის გამზირზე ვ. სინატაშვილმა 1970 წელს თვითნებურად მშენებლობის მიზნით მიიტაცა 638 კვ მეტრი მიწის ფართობი. სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ კი აღიძრა 1981 წლის 29 იანვარს. სახალხო სასამართლომ სრულიად სამართლიანად საქმის წარმოება შეწყვიტა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

სახალხო სასამართლოების უმრავლესობა არა მარტო სათანადოდ არ რეაგირებს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ნაკლოვანებებზე, არამედ თვითონაც უშვებს სერიოზულ შეცდომებს.

საქმეთა ერთი ნაწილი განხილულია ერთთვიანი ვადის დარღვევით. ეს აღემატება სხვა საქმეებზე დარღვეული ვადების საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებს. საქმეთა გაჭიანურების ძირითადი მიზეზია განხილვისათვის მათი მოუმზადებლობა.

გარდაბნის რაიონის სასამართლოში ზ. გასანოვის ბრალდების საქმის განხილვა 7-ჯერ გადაიდო სხვა საქმეთა განხილვის ვაგრობებისა და მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო. ამავე მიზეზით ზესტაფონის რაიონის სასამართლოში ორჯერ გადაიდო კ. მჭედლიძის ბრალდების საქმის განხილვა და იგი ორ თვეს და ხუთ დღეს გაჭიანურდა. ვაკვირვებას იწვევს, რომ ამ მარტივ საქმეზე სამსჯავრო გამოძიება შეწყვეტილი იყო 28 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე, ხოლო რის გამო — ეს სამსჯავრო სხდომის ოქმში ასახული არ არის.

საქმის განხილვის ვადა ზოგჯერ ირღვევა იმის გამო, რომ მოსამართლეები არ იცავენ საქართველოს სსრ სსსკ 240-ე მუხლის მოთხოვნებს.

მაგალითად, ქუთაისის ლენინის რაიონის სასამართლოში ჯ. ენდელაძის ბრალდების საქმე მოსამართლემ 1981 წლის 3 აპრილის ერთპარტიული დადგენილებით განსახილველად დანიშნა 27 დღის შემდეგ, მაშინ როდესაც კანონი ამისათვის აწესებს არა უმეტეს 10 დღეს.

ამავე სასამართლოში სსსკ 240-ე მუხლის მოთხოვნა დარღვეულია ვ. ვიორგაძის, ვ. სინატაშვილის ბრალდების საქმეებზე, წყალტუბოს რაიონის სა-

სამართლოში — დ. ჯავახიძის ბ. თევდორაძის, ო. ხობუას, თ. ჯიშკარიანის და სხვათა ბრალდების საქმეებზე.

საქმეთა ერთი ნაწილი განხილულია სასამართლოს გამსვლელ სხდომაზე საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, მაგრამ სერიოზული დარღვევებია დაშვებული საქმეთა განხილვაში საზოგადოებრივი ბრალმძებლებისა და დამცველის მონაწილეობის საქმეში.

წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლოში ო. ხობუასა და გ. ბალანჩივაძის ბრალდების საქმეთა განხილვისას 1982 წლის 14 და 15 იანვარს სამსჯავრო სხდომებში მონაწილეობდნენ არა მშრომელთა კოლექტივის კრებაზე გამოყოფილი პირები, არამედ ამ საქმის მომკვლევის ხელით შედგენილი „ოქმების“ მიხედვით ერთი სასოფლო საბჭოს თანამშრომლებიდან არჩეული როგორც საზოგადოებრივი ბრალმძებელი, ისე საზოგადოებრივი დამცველი.

შესწავლილ საქმეთა მიხედვით არც ერთი განსასჯელის მიმართ არ არის გამოყენებული თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის ეს ზომა პირობით (სსკ 46-ე მუხლით) ჩათვალა მსჯავრდადებულთა 11,4 პროცენტს, გამასწორებელი სამუშაოები შეეფარდა 65,7 პროცენტს, დაჯარიმდა — 8,5 პროცენტი, ამნისტის საფუძველზე საქმის წარმოება შეწყდა 5,7 პროცენტის მიმართ, ხოლო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის გააგლის გამო საქმის წარმოება შეწყდა 8,5 პროცენტის მიმართ.

არის აშკარად ლიბერალური სასჯელის ღონისძიებათა შეფარდების შემთხვევებიც.

სიღნაღის რაიონის სასამართლომ 1981 წლის 22 ივლისის განაჩენით 60 მანეთით დააჯარიმა ადრე ნასამართლეთი გ. ჯიბლაშვილი, რომელმაც გაფრთხილების მიუხედავად, 1980-1981 წლებში გადახნა საქონლის გადასარეკი ტრასის დასასვენებელი მოედნის 0,16 ჰექტარი ფართობი და მასზე საზამთრო და პამიდორი მოიყვანა. ასევე უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებდა წესით ნასამართლეთი ვ. ბეჟანიშვილი, რომელმაც გურჯაანის რაიონის სასამართლომ 1981 წლის 11 აგვისტოს მიუსაჯა გამასწორებელი სამუშაოები. მან საზამთროს მოსაყვანად თვითნებურად გადახნა კოლმეურნეობის 0,12 ჰექტარი შვრიის ნათესი და წინააღმდეგობა გაუწია კოლმეურნეობის წარმომადგენლებს.

ბ. მურუსიძემ, რომელიც წინათ ორჯერ იყო გასამართლებული, ქ. ქუთაისში მიტაცებულ მიწის ნაკვეთზე თვითნებური მშენებლობა წამოიწყო. ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1981 წლის 3 აგვისტოს განაჩენით მას გამასწორებელი სამუშაოები აკმარა, ამასთან, უნებართვოდ აგებული მთელი სახლის კონფისკაცია კი არ მოახდინა. არამედ მისი ნაწილისა და კონკრეტულად არც მიუთითებია, რომელი ნაწილისა.

საქმეთა ერთ ნაწილზე დაუდგენელია ზარალის თანხა, რომელიც მიწის მფლობელმა განიცადა მიწის სახელმწიფო საკუთრების დარღვევით ან თვითნებური მშენებლობით. ზარალის განსაზღვრისას კი ზოგჯერ გაანგარიშება რეალური არ არის.

თელავის რაიონის სოფელ კონდოლის მცხოვრებმა გ. ახალმოსულიშვილმა 1974 წელს მიატოვა სოფელი, მაგრამ 1975-81 წლებში მაინც ფლობდა კოლმეურნეობის მიერ ჩამორთმეულ 0,15 ჰექტარ მიწის ნაკვეთს და სოფელში დარჩენილი მეუღლის, პედაგოგ ნ. ახალმოსულიშვილის ხელშეწყობით ყოველწლიურად მოჰყავდა მოსავალი. არც წინასწარ გამოძიებას და არც სასამარ-



თლოს 1981 წლის 9 ივლისის სამსჯავრო სხდომაზე კოლმეურნეობისათვის მი-
ყენებული ზარალის თანხა არ დაუდგენია.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ორულუს მცხოვრებმა ჯ. ოთხოზორიამ მი-
იტაცა რძის საწარმოს კუთვნილი 0,35 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. 0,20 ჰექტარ-
ზე ამოძირკვა თხილის ნარგავები, დარგო 200 ძირი მანდარინი, ამას გარდა, თე-
სავდა ლუფას და საზამთროს, ზარალის თანხად კი დადგენილია 90 მანეთი.

საქმეთა ერთ ნაწილში არც წინასწარი გამოძიებით და არც განაჩენით არ
არის დადგენილი ჩამოსართმევი მიწის ნაკვეთის ზომა. ქუთაისის ლენინის რა-
იონის სახალხო სასამართლომ 1982 წლის 26 თებერვლის განაჩენით ისე დას-
დო მსჯავრი ვ. გიორგაძეს, რომელმაც მიტაცებული მიწის ნაკვეთზე უნებარ-
თვოდ ააშენა ორსართულიანი კაპიტალური სახლი, რომ საბრალდებო დასკვ-
ნასა და განაჩენში ნახსენები არ არის მიტაცებული მიწის ნაკვეთის ოდენობა.
ანალოგიური ხარვეზი აქვს აგრეთვე ამავე სასამართლოში ჯ. ენდელაძის, ვ. სი-
ნატაშვილის მიმართ განხილულ საქმეებს.

ცნობილია, რომ თვითნებური მშენებლობა უმთავრესად წარმოებს უკ-
ნონოდ შეძენილი საშენი მასალებით, რაც, თავის მხრივ, სისხლის სამართლის
წესით დასჯადი ქმედობაა (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის
222-ე მუხლი).

ამ ბრალდებით გამოძიებულ და განხილულ საქმეებში ყოველთვის არ
არის გარკვეული ინდივიდუალური მშენებლების მიერ სახლის აშენებისათ-
ვის გამოყენებული საშენი მასალების შეძენის კანონიერება. ზოგიერთ საქმეს
ერთვის საბუთები საშენი მასალების შესაბამისი ორგანიზაციიდან შეძენის შე-
სახებ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სპეციალისტის მეშვეობით გამორკვეული არ
არის საქმარისი იყო თუ არა ეს მასალები სახლის ასაშენებლად.

როგორც ითქვა, ზოგჯერ მიწის სახელმწიფო საკუთრების უფლება დარ-
ღვეულია თვით მიწათმოსარგებლე ორგანიზაციის ხელმძღვანელთა უდარდე-
ლობით ან წაყრუებით. სახალხო სასამართლო მოვალეა ყოველი ასეთი შემ-
თხვევა ან მიწის თვითნებურ მიტაცებაში ხელშეწყობის სხვა ფაქტი აქციოს
მსჯელობის საგნად და კერძო განჩინების გამოტანით დასაზოს ღონისძიებანა
ამ დანაშაულის ხელშემწყობი პირობებისა და მიზეზების აღსაკვეთად.

სასამართლო პრაქტიკის გაზოგადების მიზნით ჩვენს მიერ შესწავლილ საქ-
მეთა მხოლოდ 14,5 პროცენტზეა დადგენილი კერძო განჩინება. მათ ერთ ნა-
წილში სწორად არის მითითებული მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუწყო მი-
წის დატაცებას ან უნებართვო მშენებლობას. ზოგიერთ სასამართლოში კი,
მიუხედავად იმისა, რომ იყო ამის მონაცემები, არ იზრუნეს კერძო განჩინე-
ბის დასადგენად.

მაგალითად, გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე
გ. ხაბაშვილი) 1981 წლის 30 მარტს დაადგინა განაჩენი ზ. გასანოვის მიმართ
და იგი დამნაშავედ ცნო სსკ 180-ე და 221-ე მუხლებით. განაჩენთან ერთად არ
დადგენილა კერძო განჩინება გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეო-
ბის ხელმძღვანელების მიმართ, რომელთა თვალწინ ზ. გასანოვმა 1973 წელს
მიიტაცა ამ მეურნეობის 0,18 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და მასზე ორსართული-
ანი კაპიტალური სახლი ააშენა, აგრეთვე წინასწარი გამოძიების მუშაკთა მი-
მართ, რომლებმაც არ დაადგინეს ზარალის ოდენობა, რომელიც ზ. გასანოვმა

მეურნეობას მიაყენა 7 წლის განმავლობაში მიწის ნაკვეთის უკანონო სარგებლობით.

სახალხო სასამართლოები ზოგჯერ არ ზრუნავენ განაჩენის იმ ნაწილის აღსრულებისათვის, რომელიც შეეხება მითვისებული მიწის ნაკვეთის ჩამორთმევას, უნებართვო ნაგებობის აღებას ან კონფისკაციას. მაგალითად, გ. ბალანჩივაძის ბრალდების გამო წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლოს 1982 წლის 14 იანვრის განაჩენით დადგენილია, რომ 1.320 კვ მეტრი მიწა უნდა ჩაბარდეს სოფელ გუმბრის კოლმეურნეობას, ხოლო მასზე უნებართვოდ აშენებული სახლი აღებულ იქნეს. განაჩენის აღსასრულებლად არაფერია გაკეთებული, აღმასრულებელი ფურცელიც კი არ არის ამოწერილი.

ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს 1981 წლის 12 ოქტომბრის განაჩენებით ა. ბაღდასარიანისა და მ. არზუმანოვის ბრალდებათა საქმეებზე დადგენილია, რომ უნდა მოხდეს კონფისკაცია გაქირავებული მიწის ნაკვეთებზე (750 და 2000 კვ მეტრი) მოყვანილი წიწაკის რეალიზაციით მიღებული შემოსავლისა. შემოსავლის თანხა კი არ არის განსაზღვრული. კონფისკაციის მიზნით ასევე არაფერია გაკეთებული. ანალოგიური დარღვევები იშვიათი არ არის. ეს ნაკლოვანებები და ხარვეზები იმის შედეგია, რომ ზოგიერთი სახალხო მოსამართლე დაუდევრობასა და უპასუხისმგებლობას იჩენს ამ კატეგორიის საქმეთა შესწავლის, განხილვისა და აღსრულების საქმეში.

სასურსათო პროგრამის განხორციელებაში ჩვენი რესპუბლიკის წვლილის გადიდებისათვის ზრუნვა სახალხო სასამართლოებისაგან მოითხოვს წინასწარ გულმოდგინედ შეისწავლონ ამ კატეგორიის საქმეები, აღკვეთონ გამოძიების მიერ დაშვებული ხარვეზები, მეტი ყურადღება მიაქციონ მიწის სახელმწიფო საკუთრების უფლების დაცვას, აამაღლონ სამსჯავრო სხდომის აღმზრდელობითი ზემოქმედება, დაადგინონ დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები და იზრუნონ განაჩენის სრულყოფილად აღსრულებისათვის, განსაკუთრებით მიტაცებული მიწის ნაკვეთის მიწათმოსარგებლისათვის დაბრუნებისათვის, უნებართვოდ დაშენებული ნაგებობის აღების ან კონფისკაციის უზრუნველყოფისათვის.

სრულყოფილ სასამართლო კადრებთან მუშაობა

ა. კვიციანი

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

სასამართლო ორგანოების საქმიანობის სრულყოფა მოითხოვს კადრებთან მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას. სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების ამოცანა შეუძლებელია გადაიჭრას კადრების სწორი შერჩევის, განაწილების, აღზრდის და პროფესიული დაოსტატების გარეშე. მაღალკვალიფიციური კადრების მეშვეობით ახორციელებს პარტია თავის პოლიტიკას, კომუნისტური მშენებლობის გეგმებს.

„ადამიანები, კადრები, — თქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე ე. ა. შვეარდნაძემ, — ჩვენი პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს ყველაზე დიდ კაპიტალს, ოქროს ფონდს წარმოადგენენ და ადამიანები, კადრები ჩვენს უდიდეს საზრუნავს შეადგენენ“.

სასამართლო კადრებთან მუშაობა იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა.

შარშან ნოემბერში მიღებულ იქნა ახალი კანონები „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“, „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“, „საქართველოს სსრ რაიონული (სამოქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“, რომლებშიც განსაზღვრულია არა მარტო სასამართლოების ორგანიზაციული მოღვაწეობის ყველა მნიშვნელოვანი მხარე, არამედ სასამართლო ორგანოების საკადრო პოლიტიკის ძირეული საკითხებიც.

ახალმა კანონებმა გაზრდილი მოთხოვნები წაუყენა სასამართლო ორგანოებს ორგანიზაციული საქმიანობისა და მართლმსაჯულების ხაზისხის გასაუმჯობესებლად. ამასთან დაკავშირებით დიდი ამოცანები აქვთ გადასაწყვეტად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იუსტიციის განყოფილებას. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო აღდგენის დღიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდა იუსტიციის ორგანოების, დაწესებულებებისა და სასამართლოების კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ ამოცანის შესრულებისათვის შემოღებული და დამკვიდრებულია მრავალი ფორმა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსამართლეთა პროფესიული დონის ამაღლებას. ისინი პერიოდულად იმადლებენ კვალიფიკაციას სამინისტროსთან არსებულ მუდმივმოქმედ რესპუბლიკურ კურსებზე, გადაიან სტაჟირებას რესპუბ-

ლიკის უმაღლეს სასამართლოში და თბილისის საქალაქო სასამართლოში. ახლად არჩეული სახალხო მოსამართლეების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოყენებულია გამოცდილ მოსამართლეებზე მათი მიმავლება, აგრეთვე კადრებთან მუშაობის სხვა ფორმები.

განხორციელებულმა ღონისძიებებმა დადებითი ზეგავლენა მოახდინა რესპუბლიკის სასამართლოებისა და იუსტიციის დაწესებულებათა საერთო მუშაობაზე. სახალხო სასამართლოების საქმიანობის ძირითადი მონაცემები შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

კანონის მიხედვით სახალხო მოსამართლეთა რაოდენობას თითოეული სასამართლოსათვის განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იუსტიციის განყოფილების წარდგენის საფუძველზე.

სახალხო სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს სამუშაოს მოცულობის მიხედვით. ამასთან კანონით ვათვალისწინებულია, რომ სასამართლოს საშტატო ერთეული შეიძლება დაემატოს რწმუნების პერიოდში, მოსამართლის შემცირება კი დასაშვებია მოხდეს მარტოდენ რწმუნების ვადის გასვლის შემდეგ, მორიგი არჩევნების პერიოდში. კანონში „საქართველოს სასამართლო წყობილების შესახებ“ დეტალურად არის რეგლამენტირებული სასამართლოს თავმჯდომარის ორგანიზაციული მუშაობის როლი კადრების აღზრდისა და სწავლების საქმეში, რაც კიდევ უფრო აფართოებს მის, როგორც ხელმძღვანელის, პასუხისმგებლობას.

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების ახალი კანონის 27-ე მუხლის საფუძველზე სახალხო მოსამართლის სამუშაოზე დროებით არყოფნის დროს (ავადმყოფობა, შვებულება და ა. შ.) მისი მოვალეობის შესრულება შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსის წარდგინებით, სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით შეიძლება დაეკისროს ამ სასამართლოს ერთ-ერთ სახალხო მოსამართლეს, ხოლო იქ, სადაც შტატით ერთი მოსამართლეა, — სასამართლოს ერთ-ერთ სახალხო მსაჯულს. ეს მოითხოვს, რომ სახალხო მსაჯულებად ავირჩიოთ ისეთი პირები, რომლებსაც შეეძლება ჩაატარონ სასამართლო პროცესი და გამოიტანონ განაჩენი. ამის ვათვალისწინება სასურველია. იქ კი, სადაც არის ამის საშუალება, სახალხო მსაჯულებად აირჩიონ პირები, რომლებსაც იურიდიული განათლება აქვთ.

სასამართლოს თავმჯდომარე მოვალეა მუდმივად უნერგავდეს თანამშრომლებს საჭირო თვისებებს — პრინციპულობას, მოქალაქეთა მიმართ გულისხმიერ დამოკიდებულებას, მაღალ ორგანიზებულობას, და სხვა. მხოლოდ ასეთი კადრები შეძლებენ შეასრულონ ის ამოცანები, რომლებსაც პარტია და მთავრობა უსახვევ სასამართლო ორგანოებს სოციალისტური კანონმდებლობის და მართლწესრიგის დაცვის საქმეში.

კადრების აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წახალისებათა ღონისძიებებს, ამა თუ იმ მუშაკის წარმატების დროულად შემჩნევას, მომთხოვნელობის გაზრდას, დისციპლინური წესით დასჯას გადაცდომებისათვის, მუშაობაში სერიოზული შეცდომების დაშვებისათვის, სოციალისტური კანონიერების დარღვევისათვის.

სისტემაში დღეისათვის მუშაობს; 15 იურიდიულ მეცნაერებათა კანდიდატი, მათ შორის ორი სახალხო მოსამართლეა, 32 საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, მათგან 5 სახალხო მოსამართლე.

შარშან კარგი მუშაობისათვის მადლობა გამოცხადდა 80 თანამშრომელს, მათ შორის 35 სახალხო მოსამართლეს. სისტემის 10 მუშაკს მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ წოდება, 5 თანამშრომელი დაჯილდოვდა სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით, ხოლო 28 წარდგენილი იყო მედალზე „შრომის ვეტერანი“ და სხვა.

ამასთან ერთად ჯერ კიდევ დიდია რიცხვი იმ თანამშრომლებისა, რომლებიც დაისაჯნენ დისციპლინური წესით ან უფრო მკაცრად. მაგალითად, შარშან 2 სახალხო მოსამართლე გამოწვეულ იქნა, ხოლო 3 სახალხო მოსამართლე გაათავისუფლეს სამუშაოდან პირადი განცხადების საფუძველზე, რადგან თავი ვერ გაართვეს დაკისრებულ მოვალეობას. დისციპლინური წესით დაისაჯა სისტემის 34 თანამშრომელი, 67 მოსამართლის მიმართ გამოტანილია კერძო განჩინება და სხვა.

ჩვენ პერიოდულად ვაანალიზებთ იმ თანამშრომელთა საქმიანობას, რომლებიც კარგად მუშაობენ, მოწინავეებად ითვლებიან, სისტემატურად აღწევენ წარმატებებს.

სისტემის თანამშრომელთა პროფესიული აღზრდის მიზნით საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო უმადლეს სასამართლოსთან ერთად პერიოდულად ანალიზებს და განაზოგადებს წახალისებისა და დასჯის პრაქტიკას, არკვევს დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს და მის გამომწვევ მიზეზებს. ასეთი პრაქტიკა აუმჯობესებს მუშათა საქმიანობის შედეგებს. 1982 წელს ორჯერ შეისწავლეს და განაზოგადეს დისციპლინური პრაქტიკა, შედეგები განიხილეს სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე. მიღებული დადგენილება და მიმოხილვითი წერილები ამ საკითხზე სახელმძღვანელოდ გადაეგზავნა იუსტიციის ორგანოებს, დაწესებულებებსა და სასამართლოებს. სამწუხაროდ, წახალისებისა და დასჯის პრაქტიკას სრულყოფილად ვერ ვიყენებთ, რამაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს კადრების აღზრდაზე. ეს განსაკუთრებით შეეხება ძირეულ რგოლებს.

კადრების სწორი შერჩევისა და განაწილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კადრების რეზერვის შექმნას, მათთან მუშაობას. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო პარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან ერთად წინასწარ არჩევს ახალგაზრდა პერსპექტიულ იურისტებს სახალხო მოსამართლეების თანამდებობაზე დასაწინაურებლად. სისტემატურად ხორციელდება ღონისძიებანი მათი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული ღონის ასამაღლებლად. ერთდროულად ვსწავლობთ მათს მორალურ მხარეს, საქმიან თვისებებს, ვამზადებთ მათ მომავალი სამოსამართლო საქმიანობისათვის. აქვე უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით მაინც არ კეთდება ყველაფერი კადრების სრულყოფილი რეზერვის შექმნისა და მომზადებისათვის.

ერთ-ერთ ყველაზე პასუხსაცემ საქმედ მიგვაჩნია ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობა, მათი შერჩევა და აღზრდა, პროფესიული და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება, მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნა და ადგილზე დამკვიდრება. უნდა ითქვას, რომ ჩვენ ჯერ ზიდევ სრულყოფილად და მაქსიმალურად ვერ ვიყენებთ მათი პროფესიული დონის ამაღლების მრავალ ფორმას, მათ შორის ასეთებს, როგორც არის სტაჟირება, სათანადო კურსების გავლა, გამოცდილ მუშაკებზე მიმაგრება, სპეციალური სემინარების ჩატარება და სხვა, ზოგიერთი ხელმძღვანელი ყურადღებით არ ეკიდება ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობას, არ ახორციელებს სათანადო აღმზრდელი დონის ძიებებს, არ უზიარებს თავის გამოცდილებას, რასაც, რა თქმა უნდა, საბოლოოდ უარყოფითი შედეგები მოაქვს ახალგაზრდა კადრების ფორმირებისათვის.

სამინისტრო სისტემატურად ხვდება ახალგაზრდა სპეციალისტებს. ასეთი შეხვედრა ეწყობა მინისტრთან, მის მოადგილეებთან, კოლეჯის წევრებთან. იმართება გულახდილი საუბარი მათთვის საინტერესო თეორიული და პრაქტიკული მუშაობის საკითხებზე.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სახელმწიფო საჯევმო კომიტეტის მიერ განაწილებული ახალგაზრდა სპეციალისტების დროულ მოწყობას სამუშაოზე. 1980-1981 წელს სისტემაში განაწილებით მოსული 22 ახალგაზრდიდან, რომელთაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრეს, ყველა დროულად იქნა დასაქმებული და მათ მუშაობისა და კვალიფიკაციის ამაღლების ნორმალური პირობები აქვთ. ამან შეუწყო ხელი იმას, რომ მეტმა წილმა ახალგაზრდა სპეციალისტებმა თავი გამოიჩინეს როგორც უნარაანა, პერსპექტიულმა მუშაკებმა. მიმდინარე წელს საქართველოს სსრ იუსტიციის სისტემის ორგანოებს კიდევ მიემატა უმაღლესი იურიდიული განათლების 10 ახალგაზრდა სპეციალისტი. იმ მიზნით, რომ სასამართლოებმა და იუსტიციის სხვა ორგანოებმა ღირსეული, განათლებული, პერსპექტიული შევსება მიიღონ იუსტიციის სამინისტროს კადრების სამმართველოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანატთან დამყარებული აქვს მჭიდრო კონტაქტი, ისინი ეცნობიან სტუდენტთა წარმატებებისა და ყოფაქცევის მონაცემებს, პერიოდულად, IV კურსიდან დაწყებული სისტემატურად სწავლობენ სტუდენტთა პირად საქმეებს, პირადად ესაუბრებიან მათ. დიდი ყურადღება ექცევა, აგრეთვე სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის დროულად და სრულყოფილად გავლას. ამ მიზნით სრულდება წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოები. საბაზო სასამართლოების ყურადღებას მივაპყრობთ იმას, რომ იზრუნონ პრაქტიკის ჯგუფი ჩატარებისათვის, გამოწვევით ადგილებზე პრაქტიკის მიმდინარეობას, ვსახავთ ღონისძიებებს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მიმდინარე 1982 წელს განაწილებით მოსული 10 ახალგაზრდიდან ყველას წარმატებით აქვს დამთავრებული უმაღლესი სასწავლებელი, სწავლის წარჩინებულნი არიან.

იუსტიციის ორგანოებისა და სასამართლოების საშუალო რგოლის შევსებისათვის ყოველწლიურად სამინისტროს სისტემაში განაწილებით მოდის 10 საშუალო იურიდიული განათლების სპეციალისტი. უნდა ვაღიაროთ, რომ უმაღლესი იურიდიული განათლების სპეციალისტების შრომითი მოწყობისაგან განსხვავებით მათი დანიშვნა ხშირად ჭიანჭურდება. ზოგიერთი კი დღესაც არ მუ-

შაობს მიღებული სპეციალობის მიხედვით. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ სახალხო სასამართლოში სათანადოდ არ აფასებენ ამ საქმეს. ხსენებულ სპეციალისტებს არ იყენებენ საშუალო რგოლში არსებული ვაკანტური ადგილების დასაკომპლექტებლად ან იმ პირთა შესაცვლელად, რომლებიც ასაკის, ჯანმრთელობის და საქმიანი ნიშნით არ შეეფერებიან დაკავებულ თანამდებობას (წყალტუბოს, ლაგოდეხის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, ქ. თბილისის I მაისის, 26 კომისრების რაიონების სახალხო სასამართლოები). საშუალო იურიდიული განათლების პირებმა უნდა დაიკავონ ისეთი თანამდებობები, როგორც არის სახალხო სასამართლოების კანცელარიის გამგეები, სხდომის მდივნები და აღმასრულებლები. სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს 1981 წლის 10 აპრილის № 2 ბრძანებით სწორედ ამ კატეგორიის მუშაკებს უნდა ჰქონდეთ საშუალო იურიდიული განათლება. ჩვენს სისტემაში კი საშუალო რგოლის მხოლოდ 12 პროცენტს აქვს სპეციალური განათლება. ჩვენ უნდა ყველაფერი ვიღონოთ, რათა უახლოესი ორი წლის განმავლობაში საშუალო რგოლის უმეტესობა დაკომპლექტდეს საშუალო იურიდიული განათლების სპეციალისტებით.

„საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების“ ახალი კანონით იზრდება სახალხო მსაჯულთა პასუხისმგებლობა. სახალხო მსაჯულთა არჩევნებისათვის მზადებამ და რწმუნების პერიოდში მათი მუშაობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბევრგან სახალხო მსაჯულები აქტიურად მონაწილეობენ მართლმსაჯულების განხორციელებაში, კარგად მუშაობენ სახალხო მსაჯულთა საბჭოები, მათი სათანადო სექციები. დიდი ყურადღება ექცევა სახალხო მსაჯულთა იურიდიული ცოდნის ამაღლებას. ამასთან ერთად სახალხო მსაჯულებთან მუშაობა ბევრ სახალხო სასამართლოში ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგები. და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. სამინისტრომ შეიმუშავა სახალხო მსაჯულთა იურიდიული ცოდნის ამაღლების სპეციალური პროგრამა. გათვალისწინებულია მსაჯულების გადამზადება იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მუდმივმოქმედ რესპუბლიკურ კურსებზე და სხვა.

როგორც ცნობილია, რწმუნების პერიოდის ვასვლასთან დაკავშირებით წლებულს 20 ივნისს გაიმართა სარაიონო და საქალაქო სახალხო მოსამართლეების არჩევნები.

იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს კომპარტიის უშუალო ხელმძღვანელობით ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან ერთად მოსამზადებელ პერიოდში განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი სახალხო სასამართლოების დასაკომპლექტებლად პოლიტიკურად მომზადებული კვალიფიციური კადრებით. ამან ხელი შეუწყო სახალხო სასამართლოების ორგანიზაციული ღონის ამაღლებას, კანონიერების განმტკიცებას.

დიდი ყურადღება ექცეოდა სახალხო მოსამართლეთა კანდიდატების შეხვედრას ამომრჩევლებთან. ამომრჩევლებმა გამოთქვეს ბევრი კრიტიკული შენიშვნა და წინადადება. მიღებულია ზომები მათი რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

სახალხო მოსამართლის ყველა კანდიდატურა პარტიულ ორგანოებთან ერთად სათანადოდ იქნა შესწავლილი არჩევნების წინ. ამის წყალობით საგრძნობ-

ლად გაუმჯობესდა არჩეულ მოსამართლეთა თვისებრივი მაჩვენებლები. მოსამართლეთა 100 პროცენტს უმაღლესი იურიდიული განათლება აქვს, ყველა სკკპ წევრია. საგრძნობლად გაიზარდა ახალგაზრდა მოსამართლეთა რაოდენობა. ცუდია, რომ მოსამართლეთა შორის წინა არჩევნებთან შედარებით ნაკლებია ქალების რაოდენობა. ეს გასათვალისწინებელია მომავლისათვის. სახალხო მოსამართლედ არჩეულ პირთა შორის 88 ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია, 7 — სამამულო ომის მონაწილე. პირველად არჩეულია 35 მოსამართლე, რომლებიც წინათ მუშაობდნენ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, იუსტიციის დაწესებულებებში, სამინისტრომ გაითვალისწინა, რომ პირველად არჩეულ მოსამართლეებს არა აქვთ სამოსამართლო მოღვაწეობის გამოცდილება და განახორციელა ღონისძიებანი მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. 28 პირველად არჩეულმა მოსამართლემ უკვე გაიარა გადამზადება კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, სტაჟირება საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში. არჩევნების შემდეგ ყველა ახლად არჩეული მოსამართლე მინისტრის ბრძანებით მიმაგრებულია გამოცდილ მოსამართლეებზე, დამრიგებლობის წესით. გარდა ამისა, სამინისტროს კოლეგიამ დაამტკიცა სახალხო მოსამართლეების პროფესიული მომზადების 1983 წლის პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებულია მათ დასახმარებლად მოეწყოს თეორიული კონფერენციები, სემინარები და სხვა.

ვფიქრობთ, სამინისტროში დამკვიდრებული კადრებთან მუშაობის სისტემა საგრძნობლად გააუმჯობესებს სახალხო სასამართლოების საქმიანობას, ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში მართლმსაჯულების განმტკიცებას.

კადრების კვალიფიკაციის ახალეპოს კერა

ათი წელი შესრულდა საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების შექმნიდან. მისი პროფილი თავიდანვე იყო განსაზღვრული. კურსებს უნდა ეზრუნა სასამართლო ორგანოებისა და იუსტიციის დაწესებულებების მუშაკთა (სახალხო მოსამართლეები, ადვოკატები, სახელმწიფო ნოტარიუსები, იურისკონსულტები, მმარის ორგანოების მუშაკები, სახალხო სასამართლოების სხვა მუშაკები) კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. თანდათანობით მისი პროფილი გაფართოვდა და ამ კურსებზე კვალიფიკაციას იმაღლებენ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მდივნები, უურნალი-სტები, ამხანაგური სასამართლოების წევრები, სახალხო სასამართლოების მსაჯულთა საბჭოების თავმჯდომარეები და წევრები, მასწავლებლები, რომლებიც სკოლებში სახელმწიფო და სამართლის საფუძვლებს ასწავლიან, და სახალხო რაზმეულებს წევრები.

კურსები თავის საქმიანობას შეუდგა 1971 წლის დეკემბერში. მეცადინეობა იმართებოდა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს კლუბში. დიდი სიფიწროვისა და მთელი რიგი სინენლეების მიუხედავად, რესპუბლიკური კურსების მაშინდელი ხელმძღვანელობა (მინილ კუხალაშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი დავით ბადათურია, ცეზარ კვარაცხელია) ყოველ დონეს ხმარობდა კურსების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, კადრების მაღალ დონეზე გადამზადებისათვის.

1973 წლიდან რესპუბლიკური კურსები დამკვიდრდა მისთვის განკუთვნილ ბინაში, მაგრამ გამოყოფილი მცირე ფართობი, კაბინეტ-ლაბორატორიების უქონლობა თუ სხვა საგრძნობ დაბრკოლებებს უქმნიდა მის ნორმალურ მუშაობას. არ სრულდებოდა სასწავლო-მეთოდოლოგიური გეგმები, წესიერად და დროზე არ კომპლექტდებოდა ნაკადები, მოსუსტებდა დისციპლინა მსმენელთა შორის. ხშირი იყო ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები და სხვა.

1975 წლის ზაფხულში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ სპეცია-

ლურად იმსჯელა კურსების შესახებ და განახორციელა ქმედითი ღონისძიებანი მისი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. დაისახა სამოქმედო პროგრამა, კურსების ხელმძღვანელად დაინიშნა გამოცდილი და ენერგიული მუშაკი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი მ. კომახიძე.

განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი კურსებზე შრომისა და საუმსრულებლო დისციპლინის ამაღლებისათვის. გადახალისდა სასწავლო-მეთოდოლოგიური საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც ამჟამად 13 კაცი შედის. იგი გადაიქცა სასწავლო პროცესის წარმმართველ ძალად. საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ სწავლული იურისტები — პროფესორი ნ. წერეთელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ო. გამყრელიძე, ისტორიკოსები — პროფესორები ა. ბენდიანიშვილი, ი. სიხარულიძე, აგრეთვე აღმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები, გამოცდილი პრაქტიკოსები.

საბჭო გულისყურით განიხილავს ყოველი ახალი ნაკადის სასწავლო გეგმებს და შეაქვს მასში შესწორებანი და დამატებანი. როგორც წესი რესპუბლიკური კურსების მეთოდოლოგიური საბჭო განიხილავს საკვალიფიკაციო კომისიების შემადგენლობის, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები თემატიკის, დამატებით პროფესორ-მასწავლებელთა მოწვევისა და სხვა საკითხებს.

რესპუბლიკურ კურსებს პროფესორ-მასწავლებელთა დიდი კონტინგენტი — 109 კაცი ემსახურება (უმრავლესობა საათობრივი ანაზღაურების წესით). ყოველი პროფესორის, დოცენტისა თუ მასწავლებლის მოწვევის საკითხს განიხილავს და ამტკიცებს იუსტიციის სამინისტროს კოლეგია. ზოგიერთ დისციპლინაში ორი და სამი ლექტორია გამოყოფილი. ეს საშუალებას აძლევს კურსების ხელმძღვანელობას თავიდან აიცილოს ლექციების გაცდენა რომელიმე ლექტორის ავადმყოფობისა თუ ძირითად სამუშაოზე მისი დაყოვნების გამო.

ლექციებს უმთავრესად კითხულობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სა-

მართლის ინსტიტუტის მუშაკები: პროფესორები გრ. ერემოვი, გ. ნადარეიშვილი, ვ. ლორია, თ. ლილუაშვილი, ა. ფალიაშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. ზოიძე და სხვა.

ყოველი ნაკადის სამუშაო გეგმაში ჭეროვანი ადგილი ეთმობა კურსს „საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური განვითარების აქტუალური პრობლემები“, რომლებსაც ასწავლიან პროფესორები ა. ბენდიანიშვილი, გრ. აფრიდონიძე და გრ. გამსახურდია.

კურსებზე იკითხება ქართული სამართლის ისტორია და საერთაშორისო სამართლის თანამედროვე აქტუალური პრობლემები.

სპეციალური დისციპლინების წასაკითხავად მოწვეული არიან პრაქტიკოსი მუშაკები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიდან, საქართველოს პროფსაბჭოდან, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოდან საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროდან, თბილისის საქალაქო სასამართლოდან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟიდან, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმიდან, ქ. თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორიდან და სხვა. თვალსაჩინო წვლილი აქვთ შეტანილი კურსების წარმატებაში პრაქტიკოს მუშაკებს — გ. იოსავას, ი. ლლონტს, ნ. მელიას, ც. ხარბოვას, თ. ვაშაიძეს, გ. ფარულავას, ი. ნანობაშვილს, ზ. მესხეგისერს, ვ. გვენცაძეს, თ. საბიაშვილს, მ. ბალათურას, ნ. ჯამახაშვილს, ქ. ცაგარეიშვილს, ნ. მანჩხავას, ქრ. სუხიშვილს, გ. შონიას, შ. ჭანტურიას, გ. ცირამუას, ო. ჭიბლაძეს, ვ. კოლუაშვილს, ც. მახარობლიშვილს, ვ. მირველაშვილს, ა. ბუნრაშვილს, ზ. ახლოაას, ი. დიდეგვჯიას, გ. დანელიანს, ა. ხარიტონაშვილს, მ. ნიკოლაიშვილს და სხვებს.

კურსების მუშაობაში შეუენელებელ ყურადღებას იჩენენ, სასწავლო პროცესში უშუალოდ მონაწილეობენ და ლექციების კითხულობენ იუსტიციის მინისტრი ა. მუშაიშვილი, მინისტრის პირველი იმთაღვლიე ზ. რატანი, მინისტრის მოადგილეები ა. კვიციანი და ა. აბესაძე, იუსტიციის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი ა. გოგობერიშვილი, რომელიც სასწავლო-მეთოდოლოგიური საბჭოს წევრიც არის და ყოველი ნაკადის საკვალიფიკაციო კომისიაშიც მონაწილეობს.

კოლეგიის ხელმძავე სისტემატურად განიხილავენ კურსების სასწავლო გეგმებს და სახავენ შესაბამის ღონისძიებებს, რაც დიდად უწყობს ხელს სწავლების დონის ამაღლებას. სასწავლო პროცესს კურსებზე ორგანულად ერწყმის ღია ლექციები. მსმენელთა შეხვედ-

რები რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებთან ე. წ. „მრგვალ მავიდასთან“. 1978 წლიდან რესპუბლიკური კურსებზე ეწყობა აქტუალური თემატიკის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები. წლეულს 16 აპრილს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ხელმთა დარბაზში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია მოეწყო სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებითაც.

რესპუბლიკური კურსების ხელმძღვანელობას განზრახული აქვს გამსვლელი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები მოაწვოს საქართველოს სამხრეთ რაიონებში, კერძოდ, ადიგენში, ახალციხეში, ასპინძაში და სხვაგან.

კურსებზე ყოველ ნაკადთან ეწყობა ღია ლექციები აქტუალურ თემებზე. ლექციებს კითხულობენ პროფესორები ნ. წერეთელი, ა. ბენდიანიშვილი, ი. სიხარულიძე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ო. გამყრელიძე და სხვები. ღია ლექციებს ესწრებიან არა მარტო მსმენელები, არამედ სასწავლო-მეთოდოლოგიური საბჭოს წევრები და სხვა პროფესორ-მასწავლებლები. სასწავლო პროცესში თავისი წვლილი შეაქვთ კარგად ორგანიზებულ ექსკურსიებს რევოლუციური თუ სხვა ისტორიულ ადგილებში. საპისო მარშრუტებს ადგენს სასწავლო მეთოდოლოგიური კაბინეტი, ხოლო განიხილავს და ამტკიცებს რესპუბლიკური კურსების სასწავლო-მეთოდოლოგიური საბჭო.

სასწავლო პროცესის ერთ-ერთი თავისებური კომპონენტია სავალდებულო წერითი სამუშაოების — რეფერატებისა და საკონტროლოების მომზადება და დაცვა კომისიაში. შეფასება ბალური სისტემით ხდება. რეფერატებისა და საკონტროლოების თემატიკას განიხილავს და ამტკიცებს რესპუბლიკური კურსების სასწავლო-მეთოდოლოგიური საბჭო. მსმენელი თემას ამუშავებს მეცნიერი კონსულტანტის მეთვალყურეობით. დადებითი რეცენზიის შემდეგ მსმენელს უფლება ეძლევა დაიცვას ის კომისიის წინაშე.

კურსების ნორმალურ მუშაობას ხელს უწყობს საერთო საცხოვრებელიც, რომელთა მოწყობაც მოხერხდა ბოლო ხანს რესპუბლიკური კურსების ბინის გაფართოების წყალობით. მართალია, იგი ჭერჭერობით არ გამოირჩევა კომფორტით და ვერც ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, მაგრამ მისი როლი მაინც თვალსაჩინოა.

სასწავლო პროცესის სრულყოფას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კურსების კედლის გა-



ზეთი „მართლმსაჯულების მსახური“, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ არა მარტო მსმენელები, არამედ პროფესორ-მასწავლებლებიც.

კურსების საქმიანობამ კარგა ხანია მიიქცია ზემდგომი ორგანოების ყურადღება. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო კარგ შეფასებას აძლევენ მის მუშაობას. იგივე ითქმის იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტზეც.

რესპუბლიკურ კურსებზე 1971 წლის დეკემბრიდან 1975 წლის დეკემბრამდე გეგმით კვალიფიკაცია უნდა აიმაღლებინა 1590 კაცს, ფაქტობრივად აიმაღლა 1299 კაცმა. 1976 — 1981 წლებში გეგმით კვალიფიკაცია უნდა აიმაღლებინა 5085 კაცს, აიმაღლა 5137 კაცმა. ამრიგად, 1971 წლის დეკემბრიდან რესპუბლიკურ კურსებზე კვალიფიკაცია აიმაღლა 7000-მდე კაცმა.

1979 წლის მაისში რესპუბლიკური კურსების საქმიანობის შესახებ იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელმაც გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებანი კურსების საქმიანობაში. კრიტიკიდან საჭირო დასკვნები გამოიტანა არა მარტო კურსების ხელმძღვანელობამ, არამედ ყველა ორგანიზაციამ, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ რესპუბლიკურ კურსებთან ასეთმა საქმიანმა ატმოსფერომ ნაყოფიც გამოიღო. 1979 წლის გეგმაც მაღალ დონეზე შესრულდა.

რესპუბლიკური კურსების სასწავლო-მეთოდოლოგიურმა საბჭომ უკანასკნელ ხანებში რამდენჯერმე იმსჯელა კადრების შემდგომი დახე-

ლოვნების საკითხებზე, რომლებიც გამოშინარაობს სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დადგენილებიდან და დასახა სათანადო ღონისძიებანი. გაიზარდა ლექციები იდეოლოგიურ დისციპლინებში, ამაღლდა მათი მეცნიერული დონეც. იდეოლოგიურ საკითხებს ეძღვნება ღია ლექციები და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები.

კურსების მუშაობაში თვალსაჩინო წვლილი შეაქვს მის მეთოდოლოგიურ კაბინეტსა და ბიბლიოთეკას (ბიბლიოთეკარი უ. კუჭივა).

კურსების არაერთი ენერგიული ყოფილი მუშაკი დაწინაურდა. მაგალითად, დირექტორის ყოფილი მოადგილე ნ. ხავთასა აშუშად მუშაობს საქართველოს სსრ პროფსაბჭოს შრომის ხამართლებრივ ინსპექციაში, რესპუბლიკური კურსების მეთოდოლოგიური კაბინეტის ყოფილი გამგე გ. საყვარელიძე — საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო საქმეთა განყოფილების პროკურორად და სხვ.

კურსების მიღწევები თვალსაჩინოა, მაგრამ კვლავაც დიდი მუშაობა გვმართებს.

იმედია, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების ხელმძღვანელობა, მისი სასწავლო-მეთოდოლოგიური საბჭო მომავალშიც არ დათმობენ იმ პოზიციებს. რომლებიც მოიპოვეს განვლილ ათწლეულში.

ვ. ლორია,
პროფესორი.
ნ. ჩაჩუა,

იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორის მოადგილე.

Table with faint text and numbers, possibly a list or index, including words like 'მეტი', 'მეტი', 'მეტი' and numbers like '1', '2', '3'.

იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე

მოსკოვში იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „იუსტიციის კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში სასწავლო დისციპლინათა სწავლების სრულყოფის საკითხები“;

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების, სსრ კავშირის პროკურატურის, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პასუხისმგებელი მუშაკება, მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური კურსების წარმომადგენლები, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ლექტორები და მასწავლებლები.

კონფერენციის გახსნის წინ გაიმართა იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც ამ ინსტიტუტის დაარსების 10 წლისთავს მიეძღვნა საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ბ. ი. სუსნარმჰი, ავღანეთის იუსტიციის მინისტრი და გენერალური პროკურორი მ. საფი.

საბჭოს სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ს. ხალდეაშვილმა.


მომხსენებმა „იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტის ათი წელი“ გააკეთა ამ ინსტიტუტის დირექტორმა, ლ. ს. ხალდეაშვილმა. მომხსენებელმა დასაბუთებულად წარმოაჩინა ინსტიტუტის მიერ გაწეული საქმიანობა და ისიც აღნიშნა, თუ რის განხორციელებას აპირებს იგი მომავალ ათწლეულში.

იუბილარ ინსტიტუტს მიესალმნენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს, სსრ კავშირის პროკურატურის, მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები. საიუბილეო სხდომაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა და გენერალურმა პროკურორმა მ. საფი.

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ბ. ი. სუსნარმჰი მიესალმა რა იუბილარ ინსტიტუტს, გამოაქვეყნა იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილება და სამინისტროს ბრძანება იუსტიციის ორგანოების მუშაკთა დახელოვნების სისტემის ღვაწლმოსილ მუშაკთა დიდი ჯგუფის დაჯილდოებას შესახებ. მათ შორის იყო საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რესპუბლიკური კურსების სასწავლო-მეთოდოლოგიური საბჭოს წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნ. შარბათაძე.

იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტის მუშაკთა დიდ ნაწილს გადაეცა აგრეთვე ინსტიტუტის დირექციის ჯილდოები — საპატიო სიგელები, ფასიანი საჩუქრები და სხვა.

სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს წარმომადგენლებიც: საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. ბ. კვიციანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი ი. მ. სინარაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი ბ. ი. ფალაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი მ. ს. ცირბაშვილი, ქ. თბილისის შმ კომისიის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ნ. ი. დანდუაშვილი, თბილისის პირვე-



ლი სახელმწიფო სანოტარო კანტორის უფროსი სახელმწიფო ნოტარიუსი ზ. პ. ისაბაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

იუბილარ ინსტიტუტს ადრესი და სახსოვარი საჩუქარი გადასცა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ბ. პ. პპიწინიამ.

იმავე დღეს, მციროდენი შესვენების შემდეგ, მუშაობას შეუდგა ინსტიტუტის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა ლ. ს. ხალდეიშვილმა.

კონფერენციის პირველი პლენარული სხდომა მუშაობას შეუდგა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრის და იუსტიციის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსის მ. პ. ვიწინსკის მოხსენებით „იუსტიციის კადრები და მათი შემადგენლობის სწავლების, აღზრდისა და სრულყოფის აქტუალური საკითხები“. შემდეგ მოხსენება „იუსტიციის კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში სასწავლო დისციპლინათა სწავლების მეთოდის შემდგომი სრულყოფის გზები“ გააკეთა ინსტიტუტის დირექტორმა ლ. ს. ხალდეიშვილმა.

კონფერენციაზე საყურადღებო ინფორმაციებით გამოვიდნენ დოც. ლ. ი. მსტრუმსკი (ხელორუსიის სსრ), ნ. ვ. რაბუტანიძე (იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, დოცენტი) ი. მ. ბაღატიანი (ამავე ინსტიტუტის პროფესორი), ი. ვ. გორაძე (ქ. მოსკოვის ბაბუშკინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე), ა. ი. ბარკინი (მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის სისხლის სამართლის პროცესის კათედრის დოცენტი), ბ. ს. შუპინა (სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი).

პირველი დღის მუშაობის შედეგები შეაჯამა იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტის დირექტორმა ლ. ს. ხალდეიშვილმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამგვარი გამოცდილების გაზიარებას.

მეორე დღეს მუშაობა სექციებში გაიშალა. ხულ სამი სექცია მუშაობდა: იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მმართველობის დისციპლინათა სწავლების მეთოდის სრულყოფის საკითხები (ხელმძღვანელი — ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა და მმართველობის კათედრის გამგე, დოც. ი. ლ. დავითიანი), იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტში საზო-

კალაქო სამართლებრივ მეცნიერებათა სწავლების მეთოდის სრულყოფის საკითხები (ხელმძღვანელი — ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, დოც. ვ. ლ. ვაშინანი), იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტში სისხლის სამართლებრივ მეცნიერებათა სწავლების მეთოდის სრულყოფის საკითხები (ხელმძღვანელი — ინსტიტუტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, დოც. ნ. ვ. რაბუტანიძე).

პირველ სექციაში აღნიშნულ თემაზე მოხსენებით გამოვიდა ამ სექციის ხელმძღვანელი დოც. ი. დავითიანი მან თავის მოხსენებაში, კერძოდ, აღნიშნა, რომ იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტი წელს დახელოვნებისათვის მიიღებს მუშაკებს, რომლებიც მუშაობენ მოქალაქეთა მიღების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დარგში. ეს პირველი შემთხვევა იქნება ინსტიტუტის არსებობის მანძილზე. აღნიშნულ საკითხზე ყველა სამინისტროს, უწყებასა და ორგანიზაციას ინსტიტუტიდან დაეგზავნა ჩვენი წინადადება. ადგილებიდან მიღებული პასუხიდან ჩანს, რომ ყველგან მოიწონეს ინსტიტუტის ეს წინადადება. ინსტიტუტი უკვე მზად არის ამ ნაქადის მიღებისათვის.

მოხსენების განხილვაში ინფორმაციებით გამოვიდნენ: ვ. ა. პაღირაძე (თურქმენეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი), პროფ. ვ. ი. რამინი (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), ნ. ვ. გორბიშვილი (იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების საკავშირო ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი), ი. ვ. მათიშვილი (მოლდავეთის სსრ იუსტიციის სამინისტროს რესპუბლიკური კურსების დირექტორი), ნ. ა. ჩოლონიანი (ერევნის ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე), დოც. ი. ვ. ბაღატიანი (სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი), ნ. მ. ფაბიანი (ამავე აკადემიის მეცნიერი თანამშრომელი), ი. მ. სინბარული (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი, რესპუბლიკური კურსების მეთოდური საბჭოს წევრი) და სხვები.

საქართველოდან ამ სტრიქონების ავტორიც უკანასკნელ დროს ჩვენს, საქართველოს

რესპუბლიკურ კურსებზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ამალღებისათვის ღონისძიებათა მთელი კომპლექსი განხორციელდა და დღეს უკვე თვალსაჩინო შედეგებიც არის მიღებული. ამ მიმართულებით განხორციელებულ სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ სიახლეებზე იყო საპროფ. ი. სინარულიძის გამოსვლაში — „საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რესპუბლიკურ კურსებზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების პროცესში მოხმართლეთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების გამოცდილება“, რომელიც შემდეგ პროფ. ი. სინარულიძემ წერილობით წარუდგინა სექციას.

საინტერესოდ წარიმართა სამოქალაქო სამართლის სექციის მუშაობაც.

ამ სექციაში შემადგინებულ თემაზე მოხსენებით გამოვიდა დოც. ვ. ლ. გეინხანნი. ინფორმაციებით გამოვიდნენ მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები — სულ 12 კაცი, მათ შორის საქართველოდანაც. ინფორმაციით „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის მასალების გამოყენება რესპუბლიკურ კურსებზე მოსამართლეთა გადამზადების დროს“ გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ბ. ს. ცირაძემ. ამ სექციის მუშაობაშიც მონაწილეობდა ამ სტრუქტურის ავტორი.

ასევე საინტერესოდ წარიმართა და ცხოველი კამათიც გაიმართა სისხლის სამართლის სექციაშიც, სადაც მოხსენებით გამოვიდა დოც. რაქუტაძე. სექციის მუშაობაში მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი ა. ი. ფაღვიშვილი.

ამავე დღეს, სექციების მუშაობის დამთავრების შემდეგ, ინსტიტუტის საჯტო დარბაზში კვლავ გაიმართა ბოლო პლენარული სხდომა, რომელზეც მოისმინეს სექციების მუშაობის შედეგები. საფუძვლიანი ანგარიშები წარმოადგინეს სექციების ხელმძღვანელებმა, ინსტიტუტის კათედრის გამგებმა, დოცენტმა ნ. ლ. დამითინიძემ, ვ. ლ. გეინხანნიძემ და ნ. ვ. რაქუტაძემ.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ინსტიტუტის დირექტორმა ლ. ს. ხალდეშვიტმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა წარმოდგენილ მოხსენებათა და ინფორმაციათა მაღალი დონე.

კონფერენციაზე მწვავედ იდგა მსმენელთა თავისუფალი დროის საკითხი, რაც ესოდენ ხაჭირა და მოუკიდებელი მუშაობისათვის. ხწავლებს დროის სიმოკლიხა და სასწავლო პრობლემატიკის უაღრესი შემეიდროების გა-

მო ასეთი დროის გამოხახვა მეთისმეტად ზირს. ასევე ითქმის სასემინარო მუშაობახა და პრაქტიკულ მეცადინეობაზეც რომელიც სწავლების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა კვალიფიკაციის ამალღების სისტემაში, მაგრამ ჭირ კიდეც ყველგან ვერ სორციელებდა საპირო სისრულითა და ეფექტიანობით. ამიტომ აქ მეთი ვულისყური და მონდომება გვმართებს. სემინარები და პრაქტიკული მეცადინეობა ისე უნდა მოეწყოს, რომ სასარგებლო შედეგებს იძლეოდეს. ეს რომ მოხდეს, იგი წინასწარ საფუძვლიანად უნდა მოგამზადოთ, უნარი უნდა შეგვეწოდეს მისი ეფექტიანად, ცოცხლად და შინაარსიანად წარმართვისათვის. ცხოველი აწრთა განიარება გამოიწვია რეფერატებისა და საკონტროლო სამუშაოების შესრულების, ლექციების ჩატარებისა და სხვა საკითხებმა.

ზოგიერთმა ორატორმა მხარი დაუჭირა პრობლემური ხასიათის ლექციებს, სხვები ამის წინააღმდეგი იყვნენ და თავიანთ თვალსაზრისს იმით ახახუებდნენ, რომ მსმენელთა უმრავლესობა საამისოდ მოუშუადებელიაო. ეს ასეც არის. პრობლემურ ლექციებს მხოლოდ ადვოკატთა და მოსამართლეთა ნაკადებთან შეიძლება ჰქონდეს გამართლება, სადაც, ძირითადად, უმაღლესი განათლების მსმენელები არიან. რაც შეეხება სასამართლოს აღმასრულებელთა, სხდომის მდივნებისა და სხვა ნაკადებს, მათთან მარტივი ლექციებიც ზირს.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აწრი რესპუბლიკური სწავლების მეთოდოლოგიის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე. ყოველივე ამის საფუძვლიანი გაანალიზება და პრაქტიკაში დანერგვა კვალიფიკაციის ამალღების სისტემის ყოველი დაწესებულების, მათ შორის საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რესპუბლიკური კურსების მორიგი ამოცანაა.

ლ. ს. ხალდეშვიტმა გვაცნობა, რომ ინსტიტუტს გადაწყვეტილი აქვს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შედეგების შესახებ გამოსცეს კრებული. რომლებსაც ადგილებზე მივიღებთ სახელმძღვანელოდ.

სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩაიარა.

გ. კომახნიძე,

იუსტიციის ორგანოების მუშაება კვალიფიკაციის ამალღების მუდმივ-მოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი.

პროკურატურის ორგანოების ახალგაზრდა საბუნიანოთა რესპუბლიკური სკოლის შეშრომების შესახებ

რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის VII პლენუმის დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად, პროკურატურის ორგანოების ახალგაზრდა სპეციალისტების იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებისა და პროფესიული დაოსტატების მიზნით, შარშან შექმნა ერთწლიანი რესპუბლიკური სკოლა.

1981-82 სასწავლო წელს სკოლაში გაერთიანებული იყო 100 ახალგაზრდა სპეციალისტი, რომლებიც სპეციალურად შემზავებული პროგრამით იმალდებოდნენ კვალიფიკაციას, სწავლობენ სკკ XXVI ურილობის გადაწყვეტილებებს, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დირექტივებს, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

რამდენიმე მეცადინეობა დაეთმო პროკურატურის შესახებ კანონის, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის იმ დადგენილებათა შესწავლას, რომლებაც შეეხება ქურდობის, სამართალდაცვის ორგანოებში ფორმალისმისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებს.

მსმენელებისათვის ტარდებოდა მეცადინეობანი გამოძიებაში კრიმინალისტიკური ტექნიკის გამოყენებისა და პრაქტიკაში მეცნიერული რეკომენდაციების დანერგვის შესახებ.

ახალგაზრდა სპეციალისტები დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში გამართულ თათბირს და საქართველოს სსრ პროკურატურის გაფართოებულ კოლეგიას, რომელიც მიეძღვნა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პროფილაქტიკის პრობლემებს.

სკოლის მსმენელებს ესაუბრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტე-

ტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილებაში. ისინი მიიღეს რესპუბლიკის სამართალდაცვის ორგანოების ხელმძღვანელებმა. კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში მსმენელები შეხვდნენ რესპუბლიკის კომკავშირულ აქტივს; ქ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრში დაესწრნენ სპექტაკლს „აღსარება“ და შემოქმედებითს კოლექტივთან ერთად მოაწყვეს მიხი განხილვა. გარდა ამისა, ისინი ესაუბრნენ პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში გამოძიების საკითხების გაშუქების თაობაზე.

ახალგაზრდა სპეციალისტებს ლექციები წაუკითხეს მაღალკვალიფიკურმა სპეციალისტებმა მოსკოვიდან, რესპუბლიკის სწავლულმა იურისტებმა. პრაქტიკულ მეცადინეობას ატარებდნენ გამოცდილი მუშაკები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა აქტიური მონაწილეობა სკოლის მუშაობაში. პროგრამით გათვალისწინებული მასალის ამოწურვის შემდეგ მსმენელებთან მოეწყო განსაუბრება, რომლის შედეგები გათვალისწინებული იქნება ახალგაზრდა სპეციალისტების ატესტაციის დროს.

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიამ დამაკმაყოფილებლად ცნო ახალგაზრდა სპეციალისტების რესპუბლიკური სკოლის მუშაობა და დასახა ღონისძიებანი მისი საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის.

გ. მთვარელიძე,

საქართველოს სსრ პროკურატურის კადრების განყოფილების უფროსის მოადგილე

ოზისა და შრომის ვეჟიანი

ეს იყო 1942 წლის მაისის დამლევის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი იოსებ კოჭლამაზაშვილი დოცენტი ნ. ლომსაძეს უკანასკნელ საგანს — მიწის სამართალს აბარებდა. ომი მძვინვარებდა. შუქ-შენიღბული უნივერსიტეტის აუდიტორია, სადაც გამოცდა მიმდინარეობდა, მკრთალად იყო განათებული.

იოსებს სამხედრო კომისარიატის უწყება ეჭირა ბელში. მეორე დღეს ჯარში მიჰყავდათ. ამიტომ ლექტორს სთხოვა, ადრე გამოეცადა იგი. დოცენტი ნ. ლომსაძეს არ გაჰკვირვებია ეს თხოვნა, რადგან თვითონაც მიეღო უწყება, რომელიც სამშობლოს დამცველთა რიგებში იწვევდა.

მეორე დღეს კი სამხედრო ნაწილმა, რომელშიც კოჭლამაზაშვილი ჩაირიცხა, გეზი შორეული აღმოსავლეთისაკენ, მანჯურიის საზღვრისაკენ აიღო. 1942 წლის ბოლომდე იგი მდინარე უსურის სანაპიროზე განლაგებულ მესაზღვრეთა ნაწილის სარეზერვო პოლკში მსახურობდა.

1942 წელს, დეკემბერში სამხედრო ნაწილი ფრონტზე გაიგზავნა. ი. კოჭლამაზაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ბრძოლაში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ. ფრონტზე მძიმედ დაიჭრა და 6 თვეს მკურნალობდა ქ. ვერეშჩაგინოს სამხედრო ჰოსპიტალში.

განკურნების შემდეგ, 1943 წლის ივნისში გაიგზავნა ქ. სვერდლოვსკში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების ნაწილში, სადაც 1945 წლის დეკემბრამდე იმსახურა. აქვე მიიღეს ი. კოჭლამაზაშვილი სკკპ რიგებში.

1946 წლის იანვრიდან, დემობილიზაციის შემდეგ, იოსები კვლავ დაუბრუნდა თავის საყვარელ უნივერსიტეტს და იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსზე განაგრძო სწავლა. აქვე დაუკავშირა მან თავისი ბედი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს ლედი ქემაშვილს. ახლა მათი შვილი ავთანდილი ექიმია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, კარდიოლოგი, სამი შვილის მამა.



1948 წლის ოქტომბერში ი. კოჭლამაზაშვილს იურიდიული ფაკულტეტის თეორიული კურსი უკვე დამთავრებული ჰქონდა და სახელმწიფო გამოცდებისათვის ემზადებოდა. სწორედ ამ დროს პარტიულ ორგანოებში გამოიძახეს და გურჯაანის რაიონის მეორე უბნის სახალხო მოსამართლედ დანიშნეს. სახალხო სასამართლოების გაერთიანების შემდეგ, 1956 წლიდან იგი გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეა. 23 წელიწადს იმუშავა ი. კოჭლამაზაშვილმა გურჯაანის რაიონში. 1970 წლის დეკემბერში კი სიღნაღის რაიონის სახალხო მოსამართლედ აირჩიეს. 1976 წლიდან ამჟამად რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეა. აი უკვე 34 წელია, რაც სახალხო მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობს და დაკისრებულ საქმეს კეთილსინდისიერად უძღვება. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე პარტიული თუ ადმინისტრაციული ორგანოებიდან შემჩნევაც კი არ მიუღია.

სამართლიანმა და პრინციპულმა მუშაკმა, დამნაშავეების მიმართ შეერიგებელმა მოსამართლემ ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

პარტიამ და მთავრობამ დააფასეს მისი ღვაწლი. კარგი მუშაობისათვის დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მედლებით. სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრმა და რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა მას მადლობები გამოუცხადეს.

„ბედნიერება მხვდა წილად, — იგონებს ი. კოჭლამაზაშვილი, — რომ „საპატიო ნიშნის“ ორდენი 1968 წელს პირადად გადმომცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ნ. პ. გიორგაძემ, როდესაც იგი ქ. გურჯაანში იყო როგორც დეპუტატი ამომრჩევლებთან შესახვედრად.

მრავალი რთული საქმე გაურჩევია მოსამართლე იოსებ კოჭლამაზაშვილს. კარგად იცის, რომ კაცის ბედის გადაწყვეტა, რომელიც მას ანდეს, უბრალო საქმე არ არის.

მოსამართლე ი. კოჭლამაზაშვილი დიდ საზოგადოებრივ საქმიანობა-საც ეწევა: არის საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის წევრი, სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატი, რაიკომის ლექტორი, რაიკომთან არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლი კომისიის წევრი. იგი ხშირად ხვდება შრომითს კოლექტივებს, ანგარიშს აბარებს ამომრჩევლებს, მშრომელებს უკითხავს ლექცია-მოხსენებებს, რომლებიც ყოველთვის შინაარსიანი და საინტერესოა.

ი. კოჭლამაზაშვილს ახლახან შეუსრულდა 60 წელი, მაგრამ იგი კვლავ ახალგაზრდულ ენერგიით უძღვება თავის რთულ და საპატიო საქმეს, რომელიც მას გულით უყვარს.

ომისა და შრომის ვეტერანს ხალხმა კვლავ გამოუცხადა ნდობა და ახალი ვადით აირჩია სახალხო მოსამართლედ.

საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის II კოლოკვიუმი სისხლის სამართლის პრობლემებზე



კოლოკვიუმის ერთ-ერთი სხდომის პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში ხუთ დღეს მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის II კოლოკვიუმი, რომელიც სისხლის სამართლის პრობლემებს მიეძღვნა.

კოლოკვიუმი გახსნა და მის მონაწილეებს ნაყოფიერი მუშაობა უსურვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ა. ფრანგივილიმა.

სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის თეორიისა და სოციოლოგიის სექტორის გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ა. მ. იაკოვლემა და ფრაიბურგის მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთისა

და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა პანს-პენრიხ იეშეკმა. ასეთი შეხვედრები, თქვეს მათ, უაღრესად კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ორივე ქვეყნის სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებაზე. ამ კონტაქტებს არა მარტო მეცნიერული, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, რადგან ხელს უწყობს საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ გერმანიას შორის ყველა დარგში მშვიდობიანი თანამშრომლობის გაღრმავებას. ორატორებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ ამ შეხვედრის ინიციატორი, ორგანიზატორი და მასპინძელია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუ-



ტი. იმედია, თქვეს მათ, რომ კოლოკიუმში თავისი ნაყოფიერი მუშაობით გაამართლეს ამ ინსტიტუტის გარჯასა და მეცადინეობას.

კოლოკიუმზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფილოსოფიური და ვსაქოლოგიური საფუძვლები“ (იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი თ. ჯავახიანი).

„სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის საფუძვლები და დამნაშავეს პიროვნება (პროფ. კლაუს როქსინი), „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები და დამნაშავეს პიროვნება“ (იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. მ. იაკოვლევი), „დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინება სასჯელის განსაზღვრისას გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“ (პროფ. ჰანს-ჰენრიხ იეშეცი), „ბრალის პრინციპი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“ (ვ. შაუაშვილი), „კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია თანამედროვე სისხლის სამართალში“ (პროფ. გიუნტერ კაიზერჟი), „ბრალის ხარისხის მნიშვნელობაზე სისხლის სამართლისში“ (იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი მ. უგრებელიძე), „სასამართლო მიხედულობის რეგლამენტაციის ზოგიერთი საკითხი სისხლის სამართალში“ (იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ტყეშელაძე).

„უმართლობის სუბიექტური ნიშნების საკითხისათვის“ (იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ო. ვაჩერელიძე), „თანამედროვე სისხლის სამართლის აქტუალური პრობლემები“ (პროფ. ალბინ ეშერი), „განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის გადასინჯვა“ (პროფ. ფრიდრიხ კრისტიან შრედერი), „დაზარალებულის უფლებათა გარანტიები საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში“ (იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. მ. სავიცი), „თანასწორუფლებიანობის პრინციპი გერმანულ სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში“ (დოქტორი ევა ფაიგენდი), „სახელმწიფო ბრალდება როგორც საპროკურორო ზედამხედველობის ფორმა“ (პროფ. შარტინ ფინკე), „კანონისა და სამართლის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპის განხორციელება საბჭოთა სისხლის სამართალწარმოებაში“ (იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ი. ჩანგული), „განაჩენის, განაჩენებისა და დადგენილების გადასინჯვა ზედამხედველობის წესით საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში“ (იურიდიულ მეცნი-

ერებათა დოქტორი, პროფესორი პ. ა. დი-პინსკაია), „სახელმწიფო ბრალდება პროკურორის პროცესუალური ფუნქცია“ (იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ა. მ. ლარინი).

კოლოკიუმის მონაწილეებმა მოისმინეს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატების გ. ლ. კრიგერის, ლ. სურგულაძის, ნ. უგრეხელიძის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ა. ვაბიანის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ა. ფალიაშვილის და სხვათა ინფორმაციები.

შემდეგ მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელიც მიმდინარეობდა მაღალ პროფესიულ დონეზე, მეცნიერული ტაქტის დაცვით, კოლექტიურობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროში.

კოლოკიუმის მუშაობა შეაჯამა და საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თ. შავგულიძემ. მან კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ კოლოკიუმის მუშაობა უარესად საქმიანი იყო. მეტწილად მოხსენებებში დასმული აქტუალური პრობლემები შეესაბამება სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ ერთობლივი მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა რუსულ და გერმანულ ენებზე ცალკე კრებულად გამოიცეს კოლოკიუმზე წარმოდგენილი მოხსენებები, რაც, უდავოდ, ხელს შეუწყობს თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერების შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა და დასავლეთ გერმანულ მეცნიერებს შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს სსრ ინსტიტუტის სამინისტროში და საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში. აქ გაიმართა საუბრები თანამედროვე კრიმინოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. შეხვედრები გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

კოლოკიუმის მონაწილენი იყვნენ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასაჩლემოში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. სტუმრებმა დიდი ინტერესით დათვალიერეს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატები, გამოჩენილი ქართველი მხატვრის ლადო გუ-

დიაშვილის ნამუშევრები, ქართული ხე- იყალთო. მათზე უდიდესი შთაბეჭდილება როთომოდურების შედეგები — ჯვრის მო- მოახდინა ქართული ეროვნული კულტურის ნასტერი, სვეტიცხოველი, ალავერდი და უახლესმა მიღწევებმა.

სისხლის სამართლის პრობლემებისადმი მიძღვნილი საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის II კოლოკიუმის დაშთავრების შემდეგ ჩვენი უურნალის სპეციალური კორესპონდენტი ბ. ბარქანდიშვილი ესაუბრა ფრაიბურგის მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ჰანს-ჰენრიხ ნიშუპს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის თეორიისა და სოციოლოგიის სექტორის გამგეს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ალექსანდრე მახსინიშს ქმნიტორს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის შოადგილეს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს თამაზ შავაშვილს.

მკითხველებს ვთავაზობთ მათთან საუბრის ჩანაწერებს.

კორესპონდენტი: სად და როდის ვაიმართა პირველი კოლოკიუმი, რა საკითხებზეს მიეძღვნა იგი და, საერთოდ, როგორ ჩაეყარა საფუძველი ასეთ შეხვედრებს?

ა. შ. იაკოვლევი: საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და დასავლეთ გერმანიის მაქს პლანკის სახელობის საზოგადოებას შორის წეცნიერული თანამშრომლობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე პირველი კოლოკიუმი ვაიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ფრაიბურგში 1980 წლის დეკემბერში.

